დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ ქალაქ ცაგერის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ირმა ხმელიძე
წევრები:

თამარი ბლიაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი)

ნინო აბესაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

მერი ბეჟუაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

გვანცა მოლაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

მარიკა ბოცვაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

გიორგი ხომასურიძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

მზია შევარდნაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

გიორგი ბერძულიშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

ქეთევან ქობალია (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

ეკატერინე კვირკველია (განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - ქალაქ ცაგერის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	242573693

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი ცაგერი
ფაქტობრივი მისამართი	ქ. ცაგერი, თამარ მეფის ქ.N12
საფოსტო ინდექსი	5100
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	*https://skolebi.emis.ge/schools/1441?schoolName*
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	skTsageri@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	595 49 17 94

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 1 26 0000390222
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2026 წლის 28 და 29 აპრილი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების **ადგილი** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული	ქ.ცაგერი, თამარ მეფის ქ.N12-შენობა ნაგებობაN2
	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური	ქართული	ქ.ცაგერი, თამარ მეფის ქ.N12-შენობა ნაგებობაN2
	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის	საშუალო საფეხური	ქართული	ქ. ცაგერი, თამარ მეფის ქ.N12-შენობა ნაგებობა N1

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სკოლაში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი 2026 წლის 28 და 29 აპრილს განხორციელდა. სკოლაში ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების დოკუმენტს და ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებისთვის საჭირო მასალებს, რის საფუძველზეც ექსპერტებმა გამოითხოვეს დამატებითი დოკუმენტაცია. ერთობლივი შეთანხმებით შედგა ვიზიტის დღის წესრიგი, გაიწერა დისტანციურად ჩართვის დროის განრიგი საგნობრივ ექსპერტებსა და სკოლის პედაგოგებს შორის და გასაცნობად გადაეგზავნა სკოლას. ვიზიტმა ჩაიარა თანამშრომლობით, საქმიან და მშვიდ ვითარებაში, რომლის ფარგლებშიც ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით

სკოლაში სასწავლო პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, დათვალიერდა ცაგერის საჯარო სკოლის ორივე ფლიგელი და საერთო ინფრასტრუქტურა. ვიზიტის დროს ექსპერტები გაესაუბრნენ დირექციის წარმომადგენლებს, პედაგოგებს, მშობლებს, მოსწავლეებს და ადმინისტრაციულ პერსონალს. დისტანციური შეხვედრა - ინტერვიუ შედგა საგნის მასწავლებლებთან. ვიზიტი განხორციელდა პირისპირ ფორმატში, ხოლო საგნობრივ ექსპერტებს დისტანციურ რეჟიმში ჰქონდათ შესაძლებლობა ჩაეტარებინათ ინტერვიუები მასწავლებლებთან. ვიზიტის ბოლოს, შეჯამების სახით, სკოლის წარმომადგენლებს წარედგინათ ძირითადი რჩევები და რეკომენდაციები, რომლებიც გამოიკვეთა სკოლის მასალებით, ინტერვიუებისა და ინფრასტრუქტურის გაცნობის შედეგად.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

სსიპ-ქალაქ ცაგერის საჯარო სკოლა, ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N241 ბრძანებით დაფუძნდა. მანამდე , 1875 წელს ცაგერში გაიხსნა პირველი ორკლასიანი დაწყებითი სკოლა, რომელიც 1911 წელს გადაკეთდა ოთხკლასიან საქალაქო სასწავლებლად. აღნიშნული სასწავლებელი 1915 წელს გადაკეთდა, როგორც უმაღლესი დაწყებითი სასწავლებელი. 1921 წლიდან ცაგერის უმაღლესი სასწავლებლის ბაზაზე შეიქმნა 9 წლიანი შრომის სკოლა, რომელიც 1924 -1935 წლებში პედაგოგიური სასწავლებელია. 1935 წლიდან იგი პირველი საშუალო სკოლაა ცაგერის რაიონში, რომელიც 2005 წელს ჩამოყალიბდა როგორც საჯარო სკოლა. ყოველივე ეს მიუთითებს აღნიშნული სკოლის საუკუნეზე მეტ ისტორიასა და გამოცდილებაზე. ასევე იმაზე, რომ იგი იყო და არის ცაგერის მუნიციპალიტეტის წამყვანი განათლების კერა. ამაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ მოსწავლეები გამორჩეულები არიან მაღალი აკადემიური მაჩვენებლებით. 2025 წლის ეროვნულ გამოცდებზე

სკოლიდან 13 აბიტურიენტი გავიდა და 13-ვე სტუდენტი გახდა. მათგან ორმა მოიპოვა 100%-იანი გრანტი, ორმა- 70%-იანი და ექვსმა - 50%-იანი. ეს ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელია, როგორც რეგიონისთვის, ასევე ქვეყნის მასშტაბითაც.

სკოლა აქტიურად არის ჩართული სხვადასხვა ტიპის პროექტებსა თუ ღონისძიებებში. ქალაქ ცაგერის საჯარო სკოლის პროფესიონალი პედაგოგიური საზოგადოება, უწყვეტად ზრუნავს,ნრომ მოსწავლეებმა მიიღონ საფუძვლიანი განათლება და ამ მიმართულებით, ხარისხიანი საგაკვეთილო პროცესის მიმდინარეობის პარალელურად, აღსაზრდელებს მრავალფეროვან, შემეცნებით-საგანმანათლებლო აქტივობებს სთავაზობენ.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებს შორის გამართულ ინტელექტუალურ ვიქტორინაში გამარჯვებულია ქალაქ ცაგერის საჯარო სკოლის მოსწავლეთა გუნდი.

ცაგერის საჯარო სკოლა ორიენტირებულია მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებაზე, რაც მოსწავლეთა შესაძლებლობებზე, შემდგომ კი მიღწევებზე აისახება. სკოლაში არაერთი წარმატებული მოსწავლე სწავლობს, რომელთა წინსვლა სასწკოლო საზოგადოებისთვის საამაყო და სასიხარულოა. ერთ-ერთი უახლესი ამბავია- სკოლის 5 კლასის მოსწავლემ ჭადრაკში, ზონალურ პირველობაზე ვაჟთა შორის I ადგილი დაიკავა.

მოტივირებული მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა კონკურსში და ცოდნასა და შესაძლებლობებს წარმატებით წარმოაჩენენ. XII კლასის მოსწავლემ მოსწავლეთა ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადაში წარმატებით იასპარეზა. ოლიმპიადის მესამე ტურში, საგანში - ქართული ენა და ლიტერატურა, მაქსიმალური 30-დან 30 ქულა მიიღო, ისტორიაში კი - 25 -დან - 20 ქულა მოიპოვა.

სკოლას ჰყავს საკმაოდ აქტიური მოსწავლეთა თითმმართველობა, რომელთა ინიციატივითაც იგეგმება და ხორციელდება მრავალი პროექტი თუ ღონისძიება. სკოლის მოსწავლეები პროექტ ,,ახალგაზრდული საქმიანობის დელეგატის" ფარგლებში ჩართულნი არიან სხვადასხვა ღონისძიებებში და შეხვედრებში.

ცაგერის საჯარო სკოლა მუნიციპალიტეტის მთავარი ბიბლიოთეკის სასწავლო-შემეცნებით პროექტებსა და ღონისძიებებში აქტიურად მონაწილეობს. მოსწავლეები და პედაგოგები ხშირად სტუმრობენ ქალაქის ბიბლიოთეკას სხვადასხვა ღონისძიებების დაგეგმვისა და შეეცნებითი საჭიროებებისთვის.

მიმდინარე წელს სკოლაში 8-10 მაისისთვის ქალაქ ცაგერის საჯარო სკოლაში, თსუ-ს ინტელექტუალთა კლუბის,"სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოსა" და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მხარდაჭერით იგეგმებოდ რეგიონული საგამანათლებლო-ინტლექტუალური ტურნე : ,,ხელოვნური ინტელექტის მომავალი-სად ვართ და სად მივდივართ'". პროექტის მიზანია რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლება ხელოვნური ინტელექტის(AI)შესახებ,მათი ციფრული წიგნიერების გაზრდა და ინოვაციური აზროვნების სტიმულირება.

სკოლაში იგრძნობა ინდივიდუალური კულტურა. ეს განსაკუთრებით იმაში გამოიხატება, რომ სკოლაში, მშობლებთან შეთანხმებით, შემოღებულია საფეხურების მიხედვით განსხვავებული, ესთეტიურად სასიამოვნო, დახვეწილი სასკოლო

ფორმები. მოსწავლეები საფეხურების მიხედვით ერთი შეხედვით, მარტივად გაირჩევიან ერთმანეთისგან ფორმების მიხედვით. სკოლა მკაცრად იცავს ფორმის ტარების წესს და ამაში მშობლებიც აქტიურ მხარდაჭერას გამოხატავენ სკოლის მიმართ. მშობლებთან ინტერვიუირების შედეგად გამოიკვეთა მათი კმაყოფილება სკოლაში დანერგილ ამ კულტურასთან დაკავშირებით.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება

მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☐	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
მოსწავლეთა რაოდენობა: 180	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☒	სკოლას აქვს 240 მოსწავლისთვის შესაბამისი მატერიალური და ინფრასტრუქტურული რესურსი.

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N 3.1.2.4.	*პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამებ მოქმედ კანონმდებლობასა დ დაწესებულების მიერ დადგენი საკვალიფიკაციო მოთხოვნებს*	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით გაწერილ ვადაში 20 წლის სექტემბრის თვის ბოლომდე, კანონმდებლობის მიხედვი უზრუნველყოს კონკურსის გამოცხადება შესაბამის ვაკანტუ თანამდებობებზე.*
ინდიკატორი N 3.4.1.1.	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ*	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, 2026 წლის 30 სექტემბრამდე, უზრუნველყოს სკოლაში არსებული ვიდეოსათვალთვალო სისტემის სრულყოფილად მონტაჟი და სისტემურად გამართვა ეფექტური ვიდეომონიტორინგისთვის.*

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

	გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა	
ინდიკატორი 3.5.1.1.	*სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლ საქმიანობისთვის შესაბამ ინფრასტრუქტურასა და მატერიალუ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადიდ და დადგენილი მოსწავლეთა ადგილებ ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებიდ*	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაშ 2026 წლის 30 სექტემბრამდე, უზრუნველყოს სკოლაში საბუნებისმეტყველ ლაბორატორიის მოწყობა.*
ინდიკატორი 3.6.3.5.	*ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდ შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლ შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებებ სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ი სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვ პროცედურები და მისანიჭებელ კვალიფიკაცია (განათლებ დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლ პროცესთან დაკავშირებული აუცილებელ მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერ სერვისები, გასაჩივრების მექანიზმებ ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიშ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებ შესრულების შედეგები და საკონტაქტ ინფორმაცია*	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, 2026 წლის 30 სექტემბრამდე, უზრუნველყოს სკოლის ოფიციალურ ვებ გვერდზე ინდიკატორით განსაზღვრული ყველა სავალდებულო ინფორმაციი საჯაროდ განთავსება.*

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***

ინდიკატორი N. N 2.1.2.1.	*დაწყებითი და საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებისთვის*	***სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება*** *სკოლას დაწყებით საფეხურზე მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობ* *გეგმით განსაზღვრულ ვადამდე(30.09.2026) უზრუნველყოს:* • ***I–II კლასები*** • *ამოიღეთ პარაგრაფების დასახელებების ჩამონათვალი და თითოეულ თემაში ჩაწერეთ* ***სამიზნე ცნებები და ქვეცნებები.*** • *თითოეულ თემაში განსაზღვრეთ* ***საკითხი*** *ისე, რომ ნათლად ჩანდეს რას სწავლობენ მოსწავლეები.* • *თემების სტრუქტურა გაერთიანეთ ერთ ფორმატში:* ***საკითხი → სამიზნე ცნებები → ქვეცნებები → აქტივობები/დავალებები → რესურსები.*** • ***III კლასი*** • *ყველა თემაში ჩაწერეთ* ***სამიზნე ცნებები და ქვეცნებები*** *და ჩამოაყალიბეთ* ***საკითხი შინაარსობრივად*** *(არა პარაგრაფების სახელებით).* • *გადაამუშავეთ დავალებები ისე, რომ შეესაბამებოდეს* ***ასაკობრივ შესაძლებლობებს*** *.* • *უზრუნველყავით, რომ* ***დავალებები პირდაპირ უკავშირდებოდეს თემაში განსაზღვრულ ცნებებსა და ქვეცნებებს.*** • *დააზუსტეთ* ***შემოქმედებითი დავალებების პირობები*** *(რა უნდა შექმნას მოსწავლემ, როგორ, რა მასალით და რა კრიტერიუმებით ფასდება).* • ***IV კლასი*** • *თითოეულ თემაში ჩაწერეთ* ***სამიზნე ცნებები და ქვეცნებები.*** • *საკითხები ჩამოაყალიბეთ* ***შინაარსობრივად,*** *არა პარაგრაფების ჩამონათვალით.* • ***V კლასი*** • *დაამატეთ* ***ქვეცნებები*** *ყველა თემაში.*

		• *თითოეულ თემაში ჩამოაყალიბეთ **საკითხი (რას სწავლობს მოსწავლე)**.*
		• *გააკონკრეტეთ **შემოქმედებითი დავალებები** (პროდუქტი, შესრულების ნაბიჯები, გამოყენებული მასალა).*
		• *დააკავშირეთ **მიზნები და დავალებები** ერთმანეთთან (რას ასწავლით → რა უნდა გააკეთოს მოსწავლემ).*
		• ***VI კლასი***
		• *დაამატეთ **ქვეცნებები** და გაასწორეთ **საკითხის ფორმულირება** (არ იყოს პარაგრაფების ჩამონათვალი).*
		• *განსაზღვრეთ **კონკრეტული შემოქმედებითი დავალებები**, სადაც მკაფიოდ ჩანს:*
		  ○ *რა ქმნის მოსწავლე,*
		  ○ *რომელი **სამიზნე ცნებები/ქვეცნებები** მუშავდება,*
		  ○ *რა შედეგია მოსალოდნელი.*
		
		საზოგადოებრივი მეცნიერებები
		
		***საშუალო საფეხურის** (მოქალაქეობა X,XI,XII კლ) კურიკულუმებში :*
		გაწერეთ სავალდებულო თემები სტანდარტის შესაბამისად.
		შუალედური მიზნები მოიყვანეთ შესაბამისობაში თემაში განსაზღვრულ ცნებებსა და ქვეცნებებთან.
		თითოეულ თემაში განსაზღვრეთ საკითხი ისე, რომ ნათლად ჩანდეს რას სწავლობენ მოსწავლეები.
		თემების სტრუქტურა გააერთიანეთ ერთ ფორმატში: საკითხი → სამიზნე ცნებები → ქვეცნებები → აქტივობები/დავალებები → რესურსები.
		ყველა თემაში ჩაწერეთ სამიზნე ცნებები და ქვეცნებები და ჩამოაყალიბეთ
		საკითხი შინაარსობრივად დააზუსტეთ შემოქმედებითი დავალებები პირობები (რა უნდა შექმნას

		მოსწავლემ, როგორ, რა მასალით და რა კრიტერიუმებით ფასდება). *გაწერეთ შემოქმედებითი დავალებები (პროდუქტი, შესრულებ ნაბიჯები, გამოყენებული მასალა).* *დააკავშირეთ მიზნები და დავალებები ერთმანეთთან (რას ასწავლით - რა უნდა გააკეთოს მოსწავლემ).* *განსაზღვრეთ კონკრეტული შემოქმედებითი დავალებები, სად მკაფიოდ ჩანს: რა ქმნის მოსწავლე, რომელი სამიზნე ცნებები/ქვეცნებებ მუშავდება, რა შედეგია მოსალოდნელი.* ***აღნიშნული საკითხების გამოსასწორებელ ვადად განისაზღვრა სკოლ მიერ შესაბამისობის გეგმით გაწერილი პერიოდი 2026 წლის სექტემბრამდე.***
ინდიკატორი N. 2.2.2.3	*საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამებისთვის*	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაშ 2026 წლის 30 სექტემბრამდე, უზრუნველყოს სკოლაში საბუნებისმეტყველ ლაბორატორიის მოწყობა.*
ინდიკატორი N. 2.2.2.4	*დაწყებითი საფეხურ საგანმანეთლებლო პროგრამისთვის*	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით გაწერილ ვადაში 20 წლის 30 სექტემბრამდე, კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურებ დაცვით გამოაცხადოს კონკურსი შესაბამის ვაკანტურ თანამდებობებზე.*

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	*სკოლის ფილოსოფია*	*რჩევა*
ინდიკატორი N.1.1.1.1	*სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგად განათლების ეროვნულ მიზნებს*	*სკოლის მისიის განაცხადი გადაიხედოს და განისაზრვროს იმგვარად, რომ ის მორგებული იყოს ყველა რელიგიური წარმომადგენელის*

		საჭიროებაზე და არ უსვამდეს ხაზს რომელიმე რელიგიის უპირატესობას და დომინანტობას. ასევე, უმჯობესი იქნება თუ ახალი მისიის შემუშავების პროცესში მაქსიმალურად იქნება ჩართული სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი.
ინდიკატორი-1.2.1.4	*სამოქმედო გეგმაში განსაზღვრული სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელიც უზრუნველყოფაც რეალისტურია*	1. *სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმაში უმჯობესია, რომ დაკონკრეტდეს, უშუალოდ, რა ღონისძიებებითა და აქტივობებით აპირებს სკოლა სტრატეგიული მიზნების შესრულებას.* 2. *მნიშვნელოვანია, გეგმაში გაწერილი იყოს ამოცანების შესაბამისად შესრულების მიახლოებითი ვადები.* 3. *მნიშვნელოვანია, სტრატეგიული გეგმით გაიწეროს პასუხისმგებელი პირების, სტრუქტურული ერთეულების და კონკრეტული ამოცანების შესრულებისთვის შესაბამისი რესურსების ჩამონათვალი*
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	***რჩევა***
ინდიკატორი-3.1.1.1	*სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული*	*სკოლის დებულებაში ასახოს სკოლაში არსებული სტრუქტურული ერთეულები სრულად და მოიყვანოს იგი სრულ ესაბამისობაში სტრუქტურული დიაგრამის აღწერილობასთან.*
ინდიკატორი N3.3.2.1.	*სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები*	*მნიშვნელოვანია, სკოლამ შეიმუშავოს და დაამტკიცოს საზოგადოებასთან ერთიერთობის და კომუნიკაციის წესის დოკუმენტი.*
3.4.1.1.	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური*	1. ***ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის მიზნით, სკოლის*** *ტერიტორია სრულად, უწყვეტად უნდა შემოიღობოს კაპიტალური ღობით.*

	უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა	*2. სკოლის ტერიტორიაზე უსაფრთხოების ნორმების მაქსიმალურად დაცვისთვის, მნიშვნელოვანია, სკოლის ეზო გათავისუფლდეს ყოველგვარი სახიფათო მეტალის ნარჩენებისგან.* ***3.*** *სასურველია სკოლას ჰყავდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი და შეიმუშაოს შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის ჩართულობით.*
ინდიკატორი-3.6.1.1	*ინფორმაციული ტექნოლოგიებ ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფ ადმინისტრაციული და სასწავლო პროცეს სრულფასოვან წარმართვას*	*სასურველია, რომ სკოლამ ბიბლიოთეკისთვის განსაზღვროს კომპიუტერი, რომ ბიბლიოთეკარმა შეძლოს არამატერიალურადაც აწარმოოს ელექტრონული აღრიცხვა.*
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***რჩევა***
ინდიკატორი N.4.2.2.2	*სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან*	*სასურველია სკოლამ შიმუშაოს „კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის დებულება“, სადაც სამიზნე ჯგუფი იქნება IX_XII კლასები. შეიმშაოს პროფესიული ორიენტაციის პროგრამა, განსაზღვროს გაწერილი აქტივობების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი.*
N.4.2.2.3	*მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად*	*სასურველია სკოლამ კარიერული განვითარების სერვისის გაუმჯობესების მიზნით, ჩაატაროს მოსწავლეების და კურსდამთავრებულთა გამოკითხვა, რამდენად დაეხმარა მოსწავლეს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული კარიერული დაგეგმვის სერვისი მისი უნარების და ინტერესების შესაბამისი პროფესიული არჩევანის გაკეთებაში ან/და უმაღლეს*

		საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელებაში, გამოკითხვის შედეგები, უკუკავშირი და ანალიზი სკოლას მისცემს შესაძლებლობას კიდევ უფრო ეფექტურად დაგეგმოს შესაბამისი აქტივობები.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*რჩევა*
ინდიკატორი N2.1.2.1.	*დაწყებითი, საბაზო და საშუალო საგანმანათლებლო პროგრამებისთვის*	ესთეტიკური აღზრდა *სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება* *საბაზო საფეხური:* • *სასურვლია VII კლასში პირველ თემაში გაწერილი სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების შესაბამისად გაასწოროთ ეს პუნქტი სხვა თემებშიც. საკითხი იყოს ჩამოყალიბებული და პასუხობდეს კითხვას რას სწავლობენ? არ უნდა იყოს პარაგრაფების ჩამონათვალი.* • *სასურველია VIII კლასში დაამატოთ ქვეცნებები. საკითხი იყოს ჩამოყალიბებული და პასუხობდეს რას სწავლობენ? არ უნდა იყოს პარაგრაფების ჩამონათვალი.* საბუნებისმეტყველო მეცნიერებები *კათედრას ვურჩევ, სამივე საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) კურიკულუმებში ასახონ ყველა ის შემოქმედებითი* დავალება თუ აქტივობა, რომელსაც ახორციელებენ. თითოეულ თემაში წარმოადგინონ მინიმუმ ერთი შემოქმედებითი დავალება

		სახელმწიფო ენა ***დაწყებითი*** *საფეხური. სასურველია, დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში შენარჩუნდეს კურიკულუმის ერთიანი ჩარჩო. მაგალითისათვის-მისაღებია მე-4 კლასის ჩარჩოს ფორმა და სწორედ ასეთი ტიპის ჩარჩოზე გქონდეთ ორიენტაცია.* **მათემატიკა** *კარგი იქნება, თუ ყველა საფეხურის მათემატიკის კურიკულუმებში მოსწავლეებისთვის უფრო მკაფიოდ და ცხადად იქნება გაწერილი ცნებები, თემები, საკითხები/საკითხთა კლასტერი, ყველა კონტექსტ-მაგალითი, პროექტი თუ კომპლექსური დავალების იდეა/პირობა შუალედური მიზანი, გამოკვეთილი იქნება მათი განხორციელებისთვის საჭირო ყველა აუცილებელი დანართი, ვიდეო, აუდიო, ციფრული თუ ელექტრული მასალა, სიმულაციები, ნახატები, ნახაზები, განმსაზღვრელი ან/და განმავითარებელი შეფასებები და სხვ.* **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური** *სასურველია, ყველა საგნის კურიკულუმებში მოსწავლეებისთვის უფრო მკაფიოდ და ცხადად იქნეს გაწერილი ცნებები, თემები, საკითხები/საკითხთა კლასტერი, ყველა კონტექსტ-მაგალითი, კომპლექსური დავალების იდეა, პირობა. რესურსები იყოს უფრო მრავალფეროვანი.* **უცხო ენების ექსპერტისგან** *სასურველია, სკოლამ გადახედოს დაწყებითი საფეხურის კურიკულუმს, გაასწოროს სამიზნე ცნებები. შემოქმედებით დავალებებში ჩანდეს დიფერენცირების ელემენტები. საბაზო-საშუალო საფეხურის კურიკულუმში დაამატოს მრავალფეროვანი*

		რესურსები. აღნიშნული რჩევა გაითვალისწინონ როგორც ინგლისურ, ასევე რუსულ და გერმანულ ენებში.
2.1.2.2	*დაწყებითი, საბაზო და საშუალო საგანმანათლებლო პროგრამებისთვის*	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** *დაწყებითი საფეხურის პედაგოგებს ვურჩევ, კურიკულუმების შედგენისას ითანამშრომლონ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრასთან და გაითვალისწინონ კოლეგების გამოცდილება, მათ შორის პირველი კლასის ბუნებისმეტყველების პედაგოგის გამოცდილებაც საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული ძირითადი თემებისა და სამიზნე ცნებების სვეტების შევსებისას.* **საზოგადოებრივი მეცნიერებები** *მიღწეული შედეგების გასაზომად, სასურველია ყველა კლასში წარმოდგენილი იყოს უფრო დაზუსტებული დიაგნოსტიკური შეფასების ინსტრუმენტები და კურიკულუმებში მკაფიოდ, შინაარსობრივი სიზუსტით ჩანდეს გრძელვადიანი მიზნები და ქვეცნებები.* *საშუალო საფეხურზე (მოქალაქეობა X,XI,XII კლ)* *გრძელვადიანი მიზნები და ქვეცნებები გაიმიჯნოს ერთმანეთისგან. დაკონკრეტდეს შემოქმედებითი ხასიათის დავალება თუ აქტივობა, რომელსაც უნდა ახორციელებდნენ თითოეულ თემაში. თემები და მოკლევადიანი მიზნები შესაბამისობაში იყოს ერთმანეთთან. განსაზღვრეთ მკვიდრი წარმოდგენები და შედეგები მოცემულ კურიკულუმებში.* **უცხო ენა** *სასურველია, კურიკულუმებში წარმოდგენილი სხვადასხვა საფეხურის სამიზნე ცნებები თანმიმდევრულად იქნას წარმოდგენილი. თითოეულ თემაში შუალედური მიზნების სახით*

		წარმოდგენილი შემოქმედებითი დავალებები უნდა უზრუნველყოფდეს მიზნის შესაბამისი საკითხების სიღრმისეულად დამუშავებას. **მათემატიკა** *მიზანშეწონილია ყველა საფეხურის მათემატიკის კურიკულუმებში გაწერილი ძირითადი კონტექსტ-მაგალითები, დავალების იდეა/პირობა შუალედური მიზანი, კომპლექსური დავალებები მათი შინაარსიდან გამომდინარე რაც შეიძლება თანაბრად იყოს განაწილებული დროში, ანუ დავალებათა შორის დროითი შუალედები იყოს დაახლოებით ერთნაირი. მეთოდური თვალსაზრისით გაუმართლებელია, რომ დავალებათა უმრავლესობა, რომლის განხილვასაც მასწავლებელი აპირებს ერთი სასწავლო წლის განმავლობაში დაგეგმილი იყოს ერთ სემესტრში. კურიკულუმები თითქმის არ შეიცავს კვლევითი პროექტების განხორციელებას სასწავლო პროცესში. საჭიროა კვლევითი პროექტების ჩართვა არა მარტო მათემატიკის, არამედ სხვა სასწავლო საგნების სწავლა/სწავლების პროცესში. მიზანშეწონილია, ინტერდისციპლინური (მათემატიკის და ბუნებისმეტყველების, მათემატიკის და მუსიკის, მათემატიკის და ხელოვნების, მათემატიკის და პოეზიის, მათემატიკის და მხატვრობის და სხვ.) საგნობრივი პროექტების ჩართვა .* **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური** *სასურველია, კურიკულუმებში, უფრო მკაფიოდ გამოიკვეთოს, თუ რომელი სამიზნე ცნება, კონკრეტულად რომელი საკითხით*

		მუშავდება. ასევე, გადამოწმდეს ის მიდგომა, რომ ყველა სავალდებულო თემაში, ყველა სამიზნე ცნება მუშავდებოდეს.
2.1.2.3.	*დაწყებითი, საბაზო და საშუალო საგანმანათლებლო პროგრამებისთვის*	**სახელმწიფო ენა** ***(საბაზო და საშუალო საფეხური)****სასურველია, მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებისა და სასწავლო პროცესის საინტერესოდ წარმართვის მიზნით, განსაკუთრებით საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმში, გაწეროთ მრავალფეროვანი რესურსები, რათა უზრუნველყოთ კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევა.* **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ექსპერტის რჩევა:** *სასურველია ყველა რესურსი,რასაც იყენებენ თემის დამუშავების პროცესში ასახონ კურიკულუმში არსებულ სვეტში „სასწავლო რესურსები“. სასურველია* *დამატებითი რესურსების უფრო დეტალური და კონკრეტული ჩამონათვალის შეტანა*
2.1.2.4.	*საბაზო და საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებისთვის*	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** *სასურველია, სწავლების დიფერენცირებული მიდგომა უფრო მკაფიოდ აისახოს წარმოდგენილ კურიკულუმებში, სადაც გამოიკვეთება მოსწავლის შესაძლებლობა გამოხატოს საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება მისთვის ეფექტური საშუალებით.*
2.1.2.5.	*დაწყებითი, საბაზო და საშუალო საგანმანათლებლო პროგრამებისთვის*	**საბუნებისმეტყველო** *სასურველია V-VI კლასების ბუნებისმეტყველების პედაგოგებმა ითანამშრომლონ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრასთან და გაითვალისწინონ მათი გამოცდილება შეფასების რუბრიკების შედგენისას.*

		საზოგადოებრივი მეცნიერებები *სასურველია შეფასების რუბრიკებში უფრო კონკრეტულად და ნათლად იყოს ასახული, შეფასების აღმწერი კრიტერიუმები.* **სახელმწიფო ენა** ***(საბაზო და საშუალო საფეხური)****შეფასების რუბრიკები, სასურველია, მორგებული იყოს კონკრეტულ დავალებებზე, რათა უფრო ნათლად გამოჩნდეს რას აფასებთ, მოლოდინები მოსწავლის შეფასებასთან დაკავშირებით ჩამოაყალიბეთ სამიზნე ცნებასთან მიმართებით მოსწავლის შედეგების მიღწევის ინდიკატორების მიხედვით. საორიენტაციოდ შეგიძლიათ ისარგებლოთ დაწყებითი საფეხურის შეფასების რუბრიკებით, რომლებიც დანართის სახითაა წარმოდგენილი კურიკულუმებში.* **მათემატიკა** *მიზანშეწონილია, რომ მასწავლებლებმა მეტი ყურადღება გამოიჩინონ დავალებების შერჩევისას და მათი შეფასების შესაბამისი კრიტერიუმების შემუშავებაში. გადაამოწმონ მითითებულ ელექტრო პორტალზე განთავსებული მასალები, არის თუ არა სრულ შესაბამისობაში მათი მოსწავლეების გონებრივ და ფსიქო-ფიზიოლოგიურ შესაძლებლობებთან, რამდენად მორგებულია პორტალზე განთავსებული დავალების შეფასების კრიტერიუმები სკოლის შესაბამისი კლასის მოსწავლეების შესაძლებლობებთან. თუ შესაბამისობაში არ არის ელექტრულ პორტალებზე განთავსებული დავალებები კონკრეტული კლასის მოსწავლეების ფსიქო-ფიზიოლოგიურ და გონებრივ შესაბამისობასთან, მოახდინონ ამ*

		დავალებების კორექტირება და შეუფარდონ კლასის მოსწავლეთა შესაძლებლობებს. **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური** *სასურველია ყველა საგანში, შეფასების რუბრიკებში რაიმე საკითხის/ კომპლექსური ტიპის დავალების/თემის/სასწავლო პროექტის/შემაჯამებელი დავალების შეფასებისას გაიწეროს კონკრეტული მოლოდინები/მიღწევის შედეგები თითოეულ სამიზნე ცნებასთან მიმართებით, სამიზნე ცნებაზე ორიენტირებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რათა მკაფიოდ გამოიკვეთოს კავშირი შუალედურ მიზანსა და გრძელვადიან მიზანს შორის.*
2.2.2.1.	*დაწყებითი, საბაზო და საშუალო საგანმანათლებლო პროგრამებისთვის*	**სახელმწიფო ენა** ***(საბაზო და საშუალო საფეხური)*** *სასურველია, ყველა კლასში, კურიკულუმებში წარმოდგენილი საკითხის შესაბამისად უზრუნველყოთ ელექტრონული თუ მატერიალური რესურსების მრავალფეროვნება* **მათემატიკა** *მიზანშეწონილია, მეტი ყურადღება მიექცეს იმ გრიფირებული სახელმძღვანელოებიდან დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში მათემატიკური ტერმინების გამოყენებას, რომლებიც თარგმნილია ქართულად და ზოგიერთი ტერმინის დასახელება მთარგმნელის მიერ რამდენადმე განსხვავდება ქართულ ენაში მიღებული და დამკვიდრებული ტერმინებისგან. ვთვლი, რომ როგორც სილაბუსებში, ისე მათემატიკის გაკვეთილებზე გამოყენებული უნდა იქნეს ქართულ ენაში დამკვიდრებული და საყოველთაოდ*

		აღიარებული მათემატიკური ტერმინები, ადგილი არ უნდა ქონდეს სწავლების სხვადასხვა საფეხურზე ერთი და იგივე შინაარსის მქონე ცნების სხვადასხვა, ერთმანეთისაგან განსხვავებული ტერმინების გამოყენებას. **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური** *სასურველია დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში სრულა შეიტანონ ის სასწავლო რესურსები, რასაც იყენებენ, მაგალითად საჭირ მატერიალური რესურსები; ელ.ბმულები.*
2.2.2.2.	*საბაზო და საშუალო საგანმანათლებლო პროგრამებისთვის*	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** *სასურველია კათედრის მიერ გადასინჯული და განახლებული იყოს ციფრული /მულტიმედიური რესურსები , როგორც ენობრივად ისე ხანდაზმულობის თვალსაზრისით.*
2.2.2.3	*დაწყებითი, საბაზო და საშუალო საგანმანათლებლო პროგრამებისთვის*	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** *კათედრას მიეცა რჩევა, ყურადღება მიექცეს ლაბორატორიაში უსაფრთხოების წესების დაცვას, ნივთიერებები, რომლებიც მოითხოვენ შენახვის განსაკუთრებულ პირობებს მოათავსონ შესაბამის პირობებში (მოარიდონ მზის სხივებს; მოთავსდეს დახურულ კარადებში)* **სპორტი** *სასურველია სკოლამ შეისყიდოს ტანვარჯიშული ინვენტარი (მაგ., ტანვარჯიშული სკამი, ტანვარჯიშული ლეიბები, შვედური კედელი, ბაგირი), რომ მასწავლებლებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, დაამატონ სასწავლო პროცესში ტანვარჯიშული ელემენტების სწავლება, რაც ხელს შეუწყობს მოზარდებში რაციონალური ტანადობის ჩამოყალიბებას და მოტორული უნარების განვითარებას.*

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ექსპერტთა ჯგუფმა სრულად გაიზიარა სკოლის მიერ არგუმენტირებული პოზიციით წარმოდგენილი მასალები და შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული რეკომენდაციების შესასრულებლად საჭირო პერიოდების საკითხი. აღსანიშნავია, რომ სკოლაში ექსპერტთა ვიზიტის დროს ვერ მოხერხდა პირველი ფლიგელის ლიფტის ფუნქციონირების შემოწმება და დასკვნის პროექტში აღნიშვნა, რის გამოც დასკვნის პროექტში გაიწერა ხარვეზი, რომლის მიხედვითაც სკოლის ინფრასტრუქტურა ვერ ქმნიდა სწავლისთვის ინკლუზიურ გარემოს. სკოლის მხრიდან არგუმენტირებული პოზიციის დაფიქსირებისა და დოკუმენტაციის(ფოტომასალა) წარმოდგენის შემდგომ, ექსპერტები დაეთანხმნენ სკოლის არგუმენტირებულ პოზიციას და ინდიკატორი 3.5.1.4 შეფასდა დაკმაყოფილებულად.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
თვითშეფასებაში:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სსიპ - ქალაქ ცაგერის საჯარო სკოლას აქვს შემუშავებული და დამტკიცებული სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები, რომლებიც გაწერილია სკოლის 2023-2030 წლების სტრატეგიული განვითარების შვიდწლიან გეგმაში (2023 წლის 4 სექტემბრს პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე (ოქმიN1)შეთანხმებით დამტკიცებულია 2023 წლის 5 სექტემბრის სამეურვეო საბჭოს სხდომაზე (ოქმიN 1)) და ასევე სკოლის 2025-2026 წლების სასკოლო სასწავლო გეგმაში.
სკოლის მისიაა:
სსიპ ქალაქ ცაგერის საჯარო სკოლა მოემსახურება და იზრუნებს განათლებული, კრიტიკულად მოაზროვნე, სრულფასოვანი, კომუნიკაბელური, კანონმორჩილი, ტოლერანტი პიროვნების ჩამოყალიბებაზე , რომელიც დაიცავს თავისი ქვეყნის ინტერესებს, იქნება თავისი ქვეყნის კულტურის, ტრადიციების და აღმსარებლობის პატივისმცემი და დამცველი, შემწყნარებელი, რითაც ღირსეული, მისაღები პიროვნება იქნება საზოგადოებისათვის და თანამედროვე სამყაროს გამოწვევებსა და მოთხოვნებს უპასუხებს.
სსიპ- ქალაქ ცაგერის საჯარო სკოლის მომავლის ხედვაა, რომ იგი იყოს მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებული ცოდნის კერა. თანამედროვე მოთხოვნათა და გამოწვევათა შესაბამისად, ზრუნავდეს თავისუფალი კომპეტენტური ადამიანის ჩამოყალიბებაზე. წვლილი შეჰქონდეს ქვეყნის სამეცნიერო, კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაში.
საქმიანობის პროცესში სკოლა ეყრდნობა შემდეგ ღირებულებებს: გამჭირვალობა, მიუკერძოებლობა, თანამშრომლობა, ობიექტურობა, განვითარება და ინოვაციურობა.
სკოლის მიერ წარმოდგენილი მისიაში ვკითხულობთ, რომ სკოლა იზრუნებს ისეთი მოქალაქის ჩამოყალიბებაზე, რომელიც პატივს სცემს და დაიცავს თავისი ქვეყნის კულტურას, ტრადიციას და აღმსარებლობას. რადგან სკოლა არის მულტიკულტურული დაწესებულება, სადაც სწავლობს სხვადასხვა კულტურისა და აღმსარებლობის მოსწავლე, ხოლო**„ზოგადი განათლების შესახებ“ კანონი** ემყარება დემოკრატიულ პრინციპებს და უზრუნველყოფს, რომ სასკოლო გარემო

იყოს უსაფრთხო და აკადემიური, რელიგიური ნიშნით განცალკევების გარეშე. აქედან გამომდინარე, სკოლას მიეცა **რჩევა:** ***სკოლის მისიის განაცხადი გადაიხედოს და განისაზღვროს იმგვარად, რომ ის მორგებული იყოს ყველა რელიგიური წარმომადგენელის საჭიროებაზე და არ უსვამდეს ხაზს რომელიმე რელიგიის უპირატესობას და დომინანტობას. ასევე, უმჯობესი იქნება თუ ახალი მისიის შემუშავების პროცესში მაქსიმალურად იქნება ჩართული სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი.***
მისია და ხედვა გამომდინარეობს სკოლის საჭიროებებიდან და სრულად შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს.

1.1.1.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლა თავისი მისიითა და ხედვით, ასევე მრავალწლიანი გამოცდილებით და სკოლის ძირითად დოკუმენტებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყველა მოსწავლე შეძლებს ცოდნის შეძენას, საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებას, საკუთარი პოტენციალის სრულყოფილად გამოვლენას, მომზადებას თანამედროვე გამოწვევებისთვის. სკოლის მისიაში კარგად არის წარმოჩენილი სკოლის როლი მოსწავლეთა სოციო-კულტურული კუთხით განვითარების მიმართულებით.

როგორც უკვე აღინიშნა, სკოლის მისია , ხედვა და ღირებულებები სრულად გამომდინარეობს სკოლის საჭიროებებიდან, რითაც იგი განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისათვის უსაფრთხო , ასევე პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურული სივრცე.

1.1.1.2.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაწერილია სკოლის შვიდწლიან სტრატეგიული განვითარების გეგმაში, სასკოლო სასწავლო გეგმასა და ერთწლიან სასწავლო გეგმაში. აღნიშნული დოკუმენტები არის სხვა და სხვა დროს დამტკიცებული სკოლის საზოგადოების წევრთა მიერ. მათ შორის : სამეურვეო საბჭო, სკოლის დირექცია, პედაგოგიური საბჭო. სკოლის დირექციასთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ უშუალოდ მისიის და ხედვის შემუშავებისას მშობელთა და მოსწავლეთა ჩართულობა ნაკლები იყო, მაგრამ ის ფაქტი, რომ შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა შეთანხმდა პედაგოგიურ საბჭოსთან და დამტკიცდა სამეურვეო საბჭოს მიერ, უკვე მიანიშნებს, რომ სასკოლო საზოგადოების თანამშრომლობით მოხდა მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავება.

1.1.1.3.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაზიარება სკოლამ უზრუნველყო რამდენიმე გზით: ინფორმაცია განთავსებულია სკოლის ფოიეში თვალსაჩინო ადგილზე, სკოლამ ისინი გააცნო მოსწავლეებს და მშობლებს კლასის კრებაზე დამრიგებელთა შუამავლობით. სკოლის მოქმედი მისიისა და ხედვის გაზიარება განხორციელდა სამეურვეო საბჭოს სხდომებზე ძირითადი დოკუმენტების დამტკიცების პროცესში და ასევე კლასის დამრიგებლების მეშვეობით, რაც გულისხმობს მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლებისთვის სკოლის მისიის შემუშავების პროცესში ჩართვას. სკოლამ წარმოადგინა შეხვედრის დამადასტურებელი მასალები, სადაც ასახულია ინფორმაცია თუ როგორ იყვნენ ჩართულები აღნიშნულ პროცესებში მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი, მოსწავლე და მასწავლებლები.

1.1.1.4.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაწერილია სკოლის სხვადასხვა ძირითად დოკუმენტში. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გამოკრულია სკოლის დერეფანში და განთავსებულია სკოლის ვებ გვერდზე.

1.1.1.5 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს

სკოლის სახელწოდება, სსიპ ქალაქ ცაგერის საჯარო სკოლა, სრულად შეესაბამება სტატუსის აღმნიშვნელ კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს, რომელიც განსაზღვრულია ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის **N448** ბრძანებით.

1.1.1.6 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *სასკოლო სასწავლო გეგმა;*
2. *სამეურვეო საბჭოს ოქმი;*
3. *პედაგოგიური საბჭოს ოქმი;*
4. *სკოლის ვებგვერდი-tsageri.pages.dev*

5. *სკოლის განვითარების 2023-2030 წლების სტრატეგიული გეგმა*
6. *ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2025-2026*
7. *ბრძანება სტრატეგიული დაგეგმარების ჯგუფის შექმნის შესახებ*
8. *პედსაბჭოს ოქმი N1*
9. *სამეურვეო საბჭოს ოქმი N1*

ფოტო მასალა;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლაში სტრატეგიული გეგმის მეთოდოლოგიის შემუშავების მიზნით,2023 წლის 11 სექტემბერს დირექტორის ბრძანება N 3-ით შეიქმნა გუნდი, რომელიც დაკომპლექტდა სასკოლო საზოგადოების წევრებისგან, რამაც უზრუნველყო პროცესის გამჭირვალობა და ყველა წევრის ინტერესების გათვალისწინება. სკოლის მიერ შემუშავებული სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტით განსაზღვრულია სკოლის პრიორიტეტები .
სკოლამ წარმოადგინა ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების ძირითად ეტაპებს, განსაზღვრავს პროცესზე

პასუხისმგებელ პირსა და პროცესში ჩართულ მხარეებს. წესი ასევე განსაზღვრავს აღნიშნული დოკუმენტების შემუშავების, განხილვის, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანის და გაზიარების მექანიზმებს, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის, შეფასებისა და სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხებს. მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი და მისი გადახედვა უნდა მოხდეს ყოველი სასწავლო წლის ბოლოს.

1.2.1.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლის სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი და გაწერილია 2023-2030 სასწავლო წლებზე. დოკუმენტში წარმოდგენილი მიმართულებები სკოლისთვის წარმოადგენს ძირითად სამუშაო რუტინას სასწავლო წლის მანძილზე ,სტრატეგიული მიზნები გამომდინარეობს სკოლის მისიიდან. თითოეული მიზანი ფორმულირებულია იმ გვარად ,რომ იგი ემსახურებოდეს სკოლის ხედვის მიღწევასა იმ ღირებულებებზე დაყრდნობით ,რომლებზეც შეთანხმებულია სასკოლო საზოგადოება. სტრატეგიული გეგმის ძირითადი მიმართულებებია:

- სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება;
- ადამიანური რესურსის განვითარება;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;
- უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა;
- სასკოლო საზოგადოების ჩართულობა;
- მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება;
- ორგანიზაციული განვითარება.

სკოლას აღნიშნული მიმართულებები განსაზღვრული აქვს სკოლის საჭიროებებიდან გამომდინარე და ისინი ეყრდნობა სკოლის ფილოსოფიით განსაზღვრულ ძირითად მიზნებს.გეგმით გაწერილი ამოცანები მიზნებთან თავსებადია.

1.2.1.2.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლის ერთწლიანი გეგმა სრულად ეფუძნება შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმას და წარმოადგენს მის ლოგიკურ გაგრძელებას. თითოეული წლიური მიზანი და ამოცანა შეესაბამება სტრატეგიულ მიმართულებებს და მიმართულია სკოლის მისიისა და ხედვის ეტაპობრივი რეაგირებისკენ. სკოლის დირექციამ აღნიშნა, რომ სკოლა პირველად ახორციელებს სისტემურ თვითშეფასებას, ხოლო სამომავლოდ მეტი გამოცდილებით ერთწლიანი გეგმის შემუშავება მათთის უფრო გააზრებული გახდება. თვითშეფასების პროცესის ფარგლებში გამოვლინდა სკოლის ძლიერი მხარეები, არსებული საჭიროებები და განვითარების პოტენციური მიმართულებები, რაც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს წლიურ პრიორიტეტებს და

რაც გაიწერა სტრატეგიულ გეგმაში, ხოლო ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ეფუძვნება შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმასაც თვთშეფასების დოკუმენტის პარალელურად.

1.2.1.3.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სკოლას სტრატეგიულ გეგმაში წარმოდგენილი აქვს რამდენიმე ძირითადი მიმართულება, რომელზედაც მუშაობას აპირებს გეგმით განსაზღვრული პერიოდის მანძილზე. ეს მიმართულებებია:

- სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება;
- ადამიანური რესურსის განვითარება;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;
- უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა;
- სასკოლო საზოგადოების ჩართულობა;
- მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება;
- ორგანიზაციული განვითარება.

მოცემულ მიმართულებებს და თემებს აქვს შესაბამისი სტრატეგიული მიზნები, რომლებიც თავის ნაწილში დაყოფილია ამოცანებად. სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმით გაწერილი ამოცანები არის ძალიან ფართო ცნების, ზოგადი და მოკლებულია კონკრეტიკას, უშუალოდ, რა ღონისძიებებითა და აქტივობებით აპირებს სკოლა სტრატეგიული მიზნების შესრულებას და რა ვადებში. უმჯობესია ამ ამოცანების დაშლა თანმიმდევრული აქტივობების, ღონისძიებების ჩამონათვალით, რომელსაც საბოლოო მიზანთან მივყავართ.

სკოლას სტრატეგიული გეგმით არ აქვს გაწერილი პასუხისმგებელი პირების, სტრუქტურული ერთეულების, შესაბამისი რესურსების ჩამონათვალი კონკრეტული ამოცანების შესრულებისთვის. ასევე, არ არის მითითებული ამოცანების შესრულების მიახლოებითი პერიოდები. მაგალითისთვის, თუ სკოლას ერთ-ერთ ამოცანად მითითებული აქვს ავტორიზაციის პერიოდისთვის მომზადება, შეუძლებელია ეს ამოცანები მოიცავდეს 7 წელს, როგორც ეს განსაზღვრულია ცხრილის მიხედვით. აღნიშნული ინფორმაცია მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ სტრატეგიული გეგმის განხორციელება უფრო რეალისტური გახდეს. ამისთვის სკოლას მიეცა **რჩევები:**

4. **სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმაში უმჯობესია, რომ დაკონკრეტდეს, უშუალოდ, რა ღონისძიებებითა და აქტივობებით აპირებს სკოლა სტრატეგიული მიზნების შესრულებას.**
5. **მნიშვნელოვანია, გეგმაში გაწერილი იყოს ამოცანების შესაბამისად შესრულების მიახლოებითი ვადები.**

6. **მნიშვნელოვანია, სტრატეგიული გეგმით გაიწეროს პასუხისმგებელი პირების, სტრუქტურული ერთეულების და კონკრეტული ამოცანების შესრულებისთვის შესაბამისი რესურსების ჩამონათვალი**

1.2.1.4.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;*
2. *2023-2030 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა;*
3. *2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;*
4. *სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026 წ.წ.*

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები, რომლების სტარტეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაშია აღწერილი, ანგარიშვალდებულებისა და მონაწილეობის პრინციპითაა შექმნილი. მონიტორინგის პროცესს, რომელიც განსაზღვრავს დაგეგმილი აქტივობების შესრულება/შეუსრულებლობას, მოსდევს შეფასების პროცესი, რომელიც პროცესს ხარისხობრივად აკონტროლებს. სკოლის მიერ შემუშავებულ სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში მკაფიოდ იკითხება მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები, სკოლას დადგენილი აქვს მეთოდოლოგიით სქემა, რითაც მოახდენს მონიტორინგის შედეგების ანალიზს. აღნიშნულზე დაყრდნობით სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. არსებობს სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარის ანგარიში 2025-2026 სასწავლო წლის პირველი სემესტრის მოცემულობით, სამოქმედო გეგმის შესახებ. შესაბამისად, იგეგმება წლიური სამოქმედო გეგმის შეფასება და მისი წარდგენა 2026 წლის ივნისის ბოლოს სამეურვეო საბჭოსადმი.

1.2.2.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

მეთოდოლოგიის შესაბამისად სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; მონიტორინგის პროცესს წარმართავს სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფი და სკოლის დირექცია, რომლებიც უზრუნველყოფენ კომუნიკაციას სტრუქტურულ ერთეულებთან და დაინტერესებულ მხარეებთან.

1.2.2.2ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სკოლის მეთოდოლოგიის შესაბამისად, მომდევნო სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს მექანიზმების ამოქმედებას. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშები რეგულარულად განთავსდება სკოლის ოფიციალურ ვებ გვერდზე, ეს უზრუნველყოფს, რომ ნებისმიერ დაინტერესებულ პირს.

1.2.2.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია..

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

სტრატეგიული განვითარების გეგმით გათვალისწინებული მიმართულებების შესრულება შეფასდება და გამოყენებული იქნება სკოლის განვითარებისათვის. სკოლა სამომავლოდ აპირებს რეგულარულად გამართოს შეხვედრები, ჩაატაროს გამოკითხვები, რომელზეც განიხილება სასკოლო ზოგადი საკითხები, გამოიკვეთება საჭიროებები, სუსტი მხარეები და მისი გადაჭრის გზები. სასწავლო წლის ბოლოს, პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე კათედრების თავმჯდომარეების, სკოლის დირექციის ანგარიშის საფუძველზე მოხდება სკოლის მუშაობის შედეგების ანალიზის გათვალისწინება. სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები გააანალიზდება, განისაზღვრება წარმატებული პრაქტიკა და სუსტი მხარეები. შემუშავდება შესაბამისი მიზნები, ამოცანები. აღნიშნული მოკვლევისა და ანალიზის შედეგები იქნება საჯაროდ ხელმისაწვდომი სკოლის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

1.2.2.4 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგია;*
2. *2023-2030 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა;*
3. *2025-2026 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;*

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა
3.1. პერსონალის მართვა
3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლის მიერ წარმოდგენილ იქნა სკოლის სტრუქტურის დიაგრამა, სადაც გრაფიკულად არის გაწერილი სკოლაში არსებული სხვადასხვა სტუქტურული ერთეულები და მათი ურთიერთმიმართება და დაქვემდებარება. ცაგერის საჯარო სკოლის მიერ ასევე წარმოდგენილია სსიპ ქალაქ ცაგერის საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 27 ივნისის N 17 ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტი „სსსიპ ქალაქ ცაგერის საჯარო სკოლის დებულება“, რომელშიც გაწერილია სკოლის სტრუქტურის საკითხები. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, სკოლის სტრუქტურული ერთეულებია: დირექცია, ადმინისტრაცია,

პედაგოგიურ საბჭო,სამეურვეო საბჭო , საგნობრივი კათედრები და ტექნიკური პერსონალი. სკოლის დირექცია-ადმინისტრაცია შედგება დირექტორის, დირექტორის მოადგილის, ბუღალტრის, საქმის მწარმოებლისა, საინფორმაციო მენეჯერისა და ბიბლიოთეკარისაგან.

სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრუქტურული დიაგრამის მიხედვით , სკოლაში ჩამოთვლილი სტრუქტურული ერთეულების გარდა ფუნქციონირებს დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, მრჩეველთა საბჭო. აღნიშნულიდან გამომდინარე, ეს ორი დოკუმენტი , სკოლის სტრუქტურული დიაგრამა და სკოლის დებულება ერთმანეთთან წინააღმდეგობაშია. სკოლას მიეცა **რჩევა: სკოლის დებულებაში ასახოს სკოლაში არსებული სტრუქტურული ერთეულები სრულად და მოიყვანოს იგი სრულ ესაბამისობაში სტრუქტურული დიაგრამის აღწერილობასთან.**

3.1.1.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლის სტრუქტურის დოკუმენტზე, შიდაგანაწესის დოკუმენტზე, სკოლის დებულებასა და ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტზე დაყრდნობით,სადაც გაწერილია სკოლის თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციები, ანგარიშ-ვალდებულებები და პასუხისმგებლობები, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

3.1.1.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *სკოლის სტრუქტურა;*
2. *საშტატო განრიგი;*
3. *გაფორმებული ხელშეკრულებები*
4. *დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები*
5. *შიდაგანაწესი*
6. *სკოლის დებულება*

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლაში დამტკიცებულია დოკუმენტი ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა'', რომლის მიზანია თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა. დოკუმენტის მიხედვით, ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების პოლიტიკის ამოცანებია: სკოლის ადამიანური რესურსების მართვა, დასაქმებულთა მუდმივი განვითარება, კვალიფიციური და შესაბამისი კადრების შენარჩუნება, კადრების შერჩევის პროცესის ორგანიზმება და მართვა, სამუშაო გარემოსთან ახალი თანამშრომლის ადაპტაცია, წახალისების სხვადასხვა ღონისძიებების დაგეგმვა და სხვ. დოკუმენტი ეფუძნება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, „მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2020 წლის 30 ივნისის N67/ნ ბრძანების, „მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის N241 დადგენილებისა და სხვა სამართლებრივი აქტების.

ასევე, სკოლის მიერ წარმოდგენილ სკოლის დებულების დოკუმენტში გაწერილია სკოლაში დასაქმებულ პირთა ფუნქციები, რაც უზრუნველყოფს დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვის პროცესების წარმართვას ეფექტიანად და კანონთან, დაწესებულების მისიასთან, ხედვასა და ღირებულებებთან შესაბამისობით. სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურა ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტიანად განხორციელებას.

სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ პერსონალის მართვა ხორციელდება საქართველოს შრომის კოდექსის, სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული სკოლაში თანამშრომლის მიღების წესის, ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესის, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის და სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად.

სკოლის მიერ ჩატარებული კონკურსების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვის შედეგად დადგინდა, რომ ახალი მასწავლებლის მიღება ხორციელდება კონკურსის გზით teacherjobs.ge-ზე განაცხადით. სკოლას აქვს შემუშავებული, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი პერსონალის მართვის მექანიზმები.

3.1.2.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალებით დადგინდა, რომ სკოლა ეყრდნობა პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტს, შინაგანაწესს და დასაქმებულებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს, დანიშვნის ოქმებს. ასევე, ვებ-გვერდზე teacherjobs.ge განთავსებულია პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომლითაც ხელმძღვანელობს სკოლა. სკოლის დირექტორთან გასაუბრების გზით დადგინდა, რომ დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში ხდება მისი ფუნქციების

გადანაწილება სხვა დასაქმებულზე. გარდა ამისა, შინაგანაწესი ადგენს სკოლაში სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის ორგანიზების მექანიზმებს, საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე განსაზღვრავს ამ პროცესის მონაწილეთა უფლება-მოვალეობებს, ასევე სკოლასა და მოსწავლეთა მშობლებს (კანონიერ წარმომადგენლებს) შორის ურთიერთობათა პირობებს; შინაგანაწესი ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ პირებზე, მოსწავლეებსა და მათ მშობლებზე/კანონიერ წარმომადგენლებზე, ასევე სკოლის ტერიტორიაზე მყოფ ნებისმიერ პირზე; იგი წარმოადგენს სკოლასა და სკოლაში დასაქმებულებს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. აგრეთვე შინაგანაწესით განსაზღვრულია: შრომითი ურთიერთობის წარმოშობა, დასაქმებულის დანიშვნა; სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო; სამუშაო ადგილი; სამუშაო დროის აღრიცხვა; სამსახურში დაგვიანებით გამოცხადება და გამოუცხადებლობის შეტყობინების წესი; შრომის ანაზღაურების გაცემა; ზეგანაკვეთური სამუშაო. სკოლაში ჩაცმულობის წესი; სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, სამუშაო და დასვენების დრო; შრომითი ურთიერთობის წარმოშობა; შრომითი ურთიერთობის პირობები; შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი; შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა, საბოლოო ანგარიშსწორება; დასაქმებულის წახალისების ფორმები და დისციპლინური პასუხისმგებლობა; შრომის პირობებთან დაკავშირებული ზოგადი ინსტრუქციები; სკოლაში უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. ვინაიდან, სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა,

2.1.2.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით

დირექციასთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრისას სკოლა ხელმძღვანელობს ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,მასწავლებლის საქმინობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის'' მოთხოვნათა შესაბამისად.

სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მასწავლებლის ვაკანტური საათების შესავსებად გამოცხადებული კონკურსი ტარდება გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით. კერძოდ, სკოლის დირექტორის ბრძანებით განისაზღვრება კონკრეტული ვაკანტური პოზიციისადმი წაყენებული საკონკურსო პირობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელიც ქვეყნდება საჯაროდ, teacherjobs.ge-ზე. დირექტორის ბრძანებით იქმნება საკონკურსო კომისია, რომლის შემადგენლობაც განსაძღვრულია კანონმდებლობით. რაც შეეხება სკოლის სხვა პერსონალს, მათი შერჩევა შესაძლებელია როგორც კონკურსის წესით, ასევე დირექტორის მიერ კანდიდატთან გასაუბრების გზით. გარდა ამისა, პირადი საქმეების გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ ყველა მასწავლებლის პირად საქმეში მოთავსებულია ცნობა ნასამართლობის შესახებ. 2020 წლის შემდეგ დანიშნულ მასწავლებელთა პირად საქმეებში ასევე წარმოდგენილია ცნობები სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ და უფლების ჩამორთმევის

შესახებ, რაც ადასტურებს იმ ფაქტს, რომ სკოლაში პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით.

3.1.2.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სსიპ ქალაქ ცაგერის საჯარო სკოლაში საშტატო ნუსხით დასაქმებულია 37 თანამშრომელი. მათ შორის 28 პედაგოგი, 19 უფროსი მასწავლებლი, 8 კი წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მქონეა. ასევე, სკოლას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მოსწავლეებისთვის ჰყავს 1 სპეც-მასწავლებელი.

პირადი საქმეების , საშტატო ნუსხის გაცნობისას და დირექციასთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლას ორ საგანში ჰყავს არასერთიფიცირებული პედაგოგი. ამავე დროს სკოლას არ აქვს გამოცხადებული კონკურსი აღნიშნული პედაგოგების შესაბამის ვაკანტურ თანამდებობებზე. აღნიშნული საკითხით ინდიკატორთან მიმართებაში გამოიკვეთა ხარვეზი ***სკოლას ორ საგანში ჰყავს არასერთიფიცირებული პედაგოგი. სკოლას არ აქვს გამოცხადებული კონკურსი აღნიშნული პედაგოგების შესაბამის ვაკანტურ თანამდებობებზე.***

სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შემდგომ ექსპერტებისგან მიიღო რეკომენდაცია: _სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით გაწერილ ვადაში 2026 წლის სექტემბრის თვის ბოლომდე, კანონმდებლობის მიხედვით უზრუნველყოს კონკურსის გამოცხადება შესაბამის ვაკანტურ თანამდებობებზე.

ასევე, დირექციასთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლის ბიბლიოთეკარი იყო დეკრეტულ შვებულებაში. ხოლო სკოლას შესაბამის თანამდებობაზე კონკურსი არ ჰქონდა გამოცხადებული. ***სკოლას არ ჰქონდა გამოცხადებული კონკურსი ბიბლიოთეკარის ვაკანტურ ადგილზე შესაბამისი კადრის მოსაძიებლად. აღნიშნული საკითხის მოსაგვარებლად სკოლამ არგუმენტირებული პოზიციით წარმოადგინა დოკუმენტები დირექტორის ბრძანება N 1/5 -ით(01.06.2026-ში) სკოლაში დეკრეტული შვებულებიდან ბიბლიოთეკარის დაბრუნებისა და მისთვის ხელშეკრულების გაგრძელების თაობაზე***

პირადი საქმეების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მათი საკვალიფიკაციო მოთხოვნები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. სკოლაში მასწავლებლებთან გაფორმებულია სამი კატეგორიის შრომითი ხელშეკრულება - უფროსი, წამყვანი და სპეციალური მასწავლებლის. წამყვან მასწავლებლებს შრომით ხელშეკრულებაში გაწერილია დამატებითი ფუნქციები. სპეციალურ მასწავლებლებთან გაფორმებულია უფროსი სპეციალური მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულება.

გარდა ხელშეკრულებისა, თანამდებობრივ ინსტრუქციებში გაწერილია ყველა თანამშრომლის მინიმალური კვალიფიკაცია და კონკურსის წესშიც არის ასახული კონკრეტული პოზიციისთვის საჭირო საკვალიფიკაციო მოთხოვნები. სკოლის მასწავლებელთა ვაკანსიების ელექტრონული განაცხადების გვერდის (https://teacherjobs.ge/) გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ სკოლას წინა წლებში გამოცხადებული ჰქონდა კონკურსი მასწავლებელთა ვაკანტურ ადგილებზე კანონის სრული დაცვით. სკოლის ექიმი შერჩეულია კანონის სრული დაცვით, რომელსაც ითვალისწინებს საქართველოს განათლებისა

და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის No41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული ,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესი''. სკოლამ იხელმძღვანელა კანონის შესაბამისად და აღნიშნულ პოზიციაზე მიიღო შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი.

3.1.2.4 ინდიკატორი მეტწილად არის დაკმაყოფილებული.

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლაში არსებული საგნობრივი კათედრები ორიენტირებულია გუნდური მუშაობის პრინციპზე. სკოლამ წარმოადგინა კათედრებზე პადაგოგთა შეხვედრების ოქმები სხვადასხვა საკითხში თანამშრომლობასთან დაკავშირებით. სკოლის დირექციასთან და პედაგოგებთან ჩატარებული ინტერვიუს და ასევე წარმოდგენილი დოკუმენტაციების გაცნობის შედეგად გამოიკვეთა, რომ კათედრებზე იგეგმება: სამოქმედო გეგმების შემუშავება, კურიკულუმების შემუშავება/გადახედვა, კათედრის წევრების გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება. ჩატარებული გაკვეთილების შემდეგ კათედრის სხდომაზე ხდება უკუკავშირის მიცემა და გამოცდილების გაზიარება. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ითვალისწინებენ საუკეთესო პრაქტიკას და ერთმანეთს აძლევენ რეკომენდაციებს. ასევე, სკოლაში შექმნილია თიმსისა და სოციალური ქსელის (facebook) ჯგუფები, სადაც კოლეგებს შორის ინტენსიურად ხდება სიახლეების, ინფორმაციის, დამხმარე რესურსების გაზიარება. სკოლაში არსებული სტრუქტურული ერთეულების: სამეურვეო საბჭოს, დისციპლინური კომიტეტის, პედაგოგიური საბჭოს და კათედრების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და შეხვედრების ოქმები ადასტურებს, რომ პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

3.1.2.5 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლაში არსებობს გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების, უკუკავშირის მიღებისა და პრაქტიკის გაუმჯობესების პრეცენდენტები, სკოლის სოციალურ ქსელში ყოველთვის ხდება სასწავლო, სასკოლო თუ სხვა სახის პროექტებთან დაკავშირებული წარმატებული პრაქტიკის შესახებ გამოცდილების გაზიარება. სკოლას შემუშავებული და 2025 წლის 5 სექტემბერს დირექტორის **ბრძანება ნ 26/ა**-ით დამტკიცებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, ასევე დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული არის სკოლაში ხარისხის განვითარებაზე პასუხისმგებელი პირი, დირექტორის მოადგილე, რომელიც თავის საქმიანობაში ეყრდნობა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტს.

3.1.2.6 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.სკოლის ორგანოგრამა;
2.ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
3.სამტატო განრიგი;
4.საკონკურსო კომისიის შექმნისა და კონკურსისი გამოცხადების შესახებ ბრძანებები;
5. საკონკურსო კომისიის შედეგების ოქმი;
6.მონაცემთა შეგროვება და ანალიზი მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებების შესახებ;
7. თანამშრომლეთა პირადი საქმეები;
8.შრომითი ხელშეკრულებები;
9.eschool ბაზის მონაცემები;
10. სკოლის შინაგანაწესი.
11. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი
12. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტის დამტკიცების ***ბრძანება ნ 26/ა***

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლამ წარმოადგინა პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის მიერ. აღნიშნული დოკუმენტის ამოცანაა, სკოლის ადამიანური რესურსების მართვა; სკოლის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად დასაქმებულთა მუდმივი განვითარება მაღალკვალიფიციური და შესაბამისი კადრების შენარჩუნება/მომზადების მიზნით; სკოლის მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვისათვის აუცილებელი ღონისძიებების დაგეგმვა, კადრების შერჩევის პროცესის ორგანიზება და მართვა; სკოლაში დასაქმებულთა პროფესიულ განვითარებასა და კარიერულ წინსვლაზე ზრუნვა, ამ მხრივ ძირითადი საჭიროებების განსაზღვრა და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება; სკოლაში შეფასების სისტემის დანერგვა; ადამიანური რესურსების საჭიროებათა უზრუნველსაყოფად სკოლის შესაძლებლობების ანალიზი და შეფასება; ანალიზის შედეგად საჭიროების დადგენის შემთხვევაში გაუმჯობესების გზების დასახვა და განხორციელება. სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც მასწავლებლებს ეხმარება საჭიროებების დადგენასა და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოკვეთაში, რომლის მიხედვითაც საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, ასევე სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შეთავაზებული ტრენინგების ჩამონათვალიდან მასწავლებლები შეარჩევენ სასურველს. სკოლაში არსებობს ურთიერთდასწრების პრაქტიკა, სასკოლო საზოგადოების ზეპირი გამოკითხვები, რის საფუძველზეც დგინდება კონკრეტული საჭიროებები და ხდება შესაბამისი პოზიტიური უკუკავშირის მიცემა.

3.2.1.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

მასწავლებლებს უტარდებათ შესაბამისი ტრენინგები/ვორქშოფები, რომლებსაც უზრუნველყოფი შიდა სასკოლო ადამიანური რესურსებით, ასევე _ მასწავლებლები საჭიროების შემთხვევაში თავადაც გეგმავენ ინდივიდუალურად წარმატებული სპეციალისტების მოსმენას/გამოცდილების გაზიარებას. დამკვიდრებული პრაქტიკაა მასწავლებლებს შორის გამოცდილების გაზიარება და ,,კრიტიკული მეგობრის'' ინსტიტუტის ფუნქციონირება. სკოლაში დირექტორის ბრძანებით შექმნილია ხარიხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. გასაუბრებით დადგინდა, რომ ჯგუფი აქტიურად თანამშრომლობს საგნობრივ კათედრებთან და ესწრება პედაგოგთა საგაკვეთილო პროცესს. მოსმენილი გაკვეთილის შესახებ ჯგუფის წევრები აძლევენ პედაგოგს უკუკავშირს, უკუკავშირს განიხილავენ კათედრაზე, ითვალისწინებენ და გასცემენ რეკომენდაციებს, საჭიროებიდან გამომდინარე გეგმავენ შემდეგ აქტივობებს. ხდება ურთიერთდასწრება გამოცდილების გაზიარების მიზნით. ასევე, კვალიფიკაციის ამაღლება ტრენინგებითა და სხვადასხვა აქტივობებით. სკოლის პედაგოგებთან გასაუბრებით გაირკვა, რომ აქტუალურია „კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტიც“

3.2.1.2.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

სკოლოს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები, დებულებები: ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი და შინაგანაწესი უზრუნველყოფს პერსონალის და მისი მოზიდვის მექანიზმებს; პერსონალის შერჩევას; სამუშაო აღწერილობებს; ორგანიზაციაში ადაპტაციას; პერსონალის შეფასებას; პერსონალის მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესებში ჩართულობას; პროფესიულ განვითარებას; წახალისებას და დისციპლინური პასუხისმგებლობას; თანამშრომელთა შორის კომუნიკაციას და არაფორმალურ ურთიერთობებს. შეფასება, როგორც სწავლის საშუალება, პროგრესის მონიტორინგი და მხარდაჭერა, უწყვეტი განათლების სერვისების შეთავაზება, კარიერული წინსვლა ნებაყოფლობითია, თანაბრად ხელმისაწვდომია და დამოკიდებულია კონკრეტული მასწავლებლის სურვილზე. პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები წახალისებულია დაწესებულების მიერ.

3.2.1.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

საჯარო სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი და ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი , სადაც განსაზღვრულია, თუ როგორ ზრუნავს სკოლა ახალი კადრის ადაპტაციის პროცესზე. გარდა ამისა, დოკუმენტში გაწერილია, თუ როგორ ხდება ახალი თანამშრომლის ადაპტაცია სასკოლო საზოგადოებასთან. საქმისწარმოებლის და კათედრის თავმჯდომარის მიერ ხდება ახალი თანამშრომლის გაწევრიანება სოციალური ქსელის დახურულ ჯგუფში. ახალ თანამშომელს გასაცნობად გადაეცემა სკოლის შინაგანაწესი. წარმოდგენილი დოკუმენტით და სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას აქვს ახალი თანამშრომლის გარემოსთან ინტეგრაციის პრაქტიკაც. სკოლაში ვუზრუნველყოფთ თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან; სკოლაში მოქმედებს თანამშრომელთა ადაპტირების მექანიზმი, რაც განსაზღვრულია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით, შინაგანაწესითა და სასკოლო კოლეგიალური კულტურით.

3.2.1.4 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

სკოლა ხელმძღვანელობს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით და შინაგანაწესით, სადაც გაწერილია პერსონალის წახალისების ფორმები. იყენებენ სიტყვიერი წახალისების ფორმებს. მოტივაციის ამაღლების მიზნით, სკოლა ასევე იყენებს წახალისების შემდეგ ფორმებს: მადლობის გამოცხადება; სიგელით დაჯილდოება; ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა. ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;დისციპლინური პასუხისმგებლობის ვადაზე ადრე მოხსნა;

3.2.1.5 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
2.სკოლის შინაგანაწესი;
3.პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
4.მასწავლებელთა საჭიროების მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის დოკუმენტი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლამ წარმოადგინა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 5 სექტემბრის №26/ა ბრძანებითაა დამტკიცებული და მოიცავს რეგულაციებს, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნას

ხარისხის უზრუნველყოფის დაგეგმვის პროცესში. გარდა ამისა, განსაზღვრავს: ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს/სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც ბრძანებითაა განსაზღვრული.

დოკუმენტის მიხედვით სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და შეფასების პროცედურის მიზანია მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა, რომელიც პირდაპირპროპორციულია სკოლის მისიის და საშუალებას იძლევა მიღწეული იქნას საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები. სკოლის სასწავლო პროცესის შეფასების ფაზა ციკლურია, შიდა ხარისხის მართვის სისტემა, რომელიც დაფუძნებულია ციკლზე: „დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე" ხელს უწყობს სკოლაში ხარისხის გაუმჯობესებას. სასკოლო სასწავლო გეგმა, კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, ხარისხის განვითარების ჯგუფის საქმიანობა ადასტურებს აღნიშნულ ინდიკატორს.

3.3.1.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლას საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები იდენტიფიცირებული და აღწერილი აქვს სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტსი. აღწერილია მმართველობითი პროცესები (სკოლის ადმინისტრაციული მართვა, დირექციისა და ადმინისტრაციის ფუნქციები მართვის პროცესში, გაწერილია პასუხისმგებლობები და ანგარიშვალდებულებები). საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები (ნაბიჯები და ეტაპები) იდენტიფიცირებული და აღწერილია ნაწილობრივ სკოლის შინაგანაწესში და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში. ძირითადი პროცესი - საგანმანთლებლო პროცესი - ნაწილობრივ აღწერილია სკოლის შინაგანაწესში და სსგ-ში. მაგალითად, დისციპლინური წარმოება ჩანს - შინაგანაწესში, პროცესები (საკადრო პოლიტიკა, საქმისწარმოების პროცესები და სხვა) აღწერილია სხვადასხვა დოკუმენტებში , როგორიცაა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი. ხელშეკრულებები და შინაგანაწესი აწესრიგებს შრომითი ურთიერთობის წარმოშობას და შრომითი ურთიერთობის პირობებს (სამსახურში გამოუცხადებლობის შეტყობინების წესს, ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობას და მიცემის წესს, შვებულებას ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო და სხვა). საქმისწარმოების პროცესები ეფუძნება საქმისწარმოების წესს.

3.3.1.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლაში თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვა ხდება სკოლის მიერ შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით (2025 წლის 8 ივნისს N 13 ბრძანებით) დამტკიცებული დოკუმენტის „განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესის“ შესაბამისად. სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით და წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეებისათვის მათი უფლებებისა და სკოლის მიერ დადგენილი წესების გაცნობას თითოეული კლასის დამრიგებელი ახორციელებს მათი ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. სკოლა ახორციელებს აღნიშნულ პროცესებს ობიექტურობის, გამჭვირვალობის და სამართლიანობის პრინციპების დაცვით. ამ დოკუმენტში გაწერილია ვის და როდის შეუძლია საჩივრის შეტანა, რა სახით/ფორმით, რა ვადებში. ეს პროცედურები სასკოლო საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომია, კლასის დამრიგებლები ამის თაობაზე აწვდიან ინფორმაციას მშობლებს, თანამშრომლები დირექციის მიერ ჩატარებულ შეხვედრაზე ეცნობიან ამ ინფორმაციას.

სკოლაში ფუნქციონირებს დისციპლინური კომიტეტი, რომელიც განიხილავს გადაცდომას მასწავლებლის, მოსწავლის ან სკოლის სხვა თანამშრომლის მხრიდან. პროცესები ასევე სკოლის შინაგანაწესითაც რეგულირდება, სადაც მოკლედ არის აღწერილი პროცედურები.

თითოეული მოსწავლის მშობელთან/მეურვესთან სკოლა აფორმებს ხელშეკრულებას, სადაც დეტალურადაა გაწერილი მხარეთა უფლება-მოვალეობები. აღნიშნული დოკუმენტი აგრეთვე ითვალისწინებს სკოლაში მოსწავლის, ან მოსწავლის მეურვის, პერსონალის მიერ გადაწყვეტილების გასაჩივრების პროცედურას. სკოლას დეტალურად აქვს განსაზღვრული თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა.

3.3.1.3.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები

სკოლას აქვს შემუშავებული და დამტკიცებული სკოლის დებულების დოკუმენტი, რომელშიც პერსონალის უფლებების ჩამონათვალის გარდა VIII თავით გაწერილი აქვს მშობლებთან კომუნიკაციის წესი. დოკუმენტში ასევე ასახულია მშობელთან, კანონიერ წარმომადგენელთან ურთიერთობის ფორმა და პრინციპები, სავალდებულო საგანმანათლებლო-საინფორმაციო თემატური შეხვედრები მშობლებთან, მოსწავლის მშობელთან კომუნიკაციის სტრატეგია და არხები. აღნიშნული დოკუმენტი ეყრდნობა შინაგანაწესს და ამყარებს მას პერსონალისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის კუთხით. წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლისა და სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლის თანამშრომლები, მოსწავლეები და მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები სკოლაში სარგებლობენ თავიანთი უფლებითა და თავისუფლებით თანაბრად. თანამშრომელთა და სკოლის უფლებები და ვალდებულებები გაწერილია თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში. მოსწავლის და მშობლის უფლებები და ვალდებულებები გაწერილია მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში.

პერსონალის და მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვისთვის სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, რომელშიც გაწერილია დისციპლინური გადაცდომების ნუსხა და დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეები. ხოლო სკოლაში არსებული დისციპლინური კომიტეტი უზრუნველყოფს კანონიერ უფლებებთან დაკავშირებული გადაცდომების განხილვისა და სამართლიანად გადაწყვეტის უზრუნველყოფას.

3.3.1.4 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.სკოლის შინაგანაწესი;
2. სასკოლო სასწავლო გეგმა;
3.დისციპლინური კომიტეტის ოქმები;
4.ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
5.საჩივრებისა და განცხადების განხილვის წესი;
6.კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
7. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
8. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
9.კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი;
10. ხარისხის განვითარების ჯგუფის დებულება.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლისა და დირექციასთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ სასწავლო წლის დასაწყისში, იმართება მშობელთა კრებებები, რომლებზეც დამრიგებლები მშობლებს აცნობენ სკოლის შინაგანაწესს, მოსწავლის ქცევის კოდექსს, სასკოლო სასწავლო გეგმას, მოსწავლეთა შეფასების სისტემას, სახელმძღვანელოების ნუსხას. ასევე, აწვდიან ინფორმაციას წლის განმავლობაში დაგეგმილი აქტივობების შესახებ. გარდა ამისა, იმართება დამრიგებლისა და საგნის პედაგოგების შეხვედრები მშობლებთან სხვადასხვა საკითხზე.

სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას, ახორციელებს ინფორმირებას, როგორც პირისპირ შეხვედრის დროს, ასევე სოციალური ქსელის საშუალებით (დახურული ჯგუფები). სკოლას სკოლის დებულების დოკუმენტით გაწერილი აქვს

მშობლებთან ურთიერთობის წესი, მაგრამ ამ ეტაპისთვის სკოლას არ წარმოუდგენია დოკუმენტის „საზოგადოებასთან ურთიერთობის და კომუნიკაციის წესი“ შესაბამისად, მნიშვნელოვანია საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებული უკუკავშირის ანალიზი და მომავალი საქმიანობების შედეგების შესაბამისი მიზნებით განსაზღვრა.
სკოლას მიეცა ***რჩევა: მნიშვნელოვანია, სკოლამ შეიმუშავოს და დაამტკიცოს საზოგადოებასთან ერთიერთობის და კომუნიკაციის წესის დოკუმენტი.***

3.3.2.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლის მართვის კოლეგიური ორგანოები დაკომპლექტებულია სასკოლო საზოგადოების წევრებით. კერძოდ: სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაში შედიან თითოეული საფეხურის მშობლები და მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ არჩეული ერთი წარმომადგენელი. ისინი მონაწილეობენ ისეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში, როგორიცაა სკოლის დირექტორის არჩევა, სკოლის ბიუჯეტის დამტკიცება, საჩივრების განხილვა, პედაგოგიური საბჭოს მიერ შემუშავებული სასკოლო სასწავლო გეგმის, სასწავლო მასალის, მათ შორის, გრიფმინიჭებული, პედაგოგების მიერ შერჩეული, სასწავლო წლის განმავლობაში გამოსაყენებელი სახელმძღვანელოების ნუსხის შეთანხმება.
პედაგოგიურ საბჭოში შედიან საგნის მასწავლებლები და სპეციალური მასწავლებლები. პედაგოგიური საბჭო იღებს ისეთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს, როგორიცაა სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცება და მასში ცვლილების შეტანა, თავისი წარმომადგენლის არჩევა დისციპლინურ კომიტეტსა და სამეურვეო საბჭოში და სხვა.
სკოლაში ფუნქციონირებს 7 საგნობრივი კათედრა. საგნობრივ კათედრებში გაერთიანებულები არიან მასწავლებლები საგნების მიხედვით. კათედრები ირჩევენ სახელმძღვანელოებს, კათედრის წევრები ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე, განიხილავენ შემაჯამებელი დავალებების ანალიზს.
დისციპლინური კომიტეტის შემადგენლობაში, თანაბარი რაოდენობით შედიან მასწავლებელი, მშობელი და საშუალო საფეხურის მოსწავლე. დისციპლინური კომიტეტი უფლებამოსილია განიხილოს დისციპლინური გადაცდომები.
მოსწავლეთა თვითმმართველობა იცავს მოსწავლეთა ინტერესებსა და უფლებებს, ხელს უწყობს სკოლაში არსებული კლუბების ფუნქციონირებას, გეგმავს სხვადასხვა სახის ღონისძიებებს, პროექტებს, გამოფენებს და სხვა.
მრჩეველთა საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან დირექციის წარმომადგენლები და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები.
სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით სკოლაში იქმნება სამუშაო ჯგუფი (ისგ), რომლის შემადგენლობაში შედიან საგნის მასწავლებლები, დამრიგებელი და მშობელი.
ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

3.3.2.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.პედაგოგიური საბჭოს ოქმები;
2. სამეურვეო საბჭოს ოქმები;
3.სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება
4.მეჩეველთა საბჭოს ოქმი
5. სკოლის დებულება
6. დისციპლინური კომიტეტის სხდომის ოქმი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

უნდა აღინიშნოს, რომქალაქ ცაგერის საჯარო სკოლა ახალი გარემონტებულია (2024-2025 წწ). სკოლის ორივე შენობის ორივე სართულზე და ეზოში მორიგე მასწავლებლები უზრუნველყოფენ წესრიგის. სკოლის პირველ სართულზე სასწავლო პროცესის

პერიოდში აკონტროლებს შენობაში შემომსვლელ პირებს და აღრიცხავს სარეგისტრაციო ჟურნალში დირექტორის ბრძანებით გამოყოფილი პირი. სკოლას ჰყავს დარაჯი, რომელიც ასევე პასუხისმგებელია სკოლის ტერიტორიაზე უცხო პირთა გადაადგილების კონტროლზე. სკოლა, ასევე ეყრდნობა შინაგანაწესს და შინაგანაწესის შესაბამისად, მოსწავლისა და მასწავლებლის მხრიდან დარღვევის დროს, დირექტორი ახდენს შესაბამის რეაგირებას.

სკოლა ასევე უზრუნველყოფს : საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების და პერსონალური მონაცემების დაცვას. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები. სკოლას 2025 წლის 10 აპრილის დირექტორის **ბრძანება N8/ა-ით** დამტკიცებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი, რომლითაც ხელმძღვანელობს პერსონალურ მონაცემებთან მუშაობის პროცესში. სკოლას დირექტორის მიერ. **ბრძ.N19** (21/07/2025)-ით დამტკიცებული აქვს საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის წესის დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია საზოგადოებრივ წესრიგზე პასუხისმგებელი პირის ფუნქცია-მოვალეობები.

სკოლის დოკუმენტების შესწავლისას და დირექციასთან გასაუბრებით გაირკვა, რომ სკოლას არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. ამისთვის სკოლას მიეცა ***რჩევა: სასურველია სკოლას ჰყავდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი და შეიმუშაოს შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის ჩართულობით.***

სკოლამ მოიპოვა სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროს დასკვნა. აღნიშნულ დასკვნაში ექსპერტების მიერ სკოლის ორივე შენობის მდგრადობა დადებითად არის შეფასებული და აღნიშნულია, რომ სკოლის შენობების ტექნიკური მდგომარეობა დადებითია და უსაფრთხოა შემდგომი ექსპლუატაციისთვის.

სკოლას არ აქვს სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნა, მაგრამ სკოლამ წარმოადგინა 2026 წლის 24 აპრილს ადგილობრივ საგანმანათლებლო რესურსცენტრთან მიწერილი თხოვნის წერილი **(MES 4 26 0000480928),** რომლითაც ის ითხოვს შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების საგანგებო სიტუაციების მართის სამსახურთან შუამდგომლობას სახანძრო უსაფრთხოების შემოწმებისა და დასკვნის მოპოვებასთან დაკავშირებით. **სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.**

სკოლაში არსებობს საზოგადოებრივ წესრიგისა და დასაქმებულ პირთა უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. ამასთან, სკოლას ჰყავს დარაჯები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შენობის და დასაქმებულ პირთა უსაფრთხოებას, სკოლაში მოქმედებს მასწავლებელთა მორიგეობა. სკოლას აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის N370 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის „ სახანძრო უსაფრთხოების წესების და პიროვნებისა შესახებ“ დოკუმენტი.

სკოლის ორივე შენობა აღჭურვილია ვიდეო სათვალთვალო კამერებით, მაგრამ აღნიშნული კამერები არ არის ჩართული. არ არის დამონტაჟებული და სისტემურად გამართული სათვალთვალო პუნქტი ვიდეომონიტორინგისთვის. სკოლაში დათვალიერების შედეგად ექსპერტების მხრიდან დასტურდება, რომ სკოლას აქვს შესაბამისი აღჭურვილობა ვიდეოსათვალთვალო სისტემის გასამართად. აქედან გამომდინარე, დასკვნის პროექტში დაფიქსირდა **ხარვეზი:** ***უსაფრთხოების დაცვის მიზნით სკოლა არ არის აღჭურვილი ვიდეო სათვალთვალო სისტემით.***

ხოლო სკოლის მხრიდან არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შემდგომ , სკოლას მიეცა რეკომენდაცი: შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, 2026 წლის 30 სექტემბრამდე, უზრუნველყოს სკოლაში არსებული ვიდეოსათვალთვალო სისტემის სრულყოფილად მონტაჟი და სისტემურად გამართვა ეფექტური ვიდეომონიტორინგისთვის.

სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დასაცავად მნიშვნელოვანია ეზო იყოს დაცული და უსაფრთხო სივრცე. ამისთვის პირველ რიგში საჭიროა ღობის უწყვეტობა. ცაგერის საჯარო სკოლის ტერიტორიის უმეტეს ნაწილზე არ აქვს ღობე. რის გამოც იგი არ არის გამიჯნული კერძო საკუთრების სივრცისგან. **რჩევა: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის მიზნით, სკოლის ტერიტორია სრულად, უწყვეტად უნდა შემოიღობოს კაპიტალური ღობით.**

ასევე, სკოლის ეზოში და დამხმარე ნაგებობაში განთავსებულია მოცულობითი და დიდი რაოდენობის მეტალის ჯართი(ამორტიზებული მერხები, სკამები, გათბობის სისტემის ქვაბები, ძველი სეიფები) რომელიც საჭიროებს დროულ ჩამოწერას და გატანას სკოლის ტერიტორიიდან.

სკოლას მიეცა **რჩევა:** ***სკოლის ტერიტორიაზე უსაფრთხოების ნორმების მაქსიმალურად დაცვისთვის, მნიშვნელოვანია, სკოლის ეზო გათავისუფლდეს ყოველგვარი სახიფათო მეტალის ნარჩენებისგან.***

3.4.1.1 ინდიკატორი მეტწილად არის დაკმაყოფილებული.

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლაში ფუნქციონირებს თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი და ჰყავს ექიმი, რომლის ვალდებულებაა პირველადი დახმარების აღმოჩენა. გადაუდებელ შემთხვევაში, იძახებს გადაუდებელი სასწრაფო დახმარების ბრიგადას (112-ში დარეკვით). სკოლაში სამედიცინო კაბინეტი სრულად არის აღჭურვილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი №41/ნ/01-23/ ბრძანებით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით. აგრეთვე, ექიმის ხელშეკრულებით, სკოლის დებულებით და ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტით გაწერილია სკოლის ექიმის უფლება-მოვალეობები, ვალდებულებები. დოკუმენტში განსაზღვრულია პირველადი გადაუდებელი დახმარების ძირითადი ელემენტები და განსახორციელებელი ქმედებები სხვადასხვა სიტუაციებში.

3.4.1.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლის დირექტორის მიერ შემუშავებული და დამტკიცებულია უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის დოკუმენტი **(ბრძ.N19 21/07/2025).** სკოლას უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირი ჰყავს დანიშვნული ბრძანებით, სკოლის დარაჯები, მორიგე პედაგოგები . სკოლის შესასვლელში შენობაში უცხო პირთა გადაადგილებას და შესაბამის რეესტრს აწარმოებს დარაჯი. შენობაში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს–„112“-ის ცხელი ხაზის ნომერი, წარმოდგენილი დოკუმენტაციით მოსწავლეებისათვის მოსწავლის უფლებებისა და წესების გაცნობა ხდება კლასის ხელმძღვანელების მიერ კლასის საათზე. სკოლა უზრუნველყოფს

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ №06/ნ ბრძანების საფუძველზე. სკოლაში დასაქმებულია სამი დარაჯი. სკოლას აგრეთვე შედგენილი აქვს პედაგოგების მორიგეობის სიაც, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალსწინებით სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას.

3.4.1.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

სკოლის დირექტორის მიერ შემუშავებული და დამტკიცებულია უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის დოკუმენტი (**ბრძ.N19 21/07/2025).** აღნიშნულ დოკუმენტზე დაყრდნობით, სკოლას აქვს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მექანიზმი, რომელიც ემსახურება სასკოლო საზოგადოებისათვის ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნას; მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებასა და მისი ღირსების დაცვას; სკოლის სტრუქტურული ერთეულების კოორდინირებულ მოქმედებას; ასევე, სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა მართავს საინფორმაციო შეხვედრებს, რომლის მიზანია ძალადობის საწინააღმდეგო ქმედებების შესახებ ცნობიერების ამაღლება. შეხვედრებისას განსახილველი თემებია: საკითხები ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ; დისკრიმინაციის წინააღმდეგ;ბულინგისა და კიბერბულინგის წინააღმდეგ; ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციასთან დაკავშირებით. საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი ახორციელებს საჭიროების შემთხვევაში რეფერირებას, ჩართული არიან პროცესში სპეციალური მასწავლებლებიც. ასევე სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭოც.

3.4.1.4 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას

სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. დამტკიცებულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი სკოლის მიერ დამტკიცებულ თანამდებობრივ ინსტრუქციებში გაწერილია დიასახლისების სამუშაო ვალდებულებები, დასუფთავების გრაფიკი, სტილი და ხარისხის კონტროლის მექანიზმები. სკოლაში დასაქმებულია საშტატო განრიგით დამტკიცებული 3 დამლაგებელი. მათთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები, სადაც მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული მათი ვალდებულებები. ასევე, სანიტარულ-ჰიგიენური საკითხები გაწერილია სკოლის დებულების დოკუმენტშიც. სკოლის დამლაგებლები ყოველდღიურად იცავენ სისუფთავეს სკოლის მთელ ტერიტორიაზე. სკოლის მახლობლად განთავსებულია მუნიციპალური დასუფთავების სამსახურის მიერ ნარჩენების ურნები. დამლაგებლები უზრუნველყოფენ სკოლის ეზოს სისუფთავეს, ათავისუფლებს ეზოს ბალახებისა და ნარჩენებისაგან. სკოლის სველი წერტილები მოწესრიგებულია და აღჭურვილია ყველა შესაბამისი ნივთით, რომელთა მომარაგებაზეც ზრუნავს სკოლის ასევე, საყოფაცხოვრებო ქიმია და სადეზინფექციო საშუალებები, ინახება სპეციალურად ამ მიზნისათვის განკუთვნილ, ჩაკეტილ

სათავსოში. სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. ყველა სველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით: ქაღალდი, საპონი, ხელსახოცი, ნარჩენების კალათა.

3.4.1.5 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლის დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულია პერსონალურ მონაცემთა დაცვასა და მის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი (ბრძანება N 8/ა; 10.04.2025) და სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესისა და მონიტორინგის მექანიზმების დოკუმენტი(ბრძანება N37- 01.09.2022). პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი აწესრიგებს სკოლის მიერ მონაცემთა დამუშავების საკითხებს, ის ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ და სკოლის სახელით მოქმედ ნებისმიერ პირზე და სავალდებულოა შესასრულებლად.

მშობელსა და სკოლას შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს შეთანხმება მოსწავლის პერსონალური მონაცემების გამოყენების თაობაზე. სკოლას ჰყავს დანიშნული პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, რომელიც ხელმძღვანელობს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესის დოკუმენტით.

3.4.1.6 ინდიკატორის დაკმაყოფილებულია.

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლაში დაცულია ინფორმაცია სკოლის მოსწავლეების, მასწავლებლების, მშობლების შესახებ. სკოლას აქვს შემუშავებული და დამტკიცებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და დაწესებულება უზრუნველყოფს მის ხელთ არსებული მონაცემების დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურების, მოპოვების, გამჟღავნების, დაკარგვის და ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისგან, ასევე იცავს ელექტრონული ინფორმაციის არაავტორიზებული მომხმარებლის მიერ წვდომისა და დაზიანებისგან. სკოლა იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს და გამოყენებული ნებისმიერი პროგრამა/ვებგვერდი არის ლიცენზირებული.

3.4.1.7 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

ვინაიდან დაწესებულება გადის პირველად ავტორიზაციას აღნიშნული 3.4.1.8 ინდიკატორი ვერ შეფასდება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.მრჩეველთა საბჭოს ოქმები;

2. დამლაგებლებთან გაფორმული ხელშეკრულებები

3.დარაჯთან გაფორმებული ხელშკრულება;

4.ექიმთან გაფორმებული ხელშკრულება;
5.პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმების დოკუმენტი.
6.წერილი სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან (მდგრადობის შესახებ)

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სსიპ ქალაქ ცაგერის საჯარო სკოლა არის ახალი რეაბილიტირებული. აღნიშნულ სკოლაში რეაბილიტაცია დასრულდა 2025 წელს. სკოლა კეთილმოწყობილია, დიდი და ნათელი საკლასო ოთახებით. ადაპტირებული შესასვლელებით და ასევე ადაპტირებული სველი წერტილებით. სკოლა სასწავლო პროცესს ახორციელებს ორ ძირითად შენობაში. სკოლის ორივე შენობა ორსართულიანია. საჯარო რეესტრის მონაცემების გადამოწმების შედეგად (ბოლო ამონაწერი: 07/08/2013 წლის), სკოლის შენობა განთავსებულია 11415.00 კვ.მ. ფართობის არასასოფლო სამეურნეო ნაკვეთზე. შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი:N01/02/03/04 ; შენობა N1- 1102.71 კვ.მ ; N02 – 956,64 კვ.მ; N03-34.80 კვ.მ; N04-31.20კვ.მ ; უძრავი ქონების საკადასტრო კოდი არის: 89.03.25.028 (მესაკუთრე - სახელმწიფო).

სკოლის შენობის პირველ ფლიგელში განთავსებულია: ადმინისტრაცია, დახურული სპორტული დარბაზი, საშუალო საფეხურის მოსწავლეთა საკლასო ოთახები, კომპიუტერული ლაბორატორიის ოთახი, თვითმმართველობის სამუშაო ოთახი, ბუღალტერიისა და საქმისმწარმოებლის ოთახი, დირექტორის კაბინეტი, სამასწავლებლო ოთახი , ბიბლიოთეკის ოთახი, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, ორი საპირფარეშო ოთახი.

ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში სკოლაში ირიცხებოდა 180 მოსწავლე, მათ შორის 3 სსსმ მოსწავლე. თვითშეფასების დოკუმენტის მიხედვით, სკოლას მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მითითებული აქვს 180 მოსწავლე, რაც არ შეესაბამება სკოლის რეალურ შესაძლებლობას. სკოლას მატერიალური ბაზით შეუძლია უზრუნველყოს 240 მოსწავლისთვის შესაბამისი მომსახურების გაწევა. ამიტომ, ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება სკოლის მიერ დადგენილ ზღვრულ რაოდენობას და სკოლას ვთავაზობთ აღნიშნული რაოდენობის 240-მდე გაზრდას, რაც სრულად შეესაბამება სკოლის შესაძლებლობებს , როგორც მატერიალური ბაზით, ასევე ინფრასტრუქტურის მიმართულებითაც. აქედან გამომდინარე, სკოლის ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს დადგენილი მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას 240 მოსწავლესთვის შესაბამისი მატერიალური რესურსი(მერხი და სკამი). საკლასო ოთახებში განთავსებულია ერთადგილიანი მერხები და სკამები, მასწავლებლებისათვის განკუთვნილი მაგიდა და სკამი, დაფები და სხვა სასწავლო ინვენტარი.

სკოლის მეორე შენობაში არის განთავსებული დაწყებითი და საბაზო საფეხურის მოსწავლეთა სასწავლო კორპუსი. აღნიშნულ შენობაში არის: საბუნებისმეტყველო ლაბორატორისთვის განკუთვნილი ოთახები, ექიმის კაბინეტი, რესურს ოთახი, სათავსო ოთახები, სასაწყობე ოთახი, ბუფეტის სასადილოს ფართი. ასევე, სკოლას აქვს გარე სპორტული მოედნისთვის სივრცე.

სკოლას სველი წერტილები განთავსებული აქვს როგორც შენობების შიგნით, ასევე შენობის გარეთ, ეზოში. აღნიშნული საპირფარეშოები შედარებით ძველი პერიოდის არს და სკოლას აქვს ჩაკეტილ მდგომარეობაში. მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში სკოლა მათ იყენებს.

მიუხედავად იმისა, რომ სკოლას შენობების ორივე ფლიგელში გამოყოფილი აქვს ფართი საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებისთის, სკოლაში ექსპერტთა ვიზიტის ეტაპისთვის არ ჰქონდათ საბუნებისმეტყველო ლაბორატორია. აქედან გამომდინარე, დასკვნის პროექტში დაფიქსირდა *ხარვეზი, რომ სკოლა ვერ უზრუნველყოფდა საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს, სკოლას არ ჰქონდა საბუნებუსმეტყველო ლაბორატორია.*

სკოლა არგუმენტირებული პოზიციით დაეთანხმა აღნიშნულს და შესაბამისობის გეგმით განსაზღვრა საკითხის მოგვარების პერიოდი 2026 წლის 30 სექტემბრამდე. ***აღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლას მიეცა რეკომენდაცია: შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, 2026 წლის 30 სექტემბრამდე, უზრუნველყოს სკოლაში საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა.***

3.5.1.1. ინდიკატორი მეტწილად არის დაკმაყოფილებული.

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

მოსწავლეებისთვის სკოლაში არსებობს რეკრეაციული სივრცეები (ფოიე, დერეფანი, გამწვანებული ეზო) სხვა მოსწავლეებთან ან მასწავლებლებთან კომუნიკაციისთვის. ასევე, სკოლაში არსებობს სივრცე მოსწავლეთა პრაქტიკული აქტივობებისთვის (დარბაზი,).

სკოლის დირექტორის 2025 წლის 15 ივლისის ბრძანება N19-ით შემუშავებული და დამტკიცებული აქვს მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, რომლის ძირითადი მიზანია სკოლაში არსებული ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ეფექტურად წარმართვის უზრუნველყოფა.

სკოლის შენობაში არის საერთო სარგებლობის სივრცეები: კომპიუტერული ლაბორატორია, საბუნებისმეტყველო საგნებისთვის ინდივიდუალურად განკუთვნილი ოთახები, სსსმ მოსწავლეთათვის სპეციალური ოთახი და სამასწავლებლო. სკოლის ფოიე, დერეფნები და ეზო იძლევა საშუალებას სხვადასხვა აქტივობების ჩასატარებლად და სრულფასოვანი დასვენებისთვის.

3.5.1.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით

ცაგერის საჯარო სკოლის ბიბლიოთეკა განთავსებულია შენობის მეორე სართულზე. დირექტორის N24/ა ბრძანებით დამტკიცებული სკოლის ბიბლიოთეკის დებულებიდან გამომდინარე, მუშაობის მიზანს წარმოადგენს მოსწავლეთა განათლების, კულტურისა და ზოგადი ინფორმირების ფორმები.

ბიბლიოთეკის შესასვლელში გამოკრულია სამუშაო საათები და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები. ბიბლიოთეკაში წიგნები განლაგებული არ არის ანბანის კატალოგის მიხედვით, ასევე ვიზიტის დროს სკოლაში არ იყო ბიბლიოთეკარი, რომელიც, როგორც დირექციისგან გავიგეთ დეკრეტულ შვებულებაში იყო. სკოლას არ ჰქონდა გამოცხადებული ვაკანსია ბიბლიოთეკარის პოსტზე. არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შემდგომ სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი დოკუმენტები, რომლითაც დაადასტურა ბიბლიოთეკარისთვის ხელშეკრულების გაგრძელების ფაქტი.

3.5.1.3.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს

სკოლაში არსებული ინფრასტრუქტურა სრულად ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს: სკოლის შესასვლელში არის სკოლის მიერ გაკეთებული პანდუსი , ადაპტირებული სველი წერტილი ეზოში, რესურს-ოთახი. ამ ეტაპზე სკოლას არ ჰყავს შშმ პირი, მაგრამ გარემო შესაბამისად არის ადაპტირებული, რაც ნებისმიერ დროს იძლევა საშუალებას შშმ პირებისთვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსების, ბიბლიოთეკით სარგებლობის, საბუნებისმეტყველო კაბინეტში არსებული რესურსებისა და ინფორმაციულ- საკომუნიკაციო ტექნოლოგიების კაბინეტით ხელმისაწვდომობის.

შენობის N1 და N 2 ფლიგელებს აქვთ ლიფტები, ასევე, პირველ შენობას აქვს შესასვლელისთვის ცალკე ლიფტი, ხოლო სპორტული დარბაზისთვის ცალკე.

აღსანიშნავია, რომ სკოლაში ექსპერტთა ვიზიტის დროს ვერ მოხერხდა პირველი ფლიგელის ლიფტის შემოწმება და დასკვნის პროექტში აღნიშვნა, ამის გამო დასკვნის პროექტში გაიწერა ხარვეზი, რომლის მიხედვითაც სკოლის ინფრასტრუქტურა ვერ ქმნიდა სწავლისთვის ინკლუზიურ გარემოს. *სკოლის მხრიდან არგუმენტირებული პოზიციის დაფიქსირებისა და დოკუმენტაციის(ფოტომასალა) წარმოდგენის შემდგომ, ექსპერტები დაეთანხმნენ სკოლის არგუმენტირებულ პოზიციას და ინდიკატორი შეფასდა დაკმაყოფილებულად.*

3.5.1.4. ინდიკატორი ადაკმაყოფილებულია.

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლა არაფორმალური განათლების მიმართულებით სხვადასხვა კლუბებს და აქტივობას სთავაზობს მოსწავლეებს და ამისთვის იყენებს სკოლის ფოიეს და დერეფნებს, სკოლის ეზოს, საკლასო ოთახებს, სპორტულ დარბაზს და კაბინეტებს. მათი ნაწილი ინიცირებულია უშუალოდ მოსწავლეთა თვითმმართველობის ჩართულობით. ამ გზით, სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეებში ინდივიდუალური, ესთეტიკური, შემოქმედებითი, სოციალური და თანამშრომლობითი კომუნიკაციის უნარების განვითარებას.

3.5.1.5 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *.მატერიალური რესურსების ფლობის დიკუმენტაცია;*
2. *ინვენტარიზაციის შედეგები;*
3. *3.შენობის დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდი ვადის დასრულების ოქმი;*
4. *ბიბლიოთეკის დებულება.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას; სკოლას აქვს სასკოლო-სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისთვის აუცილებელი საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. სკოლაში მოქმედი 26 პერსონალური კომპიუტერია და 34 ლეპტოპი. ასევე, სკოლაში არის 3 პროექტორი, 3 პრინტერი.
კომპიუტერულ ლაბორატორიაში ტარდება კომპიუტერული ტექნოლოგიების გაკვეთილები. საჭიროების შემთხვევაში საგაკვეთილო პროცესში, ნებისმიერ მასწავლებელს შეუძლია პროექტორით და კომპიუტერით სარგებლობა.
სკოლის მთელი ტერიტორია დაფარულია ინტერნეტით, აღნიშნულის გათვალისწინებით სკოლაში არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას.
სკოლის ბიბლიოთეკაში არ არის კომპიუტერი და სკოლას მიეცა **რჩევა**, *სასურველია, რომ სკოლამ ბიბლიოთეკისთვის განსაზღვროს კომპიუტერი, რომ ბიბლიოთეკარმა შეძლოს არამატერიალურადაც აწარმოოს ელექტრონული აღრიცხვა.*

3.6.1.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. სკოლას შემუშავებული აქვს ტექნოლოგიების კაბინეტით სარგებლობის წესი, მასწავლებლების სარგებლობაშია ასევე პერსონალური კომპიუტერები, ლეპტოპები, პროექტორი და სხვა ტექნიკა საგნობრივი პროგრამების მიზნების მიღწევს ხელშეწყობისათვის.

3.6.1.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.სტრატეგიული განვითარების გეგმა (გაწერილია ციფრული განვითარების პუნქტები);
2.საინფორმაციო ტექნოლოგიების ფლობის დოკუმენტაცია (მიღება-ჩაბარების აქტები).

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი; აღნიშნული წესი ადგენს ერთიან მოთხოვნებს სკოლის მმართველობით საქმიანობისთან დაკავშირებული დოკუმენტბრუნვის, დოკუმენტების შესრულების კონტროლის ორგანიზების, დოკუმენტების შემდგომი შენახვისა და გამოყენებისათვის მოსამზადებლად. საქმისმწარმოებელთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება, ის უზრუნველყოფს საქმისწარმოების გამართულად მუშაობას; ახორციელებს სასკოლო დოკუმენტაციის აღრიცხვასა და რეგისტრაციას; ახორციელებს მოსწავლეების ჩარიცხვა-ამორიცხვას, უზრუნველყოფს სკოლის არქივის დაცვას, გასცემს დოკუმენტაციის დამოწმებულ ასლს, ასევე უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის გაცემას, იღებს შემოსულ კორესპონდენციას, უზრუნველყოფს შემოსული კორესპოდენციის შესწავლასა და ადრესატისთვის წარდგენას და სხვა. ბრძანებები სისტემატიზებულია საკადრო და საერთო ბრძანებებად. ბრძანებები ინომრება წლიდან წლამდე, გამოცემის თარიღისა და რიგითობის მიხედვით.

3.6.2.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა (Eflow)-სახით. სკოლაში, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (eSchool) მეშვეობით ხდება ბაზაში მოსწავლეთა მობილობის,

სტატუსის შეჩერების, ჩარიცხვა-ამორიცხვის და დასაქმებული პერსონალის პერსონალური ინფორმაციის ასახვა. სკოლას აქვს ელექტრონული ფოსტა, სადაც ხდება ზოგიერთი ინფორმაციის და დოკუმენტის მიიღება.

3.6.2.2.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში

ვიზიტის მიმდინარეობისას, ექსპერტები გაეცნენ სკოლის პროფილს ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. როგორც გაირკვა, სკოლას სრულად აქვს ასახული მონაცემები სკოლის ბარათზე. სრულყოფილია ინფორმაცია მასწავლებლების შესახებაც და ატვირთულია შესაბამისი მტკიცებულებები.

3.6.2.3.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან

სკოლა იყენებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირს და ინფორმაციას საგანმანათლებლო მარეგულირებელ უწყებებს. აღნიშნული დასტურდება შემოსული და გასული კორესპონდეცნიების ჟურნალში გატარებული მონაცემებით. დაწესებულება საჩხერის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრის შუამდგომლობის საფუძველზე, მიმართავს საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს, ასევე, სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ სხვადასხვა საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს.

სკოლა, ყოველწლიურად, კანონით დადგენილ ვადებში, ყოველი წლის 10 დეკემბერს წარუდგენს ანგარიშს საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტს, საქართველოს პრემიერ-მინისტრს და "საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს".

3.6.2.4.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემები;

2.შემოსული და გასული კორესპონდენციები;

3.ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში არსებული პროფილი.

4.საქმისწარმოების წესის დოკუმენტი

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლის სახელზე შექმნილია ოფიციალური პროფილი შემდეგ მისამართზე: https://skolebi.emis.ge/, სადაც სკოლას განთავსებული აქვს შესაბამისი ინფორმაცია და ის ასრულებს აქტიური საკომუნიკაციო საშუალების ფუნქციას. სკოლას აქვს პერსონალური ვებ გვერდიც https://tsageri.pages.dev/#programs . გარდა ამისა, სკოლა საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელ facebook-ს, სადაც გახსნილი აქვს თავისი გვერდი და იძლევა წერილის მიწერის შესაძლებლობას, ასევე სკოლის ფოიეში განთავსებულია საინფორმაციო დაფა, სადაც ხდება სასკოლო ცხოვრებაში მიმდინარე სიახლეების გამოქვეყნება. დამრიგებლის სამუშაო გეგმა და დებულება განსაზღვრავს დამრიგებლის ვალდებულებას, მუდმივი კომუნიკაცია ჰქონდეს მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან და მიაწოდოს ყველა საჭირო ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური მოსწრების, დისციპლინისა და სასკოლო ცხოვრების შესახებ. სკოლა თანამშრომლობს ერთ-ერთ საგანმანათლებლო საიტთან(https://www.etm.ge/), სადაც ხშირად თავსდება სკოლის სიახლეები და მიმდინარე ღონისძიებების ამსახველი მასალა და აღწერილობა. სკოლის ვებ-გვერდი და სოციალური ქსელი არის ღია, საჯარო და ხელმისაწვდომი ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია ელექტრონულ ჟურნალში, რომელსაც ხედავენ შესაბამისი მასწავლებლები და მშობლები.

3.6.3.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის, მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას და ამისთვის იყენებს ოფიციალურ ვებ.გვერდს (skolebi.emis.ge) სოციალურ ქსელს და სხვა საკომუნიკაციო საშუალებებს. სკოლის ფეისბუქ გვერდის დათვალიერებით, ჩანს რომ დაინტერესებული პირებისთვის მიწოდებული ინფორმაცია მოსწავლეებისთვის განკუთვნილი სასწავლო თუ შემეცნებითი ღონისძიებები, არის სანდო, რამდენადაც ყველა ინფორმაცია გავრცელებულია ოფიციალური გვერდიდან. მოსწავლეებს დროულად მიეწოდებათ ინფორმაცია ოლიმპიადების, კონკურსების, კონფერენციების შესახებ. ასევე, პირველკლასელთა რეგისტრაციის ვადები ეცნობებათ მშობლებს დროულად. ამისათვის გამოიყენება სოციალური ქსელები, ელექტრონული ფოსტა, საინფორმაციო დაფები, პირდაპირი ან სატელეფონო კომუნიკაცია, დახურული ჯგუფები. სკოლაში მოქმედი დებულების თანახმად განსაზღვრულია მშობლებთან კომუნიკაციის საშუალებანი, ფორმები და პერიოდულობა(მუხლი 19)

2.6.3.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას ინდიკატორი 3.6.3.3. ვერ იქნება შეფასებული;

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი და შესაბამისი გვერდი skolebi.emis.ge, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე.

3.6.3.4. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სსიპ ქალაქ ცაგერის საჯარო სკოლას აქვს ორი ვებ გვერდი (Skolebi.emis.ge; https://tsageri.pages.dev/#programs) და ერთი ოფიციალური პროფილი(https://www.facebook.com/kalak.tsageris.sajaro.sk.ola) სოციალური ქსელების ფეისბუქ პლათფორმაზე. სკოლის არც ერთ გვერდზე არ არის განთავსებული ინფორმაცია სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრუქტურის, პროგრამების სახელწოდებების, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურების და მისანიჭებელი კვალიფიკაციის, სასწავლო პროცესებთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნების, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისების, გასაჩივრების მექანიზმების, ფინანსური მდგრადობის და სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების შესრულების შესახებ ინფორმაცია. Skolebi.emis.ge-ზე სკოლას აქვს საკონტაქტო ინფორმაცია განთავსებული.

დასკვნის პროექტში ექსპერტთა მხრიდან გაიწერა ხარვეზი: ***<u>სკოლას ოფიციალური ვებ გვერდზე არ აქვს განთავსებული ყველა სავალდებულო ინფორმაცია .</u>***

სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენითა და შესაბამისობის გეგმით აღნიშნული საკითხის მოგვარების ვადად განსაზღვრა 2026 წლის 30 სექტემბრამდე პერიოდი. შემდეგზე დაყრდნობით, ***<u>სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით</u> <u>განსაზღვრულ ვადაში, 2026 წლის 30 სექტემბრამდე, უზრუნველყოს სკოლის ოფიციალურ ვებ გვერდზე ინდიკატორით განსაზღვრული</u> <u>ყველა სავალდებულო ინფორმაციის საჯაროდ განთავსება.***

3.6.3.5 ინდიკატორი მეტწილად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.სკოლის ვებ-გვერდები:(Skolebi.emis.ge; https://tsageri.pages.dev/#programs)
2.სკოლის ფეისბუქ გვერდიhttps://www.facebook.com/kalak.tsageris.sajaro.sk.ola)
3.მართვის საინფორმაციო სისტემის პროფილი;
4.სკოლის ელექტრონული ფოსტა;
5.მონაცემთა შეგროვება და ანალიზი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის დაფინანსების წყაროა „ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2026 წლის იანვრის თვის დადგენილებით გათვალისწინებული ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივის შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერი. დაფინანსების წყაროები ასახულია სკოლის ბიუჯეტში და მიემართება სკოლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ აქტივობების განხორციელებას. თანხის განკარგვა მიზნობრივია და სრულად ხმარდება სკოლის ინფრასტრუქტურის განვითარებას, სწავლა-სწავლების პროცესს და სკოლის განვითარებისაკენ მიმართულ სხვა აქტივობებს/ღონისძიებებს. საჭირო რესურსების მისაღებად სკოლა მიმართავს შესაბამის ორგანოებს და უზრუნველყოფს

სკოლის სრულ ფინანსურ უზრუნველყოფას. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება .

3.7.1.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა

სკოლა ბიუჯეტის განკარგვას უზრუნველყოფს სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით, ფინანსური ანგარიშგება კანონმდებლობით დადგენილი წესით ხორციელდება და შესრულების ანგარიში წარედგინება ფინანსურ სამსახურს. ყოველი წლის 31 დეკემბრამდე დირექცია ბიუჯეტის პროექტს დასამტკიცებლად წარუდგენს სამეურვეო საბჭოს და მასთან ერთად განიხილავს პრიორიტეტულ საკითხებს, საჭიროების შემთხვევაში ხდება შესყიდვების გეგმის კორექტირება. სკოლის დირექტორი პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარის, საგნობრივი კათედრების, ბუღალტრის, დირექტორის მოადგილის ჩართულობით შეიმუშავებს ფინანსურ და სასწავლო პროცესის შესახებ ანგარიშს, რომელსაც 10 დეკემბრამდე წარუდგენს სკოლის სამეურვეო საბჭოს.

3.7.1.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.სკოლის დამტკიცებული ბიუჯეტი;
2.ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები;
3.დაფინანსების ანალიზის შედეგები;
4.სკოლის ფინანსური აქტივების ინვენტარიზაციის შედეგები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლის მართვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და შინაგანაწესის საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს პროცესების გამჭვირვალობას. სკოლაში ფუნქციონირებს დისციპლინური კომიტეტი, რომელიც იქმნება დისციპლინური გადაცდომების განხილვის მიზნით. კომიტეტში მოსწავლეთა ინტერესების დასაცავად გარანტირებულია მათი წარმომადგენლის მონაწილეობა (მაგ: 2025 წლის 17 ოქტომბრის ოქმით არჩეულ იქნენ მოსწავლეთა წარმომადგენლები).

სკოლაში არჩეულია და ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა. სკოლას აქვს მოსწავლეთა თვითმართველობის დებულება, სადაც გაწერილია ამ ორგანოს მუშაობის წესი/ფუნქციები. თვითმართველობას აქვს გაწერილი გეგმა. მოსწავლეები ჩართულნი არიან სკოლის ფილოსოფიის (მისია, ხედვა, ღირებულებები) შემუშავებაში, რაც უზრუნველყოფს მათ მონაწილეობას სკოლის განვითარების პროცესში. თვითმმართველობა გეგმავს სხვადასხვა აქტივობებს რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებასა და მათი ინტერესების გამოვლენას.

სკოლაში დანერგილია უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესები. მორიგეობის განრიგი გამოკრულია თვალსაჩინოდ. სკოლა უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლეთა უფლებების დაცვას ინდივიდუალური სასწავლო გეგმებისა და სპეციალური მასწავლებლის მეშვეობით. მოსწავლეთა ინტერვიუდან გამოიკვეთა რომ მოსწავლეებსა და პედაგოგებს შორის არსებობს პარტნიორული და პოზიტიური ურთიერთობა, რაც ქმნის მხარდამჭერ სასწავლო გარემოს.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ ქალაქ ცაგერის საჯარო სკოლაში არსებობს მყარი მექანიზმები მოსწავლის უფლებების დასაცავად. მოსწავლეთა ჩართულობა დისციპლინურ კომიტეტსა და თვითმმართველობის ორგანოში, ასევე უსაფრთხოების ნორმების მკაცრი დაცვა, ქმნის კანონით გათვალისწინებულ გარანტიებს მათი სრულფასოვანი განვითარებისთვის.

4.1.1.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2.მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან

სსიპ ქალაქ ცაგერის საჯარო სკოლის დირექტორის მიერ შემუშავებული და დამტკიცებულია უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგირ დაცვის წესი (ბრძანება N19 21/07/2025). სკოლის შინაგანაწესი და დისციპლინური ეთიკის ნორმები საჯაროა. სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა და მშობელთა ინფორმირებას მათი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ. სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეები ეცნობიან შინაგანაწესს, რაც აღნშნულია კლასის კრების ოქმებში.

მოსწავლეთა თვითმმართველობა არ არის ფორმალური ორგანო. ოქმებიდან (მაგ. №1 ოქმი, 20.10.2025) ჩანს, რომ ისინი აქტიურად გეგმავენ სასწავლო და კლასგარეშე აქტივობებს. მოსწავლეებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დაგეგმილ ღონისძიებებს ათანხმებენ დირექციასთან, ანხორციელებენ მათი მხარდაჭერით და დახმარებით.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ დისციპლინურ კომიტეტში მოსწავლეებს ჰყავთ თავიანთი წარმომადგენლები, რაც გამორიცხავს დახურულ კარს მიღმა გადაწყვეტილებების მიღებას და უზრუნველყოფს სამართლიანობის განცდას.

თვითმმართველობის ოქმში ჩანს სასკოლო კლუბების დაფუძნება, რაც ემსახურება მოსწავლეთა ინტერესების რეალიზებასა და მათთვის განვითარებაზე ორიენტირებული გარემოს შექმნას.(ოქმი N2 16 ოქტომბერი 2025წ)

ამრიგად, დაწესებულებაში არსებული მექანიზმები უზრუნველყოფს მოსწავლის უფლებების შესახებ ინფორმაციის პროაქტიულ გავრცელებას. შიდა რეგულაციები არა მხოლოდ ფორმალურადაა გაწერილი, არამედ პრაქტიკულად ხორციელდება მოსწავლეთა თვითმმართველობისა და დისციპლინური კომიტეტის მეშვეობით, სადაც მოსწავლეთა ხმა გადამწყვეტია. ეს ადასტურებს, რომ სკოლაში დანერგილია გამჭვირვალეობისა და ანგარიშვალდებულების სტანდარტი.

4.1.1.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3.მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება

სკოლასა და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს შორის ურთიერთობა რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ხელშეკრულება მოიცავს მხარეთა უფლება-მოვალეობებს, რაც გამომდინარეობს ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონიდან. სკოლის შიდა რეგულაციები (შინაგანაწესი, ეთიკის კოდექსი) წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს ან სამართლებრივ საფუძველს, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობას.

დოკუმენტიდან დასტურდება, რომ სკოლა იყენებს სხვადასხვა მექანიზმს ხელშეკრულების პირობების მკაფიოდ გადმოსაცემად: სკოლა უზრუნველყოფს, რომ მოსწავლის ჩარიცხვისთანავე მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი გაეცნოს

სკოლის წესდებასა და შინაგანაწესს. ეს დასტურდება ასევე მშობელთა კრებებით. სკოლის ძირითადი დოკუმენტები, რომლებიც განსაზღვრავს მოსწავლის უფლებრივ მდგომარეობას, ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის, რაც გამორიცხავს ბუნდოვანებას.

სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითმმართველობისა და დისციპლინური კომიტეტის ოქმები მიუთითებს, რომ ხელშეკრულებით ნაკისრი მოსწავლის უფლებების დაცვის ვალდებულება პრაქტიკაშიც სრულდება: მოსწავლეებს აქვთ რეალური მექანიზმი (წარმომადგენლობა დისციპლინურ კომიტეტში), დაიცვან თავიანთი ინტერესები, რაც ხელშეკრულების გამჭვირვალობის ერთ-ერთი მთავარი ინდიკატორია.

ამრიგად, სსიპ ქალაქ ცაგერის საჯარო სკოლაში მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ურთიერთობა ეფუძნება კანონმდებლობის შესაბამის, მკაფიო და გამჭვირვალე პრინციპებს. ხელშეკრულებითა და შიდა რეგულაციებით განსაზღვრული პირობები საჯაროა და ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის. დაწესებულება უზრუნველყოფს მხარეებს შორის გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე აღებული ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *მოსწავლეთა თვითმმართველობის სხდომის ოქმები/ გეგმა*
2. *მოსწავლეთა თვითმართველობის დებულება*
3. *სსიპ - ქალაქ ცაგერის საჯარო სკოლის შინაგანაწესი და ეთიკის კოდექსი (მოქმედი რედაქცია);*
4. *სკოლასა და მშობელს (კანონიერ წარმომადგენელს) შორის გაფორმებული ხელშეკრულების სტანდარტული ფორმა;*
5. *სასკოლო სასწავლო გეგმა (კურიკულუმები). (2025-2026 სასწავლო წელი).*
6. *დისციპლინური კომიტეტის დებულება.*
7. *მოსწავლის ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმი.*
8. *დისციპლინური კომიტეტის დებულება.*
9. *უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი*
10. *ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება*

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

ქალაქ ცაგერის საჯარო სკოლას აქვს განსაზღვრული მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩრებისა და შეწყვეტის წესი დამტკიცებული ბრძანებით. (ბრძანება N33/ა 19/09/2025) რაც შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. გაწერილია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა პრიორიტეტული რეგისტრაციისა და პარალელურ კლასებში პროპორციული გადანაწილების მექანიზმი. განსაზღვრულია სავალდებულო დოკუმენტების ნუსხა, მათ შორის უცხოენოვანი დოკუმენტების თარგმნის საჭიროება.

სკოლა იცავს მობილობის გამჭვირვალე წესებს და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს. პროცესი ხორციელდება ელექტრონული სისტემის (eschool.emis.ge) მეშვეობით.

საბაზო და საშუალო საფეხური დაძლეულად ითვლება, თუ საფეხურის საშუალო ქულაა 5.0 ან მეტი. განსაზღვრულია საშემოდგომო გამოცდების დანიშვნის წესი (5 ქულაზე ნაკლების შემთხვევაში) და ექსტერნატის ფორმით განათლების მიღების შესაძლებლობა. ექსტერნის წესით საფეხურის/კლასის დაძლევისას მოსწავლე კარგავს მედლის მოპოვების უფლებას.

ამრიგად, წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სსიპ ქალაქ ცაგერის საჯარო სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები.

4.1.2.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლას განსაზღვრული აქვს პირველ კლასში ჩარიცხვის გამჭვირვალე ეტაპები და ასაკობრივი ზღვარი. სკოლა უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა რეგისტრაციას პირველ ეტაპზე. სავალდებულოა კანონიერი წარმომადგენლის განცხადება, დაბადების მოწმობის ასლი და, საჭიროების შემთხვევაში, უცხოენოვანი დოკუმენტების ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი.

სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვა, საფეხურის დაძლევა, მობილობა, სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა ხორციელდება დირექტორის ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის საფუძველზე. რომელიც აისახება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მართვის საინფორმაციო სისტემაში. მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვის დროს ფორმდება მშობელსა და სკოლას შორის ხელშეკრულება, რომელიც მოქმედებს სტატუსის შეწყვეტამდე/მოსწავლის ამორიცხვამდე.

მობილობის პროცესი ხორციელდება ელექტრონულად და ითვალისწინებს მხარეთა შორის დავის რისკებს. პროცესი მიმდინარეობს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eschool.emis.ge).

აკადემიური წინსვლის შეფასება ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმას. საფეხური დაძლეულად ითვლება, თუ საშუალო ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი. თუ წლიური ქულა 5-ზე ნაკლებია, მოსწავლეს ენიშნება საშემოდგომო გამოცდა. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე რომელიმე საგანს ექსტერნატის წესით დაძლევს, ის კარგავს მედლის მიღების უფლებას.

ამრიგად, სკოლის მიერ წარმოდგენილი რეგულაციები ადასტურებს, რომ დაწესებულებაში არსებობს ყველა საჭირო სამართლებრივი მექანიზმი მოსწავლეთა სტატუსისა და აკადემიური პროცესების მართვისთვის, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობასა და კანონშესაბამისობას.

4.1.2.2.ინდიკატორი დაკმაყოფილებულა.

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის შიდა რეგულაციებითა და დოკუმენტაციით დასტურდება, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს ძირითადი ინფორმაციის გამჭვირვალობას: სკოლის მიერ დამტკიცებული „მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი“ (ბრძანება N N33/ა 19/09/2025) წარმოადგენს საჯარო დოკუმენტს.

ინფორმაცია სასწავლო გეგმების, საგნობრივი პროგრამებისა და შეფასების სისტემის შესახებ ხელმისაწვდომია სკოლის შიდა ქსელში და განთავსებულია თვალსაჩინო ადგილას (საინფორმაციო დაფა, სკოლის ვებგვერდი ან სოციალური გვერდი).

მოსწავლის უფლება-მოვალეობები და ქცევის ნორმები გაწერილია სკოლის შინაგანაწესში, რომელიც საჯაროა და მას ეცნობიან მოსწავლეები და მშობლები სასწავლო წლის დაწყებისთანავე.

ვინაიდან სსიპ ქალაქ ცაგერის საჯარო სკოლა წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, ზოგადი განათლების მიღება უფასოა. თუმცა, თუ სკოლა სთავაზობს დამატებით ფასიან მომსახურებას (მაგ. გახანგრძლივებული ჯგუფი ან წრეები), ინფორმაცია საფასურის შესახებ წინასწარ უნდა იყოს დეკლარირებული და ხელმისაწვდომი მშობლებისთვის.

ინფორმაციის საჯაროობას სკოლა უზრუნველყოფს შემდეგი არხებით: სკოლის საერთო კრება და მშობელთა შეხვედრები: რომლებზეც ხდება შიდა რეგულაციებისა და სიახლეების გაცნობა; სკოლას აქვსოფიციალური ელექტრონული ფოსტა, სადაც მშობელს შეუძლია გამოითხოვოს ნებისმიერი საჯარო ინფორმაცია; სკოლის შენობაში, თვალსაჩინო ადგილას განთავსებული დოკუმენტაცია.

ამრიგად, სკოლა აკმაყოფილებს ინფორმაციის საჯაროობის სტანდარტს. მოსწავლის ჩარიცხვის პროცესში მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი ხელმოწერით ადასტურებს, რომ გაეცნო სკოლის შინაგანაწესს, ეთიკის კოდექსს და სასწავლო პროცესის მარეგულირებელ სხვა დოკუმენტებს, რაც უზრუნველყოფს მხარეთა ინფორმირებულობასა და პროცესის გამჭვირვალობას.

4.1.2.3.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულა.**

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული

სკოლის მიერ დამტკიცებული ყველა ძირითადი დოკუმენტი (მათ შორის, მოსწავლეთა ჩარიცხვის, მობილობისა და სტატუსის მართვის წესი) ეყრდნობა „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონს და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის შესაბამის ბრძანებებს (მაგ. N04/ნ ბრძანება). ეს უზრუნველყოფს, რომ გავრცელებული ინფორმაცია სამართლებრივად გამართული და ვალიდურია. სკოლა ინფორმაციის გამჭვირვალობას უზრუნველყოფს მრავალმხრივი კომუნიკაციის არხებით: სკოლის პერსონალი (დამრიგებლები, ადმინისტრაცია) რეგულარულად აწვდის ინფორმაციას მშობლებსა და მოსწავლეებს პროგრამებისა და სერვისების შესახებ; წარმოდგენილი წესი განსაზღვრავს საჯაროობას, რაც იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერ დაინტერესებულ პირს აქვს წვდომა სკოლის მარეგულირებელ დოკუმენტებთან; სკოლა აქტიურად იყენებს ელექტრონულ რესურსებს აქტივობებისა და რესურსების შესახებ ინფორმაციის ოპერატიულად გასავრცელებლად.

ინფორმაციის გავრცელების პროცესში სკოლა მკაცრად იცავს თანასწორობის პრინციპს: ჩარიცხვისა და სერვისების შეთავაზებისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სსსმ (სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე) მოსწავლეებს. ინფორმაცია მათთვის ხელმისაწვდომია თანაბარ პირობებში.

ამრიგად, სსიპ ქალაქ ცაგერის საჯარო სკოლაში ინფორმაციის გავრცელების მექანიზმები არის კანონშესაბამისი, გამჭვირვალე და არადისკრიმინაციული, რაც ქმნის სანდო და ღია გარემოს ყველა დაინტერესებული მხარისთვის. სკოლის პერსონალი მოქმედებს პროფესიული ეთიკის ფარგლებში, რაც გამორიცხავს მიკერძოებული ან მცდარი ინფორმაციის გავრცელებას.

4.1.2.4. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულა.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *„მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი“ (ბრძანება N N33/ა 19/09/2025)*
2. *განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა (EMIS). მოსწავლეთა მობილობისა და სტატუსის მართვის ელექტრონული გაზა (eschool.emis.ge);*
3. *სკოლის შინაგანაწესი და ეთიკის კოდექსი.*
4. *საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი(ბრძანება N01 04/104 2023 წლის 6 ივლისი)*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლას აქვს ბრძანებით დამტკიცებული მოსწავლეთა ადაპტაციის წესი (ბრძანება N26 05/09/205), სკოლა თავისი მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს. სასკოლო საზოგადოებისათვის უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად განსაკუთრებული ყურადღება ექცევა

ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების გაცნობას, რაც ხელს უწყობს ახალი მოსწავლისა და მშობლის ინფორმირებულობასა და გარემოსთან შეგუებას.

სკოლაში სწავლობს 3 სსსმ მოსწავლე, რომელთათვისაც ადაპტაციისა და სწავლის პროცესს უზრუნველყოფს სპეციალური მასწავლებელი. თითოეული სსსმ მოსწავლისთვის შედგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რაც წარმოადგენს სასწავლო გარემოსთან მათი ადაპტაციის ძირითად ინსტრუმენტს. სკოლას აქვს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სსსმ პირთათვის საგანმანათებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია.(ბრძანება N15 30/08 2024)

სკოლაში მოქმედებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც ორიენტირებულია უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე. სკოლის დირექტორის მიერ შემუშავებული და დამტკიცებულია უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგირ დაცვის წესი (ბრძანება N19 21/07/2025). პერიოდულად ტარდება საგანმანათლებლო-საინფორმაციო კამპანიები მოსწავლეებისა და მშობლებისათვის, რაც ეხმარება მათ სასკოლო ცხოვრებაში ინტეგრაციასა და წესების გააზრებაში.

ამრიგად, დასტურდება, რომ სსიპ ქალაქ ცაგერის საჯარო სკოლაში ადაპტაციის მექანიზმი კომპლექსურია და მოიცავს როგორც ინფორმაციულ მხარდაჭერას (ხელშეკრულებების გაცნობა, კამპანიები), ისე პერსონალიზებულ მიდგომას (სპეციალური მასწავლებლები, ინდივიდუალური გეგმები)

4.2.1.1. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდანვე აქტიურად ახორციელებს მოსწავლეთა ადაპტაციის ხელშემწყობ მექანიზმებს. სკოლას აქვს ბრძანებით დამტკიცებული მოსწავლეთა ადაპტაციის წესი (ბრძანება N26 05/09/205), სწავლის დაწყებისთანავე დამრიგებლები უზრუნველყოფენ მოსწავლეებისა და მშობლებისათვის სკოლის შინაგანაწესისა და ეთიკის ნორმების გაცნობას. ეს პირველადი ნაბიჯი ეხმარება მოსწავლეს სასკოლო მოთხოვნებისა და გარემოს გარკვევაში, რაც ამცირებს გაურკვევლობით გამოწვეულ სტრესს.

დამრიგებელი არის მთავარი რგოლი, რომელიც სწავლის დაწყების ფაზაში აკვირდება თითოეული მოსწავლის სოციალიზაციის პროცესს და უზრუნველყოფს მათ ინტეგრაციას კლასში. მოსწავლეები ინტერვიუს დროს დადებითად საუბრობენ სკოლის მხრიდან გატარებულ ღონისძიებებზე, რაც მათ ადაპტაციაში დაეხმარა. სკოლას აქვს ტრადიციად: პირველკლასელთა ვიზიტი სწავლის დაწყებამდე, მათზე სახალისო აქტივობების შეთავაზება; ასევე სწავლის დაწყების პირველი დღის საზეიმო ღონისძიების ჩატარება.

სკოლა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებს (სსსმ). მათთვის სასწავლო წლის დასაწყისშივე მუშაობს სპეციალური მასწავლებელი და იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რაც გარემოსთან მათი ადაპტაციის უმთავრესი წინაპირობაა.

სკოლა პერიოდულად ატარებს შეხვედრებსა და კამპანიებს, რომლებიც მიზნად ისახავს სასკოლო საზოგადოების წევრების (განსაკუთრებით ახალი წევრების) ინფორმირებულობას სკოლის კულტურისა და წესების შესახებ.

4.2.2.2. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად

წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სკოლაში მოქმედებს მოსწავლეთა აკადემიური მხარდაჭერისა და კონსულტირების სისტემა. კერძოდ, დამრიგებლის ფუნქციებში (დამრიგებლის დებულება) შედის მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი და საჭიროების შემთხვევაში მშობლებთან კომუნიკაცია. სკოლა უზრუნველყოფს მშობელთა ჩართულობას და მათ ინფორმირებას მოსწავლის აკადემიური მიღწევების შესახებ, რაც ხელს უწყობს ერთობლივი მხარდაჭერის მექანიზმის შექმნას.

ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ადასტურებს სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლების მრავალფეროვან აქტივობებს. სკოლა მუშაობს კურიკულუმების განვითარებაზე, რაც მიზნად ისახავს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას და მოსწავლეთათვის მასალის უკეთ აღქმას. სკოლას აქვს შემუშავებული რემედიაციის წესი (ბრძანება N35 25/09/2025) სკოლა ელექტრონლი ჟურნალის მეშვეობით აწარმოებს განმავითარებელ შეფასებას. მშობელთა კრებებზე ხდება ინდივიდუალური გასაუბრება და ინდივიდუალურად ინფორმაციის მიწოდება.

გასაუბრებით დგინდება, რომ სემესტრის მიმდინარეობისას კლასის დამრიგებელში სისტემატიურად აწვდიან ინფორმაციას მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების შესახებ. საჭიროების შემთხვევაში ხდება მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობები, მოტივაციის ამაღლების მიზნით მათი ჩართვა სასკოლო ღონისძიებებში და საგანამანთლებლო პროექტებში.

სკოლის შინაგანაწესი განსაზღვრავს მოსწავლის უფლებას, მიიღოს სრულყოფილი განათლება და ისარგებლოს სკოლის რესურსებით (ბიბლიოთეკა, ლაბორატორია), რაც აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების ფიზიკური საფუძველია.

ამრიგად, სკოლა ნამდვილად უზრუნველყოფს მოსწავლეთა კონსულტირებასა და მხარდაჭერას. ეს პროცესი ხორციელდება როგორც ზოგადი მექანიზმებით (დამრიგებლის/საგნის მასწავლებლის კონსულტაციები, მშობელთა ჩართულობა), ისე სპეციფიკური მიდგომებით (ინდივიდუალური სასწავლო გეგმები).

4.2.2.3. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლის შინაგანაწესი განსაზღვრავს ადმინისტრაციის ვალდებულებას, გონივრულ ვადებში გასცეს საჭირო დოკუმენტაცია და ცნობები. კერძოდ, სკოლაში დადგენილია წესი, რომლის მიხედვითაც მოსწავლის/მშობლის განცხადებაზე რეაგირება ხდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ვადებში (როგორც წესი, დაუყოვნებლივ ან არაუგვიანეს 10 დღისა, თუ საკითხი დამატებით შესწავლას მოითხოვს). სკოლა მოსწავლეს დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. სკოლის 2025-2026 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა ითვალისწინებს მოსწავლეთა აღზრდისა და მხარდაჭერის სისტემებს. სასკოლო სასწავლო გეგმის გაცნობას წლის დასაწყისში უზრუნველყოფს დამრიგებელი. სკოლა მხარს უჭერს მოსწავლეთა ინიციატივებს, შექმნილი აქვს გარემო, რომელიც ეხმარება მათ მრავალფეროვანი ღონისძიებების ჩატარებაში და შემოქმედებითი უნარის გაუმჯობესებაში. სკოლა ჩართულია სასკოლო და მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებულ პროექტებში.

სკოლა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული დოკუმენტაციის (ბრძანებები, შინაგანაწესი, სასწავლო გეგმა) საჯაროობას. თვითშეფასების ფორმაში აღნიშნულია, რომ ყველა მნიშვნელოვანი დოკუმენტი განთავსებულია თვალსაჩინო ადგილას, რაც მოსწავლესა და მშობელს უადვილებს საკუთარი უფლებებით სარგებლობას. კათედრის ოქმებით დასტურდება მოსწავლეთა მოსამზადებლად დაგეგმილი და გატარებული ღონისძიებები(სასკოლო ოლიმპიადები, ღონისძიებები).

მონიტორინგის შედეგები აჩვენებს, რომ სკოლის ადმინისტრაციული რგოლი (დირექცია, საქმისწარმოება) გამართულად მუშაობს. დოკუმენტბრუნვის სისტემა და არქივი ორგანიზებულია ისე, რომ ნებისმიერი ადმინისტრაციული მოთხოვნა (მაგალითად, მობილობის პროცესი, ატესტატის/ცნობის გაცემა) სრულდება შეფერხების გარეშე.

სკოლას აქვს ელექტრონული ჟურნალი და იყენებს საგანმანათლებლო მართვის საინფორმაციო სისტემას (EMIS), რაც ამცირებს ბიუროკრატიულ ვადებს და უზრუნველყოფს მონაცემთა სწრაფ დამუშავებას.

სკოლა მხარს უჭერს მოსწავლის უფლებას, მონაწილეობა მიიღოს სკოლის მართვაში (თვითმმართველობის მეშვეობით). ადმინისტრაცია უზრუნველყოფს თვითმმართველობის არჩევნების ჩატარებას კანონმდებლობით დადგენილ ვადებში.

ამრიგად, სკოლა სრულად უზრუნველყოფს მოსწავლის ადმინისტრაციულ მხარდაჭერას.

4.2.2.4. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლას ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალი: უფროსი მასწვლებლები და 9 წამყვანი მასწავლებელი. აღნიშნული რესურსი იძლევა საშუალებას, რომ არაფორმალური აქტივობები წარიმართოს მაღალპროფესიულ დონეზე. სკოლას აქვს სპორტული დარბაზი, დიდი საკლასო ოთახები და დერეფნები, რომელთაც იყენებს ღონისძიებებისთვის, გამოფენებისთვის, პროექტებისთვის. მოსწავლეებთან გასაუბრებით, ასევე მოსწავლეთა საინიციატივო ჯგუფის ოქმებითა და ანგარიშით დასტურდება, რომ სკოლა ორიენტირებულია მოსწავლეთა არაფორმალური აქტივობების წახალისებაზე. მოსწავლეებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა საინიციატივო ჯგუფი გამოთქვამს ინიციატივებს და ადმინისტრაცია/პედაგოგები ყოველთვის ცდილობენ ყურადღებით განიხილონ მათი ინიციატივა. მოსწავლეთა ინიციატივით არაერთი პროექტი და ღონისძიება ჩატარდა, ზოგიც დაგეგმილია. სკოლას აქვს შემოღებული ფორმები, რომლის დიზაინი და სტილი შექმნილია მოსწავლლეთა მიერ. სკოლას ბრძანებით დამტკიცებული აქვს მოსწავლის ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმი (ბრძანება N2/ა 19/09/2025)

სკოლის მოსწავლეები წარმატებით მონაწილეობენ სხვადასხვა გამოფენებში, საგნობრივ ოლიმპიადებსა და კონფერენციებში, რაც უდიდეს როლს თამაშობს მათი მოტივაციის ამაღლებაში. სკოლა მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით მათ სთავაზობს დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას სხვადასხვა კლუბების ფუნქციონირების მიზნით. კერძოდ: სამოქალაქო განათლების კლუბი, მკითხველთა კლუბი, ბუნების ქომაგთა კლუბი, ხელმარჯვე ოსტატთა კლუბი, სპორტის მოყვარულთა კლუბი, კულინართა კლუბი. სკოლა ხელს უწყობს სასკოლო კლუბების ჩამოყალიბებასა და ფუნქციონირებას, რაც არაფორმალური განათლების ძირითადი პლატფორმაა. (მოსწავლეთა თვითმმართველობის გაერთიანებული სხდომის ოქმი N2 16 ოქტომბერი 2025) სკოლა მხარს უჭერს მოსწავლეთა თვითმმართველობის საქმიანობას, რაც მათი ინიციატივების რეალიზების კანონმდებლობით დადგენილი მექანიზმია. სკოლა უზრუნველყოფს თვითმმართველობის ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში.

სკოლის შინაგანაწესი ითვალისწინებს მოსწავლეთა წახალისების მექანიზმებს განსაკუთრებული მიღწევებისა და აქტივობისთვის, რაც მოიცავს მადლობის გამოცხადებას, სიგელებით დაჯილდოებას და სხვა ფორმებს. სკოლამ მოიყვანა მაგალითი: სასკოლო ოლიმპიადაში გამარჯვებული მოსწავლე სამახსოვრო საცჩუქრით და სერთიფიკატით დააჯილდოვეს სკოლის გახნის ცერემონიაზე, რაც წამახალისებელი და მაგალითის მიმცემია სხვა მოსწავლეებისათვის.

ამრიგად, სკოლაში შექმნილია მყარი სისტემა მოსწავლეთა არაფორმალური განვითარებისთვის. კვალიფიციური კადრების (მათ შორის წამყვანი მასწავლებლების) არსებობა და ანგარიშებში ასახული შესრულებული აქტივობები ადასტურებს, რომ სკოლა პრაქტიკულად უჭერს მხარს მოსწავლეთა ინიციატივებს.

4.2.2.5 **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას

როგორც სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დასტურდება, სკოლაში პერიოდულად ტარდება მოსწავლეთა გამოკითხვა, რის საფუძველზეც დგინდება, ფორმალური და არაფორმალური განათლების ხელშემწყობი ცვლილებები, ახალი მიმართულებები და იგეგმება ინტერვენციები. ქალაქ ცაგერის საკარო სკოლის ერთწლიანი გეგმის ერთ-ერთი ამოცანაა სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შედეგების გათვალისწინებით შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა/ განხორციელება, რისთვისაც გაწერილია აქტივობები: სხვადასხვა ტიპის კითხვარების შემუშავება. მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა პერიოდული გამოკითხვა სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საჭიროებების კვლევის მიზნით. სკოლის მოწოდებული დოკუმენტციიდან ჩანს, რომ სკოლა იღებს უკუკავშირს მშობლებისგან, რაც აისახება სკოლის მართვისა და მომსახურების პროცესში.

სკოლის სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს სტრატეგიული მიზნებიდან, რომლებიც, თავის მხრივ, ეფუძნება სასკოლო საზოგადოების საჭიროებების კვლევას. კათედრის ოქმებში მონიშნული შესრულებული აქტივობები მიუთითებს იმაზე, რომ სკოლა რეაგირებს გამოკვეთილ გამოწვევებზე და ახდენს მომსახურების მოდიფიცირებას (მაგ: სასწავლო პროცესის დაკვირვება და ანალიზი უკუკავშირის მისაღებად).

სკოლის წარმომადგენელმა ინტერვიუს დროს აღნიშნა სკოლას აქვს მექანიზმი, რომლითაც ის პერიოდულად იკვლევს მოსწავლეთა კმაყოფილებას და მიღებული ინფორმაციის საფუძველზე აუმჯობესებს მათზე ზრუნვისა და მხარდაჭერის სერვისებს.

ამრიგად, სკოლაში არსებობს უკუკავშირის მიღებისა და მასზე რეაგირების ციკლური პროცესი. მოსწავლეთა ნამუშევრებზე გაკეთებული კონსტრუქციული უკუკავშირები და სტრატეგიული დოკუმენტების მონიტორინგი ადასტურებს, რომ დაინტერესებულ მხარეთა (მოსწავლეების, მშობლების) აზრი გათვალისწინებულია სასწავლო და ადმინისტრაციული მომსახურების ხარისხის ასამაღლებლად.

4.2.2.6. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *საჯარო სკოლის შინაგანაწესი (დამტკიცებული სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 5 სექტემბრის 2 ოქმით);*
2. *2025-2026 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.*
3. *2025-2026 სკოლის სასწავლო გეგმა.*
4. *მოსწავლის ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმი (ბრძანება N2/ა 19/09/2025)*

5. *პედსაბჭოს ოქმი*
6. *კათედრების ოქმები.*
7. *მოსწავლეთა და მშობელთა კრებები.*
8. *კლასის დამრიგებლის მუშაობის დოკუმენტაცია. დამრიგებლის დებულება.*
9. *განხორციელებული ღონისძიებების, პროექტების, სპორტული შეჯიბრებების ფოტო ვიდეო მასალა.*
10. *სსიპ ქალაქ ცაგერის საჯარო სკოლაში განხორციელებული პროექტების ჩამონათვალი (2023-2026)*
11. *მოსწავლეთა ადაპტაციის წესი (ბრძანება N26 05/09/205)*
12. *სსსმ პირთათვის საგანმანათებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია.(ბრძანება N15 30/08 2024)*
13. *უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგირ დაცვის წესი (ბრძანება N19 21/07/2025).*
14. *ხელშეკრულებები*
15. *ინდივიდუალური სასწავლო გეგმები*
16. *რემედიაციის წესი (ბრძანება N35 25/09/2025)*
17. *მოსწავლეთა თვითმმართველობის გაერთიანებული სხდომის ოქმი N2 16 ოქტომბერი 2025*

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სსიპ ქალაქ ცაგერის საჯარო სკოლის X კლასის დამრიგებლის სამუშაო გეგმაში, კლასსაათის თემატურ გეგმაში და სასწავლო-სააღმზრდელო გეგმაში (სასწავლო წელი: 2025-2026) გაწერილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტირების საკითხები. ასევე განხორციელებულია პროექტი: თემაზე ,,ერთი დღე ჩემს საოცნებო პროფესიაში“, პროექტის ფარგლებში მოსწავლეები სტუმრობდნენ ბანკს, საავადმყოფოს და მერიას.

სასკოლო საზოგადოებასთან და მოსწავლეებთან გასაუბრებით დგინდება, რომ მოსწავლეებს კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის შესახებ მომსახურებას უწევს კლასის დამრიგებელი. იგი ატარებს სადამრიგებლო საათს და აწვდის მათ მნიშვნელოვან ინფორმაციას აღნიშნულ საკითხებზე. ამასთან ერთად სკოლის ადმინისტრაცია აქტიურ შეხვედრას მართავს მშობლებთან და ესაუბრება მათ სწავლისა და პროფესიის დაუფლების მნიშვნელობაზე. სკოლას პროფესიული ორიენტაციის ფარგლებში მოწვეული ჰყავდა მოსწავლეებთან შესახვედრად მათივე სკოლის კურსდამთავრებულები, რომლებიც სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში ეუფლებიან სხვადასხვა პროფესიას. მათ ისაუბრეს საკუტარი პროფესიების

და სასწავლებლების შესახებ. გარემოს დათვალიერებით დგინდება, რომ სკოლა მოსწავლეებს სასკოლო სივრცეში სთავაზობს უფასო წრეებს, სადაც მათ შეუძლიათ განივითარონ შემოქმედებითი უნარები და შექმნან შემოქმედებითი პროდუქტი.
მომსახურების ხელმისაწვდომობა და ხარისხის კონტროლი გარანტირებულია შემდეგი მექანიზმებით: აქტივობები გაწერილია მთელი სასწავლო წლის განმავლობაში. ეფექტიანობა ფასდება მოსწავლეთა ჩართულობით, უკუკავშირითა და ჩატარებული აქტივობების ხარისხით.
ამრიგად, წარმოდგენილი მტკიცებულებები და მოსწავლებთან ინტერვიუ ადასტურებს, რომ სსიპ - ქალაქ ცაგერის საჯარო სკოლაში კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება სისტემურად არის ორგანიზებული და ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის. სკოლას ჰყავს პასუხისმგებელი პირები და გააჩნია კონკრეტული რესურსები მოსწავლეთა მხარდაჭერისთვის ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

4.2.2.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლა უზრუნველყოფს ინფორმაციის სიზუსტეს უშუალო წყაროებთან კომუნიკაციით: იმართება ვიზიტები და პრეზენტაციები უნივერსიტეტებისა და კოლეჯების წარმომადგენლებთან. შეხვედრები სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებთან და სკოლის წარმატებულ კურსდამთავრებულებთან. მოსწავლეებს მიეწოდებათ ინფორმაცია ყველაზე მოთხოვნადი და პერსპექტიული პროფესიების შესახებ. სკოლის საგნობრივი კურიკულუმები და დაგეგმილი აქტივობები, სტუმრობა პროფესიულ სასწავლებელში, საწარმოში საშუალებას აძლევს მოსწავლეებს მიიღონ ინფორმაცია შემდგომი კარიერული განვითარების შესახებ.
მოსწავლეებს ურიგდებათ სხვადასხვა პროფესიული და უმაღლესი სასწავლებლების მიერ მომზადებული გზამკვლევები. სკოლა ზრუნავს იმისთვის, რომ მოსწავლეები იყვნენ სათანადოდ ინფორმირებული ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით.

რჩევა: სასურველია სკოლამ შიმუშაოს „კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის დებულება“, სადაც სამიზნე ჯგუფი იქნება IX_XII კლასები. შეიმშაოს პროფესიული ორიენტაციის პროგრამა, განსაზღვროს გაწერილი აქტივობების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი.

4.2.2.2ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს

პროგრამის ეფექტიანობა და ხარისხი განისაზღვრება შემდეგი მაჩვენებლებით: ფასდება, თუ რამდენად აქტიურად მონაწილეობენ მოსწავლეები შეთავაზებულ აქტივობებში. სისტემა ითვალისწინებს ბენეფიციართა აზრის მოსმენასა და გაანალიზებას. ხდება ჩატარებული აქტივობების რაოდენობისა და მათი შინაარსობრივი დონის შეფასება.

მონიტორინგს ახორციელებს სკოლის ადმინისტრაცია ყოველწლიურად. შექმნილი სამუშაო ჯგუფი ვალდებულია, უზრუნველყოს პროგრამის დაგეგმვა და განხორციელება, რაც გულისხმობს წინა გამოცდილების გათვალისწინებას.

ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში მუშავდება ახალი წლიური გეგმა. დებულება ითვალისწინებს მასში ცვლილებების შეტანის შესაძლებლობას სკოლის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, რაც საჭიროების შემთხვევაში მომსახურების ფორმატების კორექტირების საშუალებას იძლევა.

ამრიგად, სკოლის შიდა ნორმატიული აქტები ქმნის გარემოს, რომელშიც მომსახურების შეფასება დაკავშირებულია მომავალი წლის დაგეგმარებასთან. აღნიშნული სტრუქტურა უზრუნველყოფს, რომ ხარისხის გაუმჯობესების პროცესი ეყრდნობოდეს ობიექტურ შედეგებს.

რჩევა: სასურველია სკოლამ კარიერული განვითარების სერვისის გაუმჯობესების მიზნით, ჩაატაროს მოსწავლეების და კურსდამთავრებულთა გამოკითხვა, რამდენად დაეხმარა მოსწავლეს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული კარიერული დაგეგმვის სერვისი მისი უნარების და ინტერესების შესაბამისი პროფესიული არჩევანის გაკეთებაში ან/და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელებაში, გამოკითხვის შედეგები, უკუკავშირი და ანალიზი სკოლას მისცემს შესაძლებლობას კიდევ უფრო ეფექტურად დაგეგემოს შესაბამისი აქტივობები.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *სსიპ ქალაქ ცაგერის საჯარო სკოლის X კლასის დამრიგებლის სამუშაო გეგმა; (სასწავლო წელი: 2025-2026)*
2. *სსიპ ქალაქ ცაგერის საჯარო სკოლის X კლასის კლასსაათის თემატური გეგმა; (სასწავლო წელი: 2025-2026)*
3. *სსიპ ქალაქ ცაგერის საჯარო სკოლის X კლასის სასწავლო-სააღმზრდელო გეგმა (სასწავლო წელი: 2025-2026)*
4. *დამრიგებლის მუშაობის დებულება;*

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლას შემუშავებული აქვს „სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია“ და „ინკლუზიური განათლების პროცესის შიდა მონიტორინგის განხორციელების წესი“, მოქმედი მექანიზმები ითვალისწინებს სპეციალურ მასწავლებლის მიერ მოსწავლეებთან ინდივიდუალურ მუშაობას რესურსოთახში და საგანმანათლებლო რესურსების შექმნას. სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება სპეციალურ მასწავლებელთან. სპეციალური მასწავლებლის მოვალეობებში შედის სსსმ მოსწავლეთა აკადემიური, სოციალური და ფუნქციური უნარების შეფასება, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) შემმუშავებელ ჯგუფში მონაწილეობა და მასწავლებლებისთვის კონსულტაციების გაწევა ქცევის მართვის საკითხებზე. ისგ ჯგუფის მიერ შემუშავებილია ინდივიდუალური გეგმაბი. სპეციალური მასწავლებლის მუშაობის განრიგი ადასტურებს(გამოკრულია რესურს ოთახში თვალსაჩინოდ), რომ სსსმ მოსწავლეებთან მუშაობა მიმდინარეობს სისტემატურად, კონკრეტული საგნობრივი გაკვეთილების მიხედვით მთელი კვირის განმავლობაში. საქაღალდეებში დაორგანიზებულია სამივე სსსმ მოსწავლის პორტფოლიო, გაფორმებულია ისგ ჯგუფის სხდომის ოქმები. რესურს ოთახი აღჭურვილია სათანადო რესურსებით. შესაბამისად, დოკუმენტურად და სპეციალურ მასწავლებელთან გასაუბრებით დასტურდება, რომ ქალაქ ცაგერის საჯარო სკოლას აქვს სსსმ მოსწავლეთა მხარდაჭერის მოქმედი სისტემა, რომელიც მოიცავს შეფასებას, ინდივიდუალურ დახმარებას და აკადემიური პროცესის მუდმივ მონიტორინგს.

4.2.3.1.**ინდიკატორი დაკაყოფილებულა.**

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა პირდაპირ და არსებითად ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს. ეს არ არის მხოლოდ ერთი კონკრეტული მასწავლებლის ვალდებულება, არამედ გუნდური მუშაობის შედეგია. თანამშრომლობის პრინციპი წარმოუდგენელია მშობლის ჩართულობის გარეშე. მშობელი არის ისგ ჯგუფის სრულუფლებიანი წევრი. მისი ინფორმაცია ბავშვის ინტერესების, ძლიერი მხარეებისა და სახლის გარემოს შესახებ გადამწყვეტია ეფექტური გეგმის შესადგენად.

მხარდაჭერა გულისხმობს არა მხოლოდ აკადემიურ დახმარებას, არამედ სოციალურ ინკლუზიას. სასკოლო საზოგადოება ქმნის გარემოს, სადაც სსსმ მოსწავლე თავს გრძნობს სრულფასოვან წევრად. თანატოლების მხარდაჭერა და მათი ჩართულობა ერთობლივ პროექტებში მოსწავლის განვითარების ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი სტიმულია.

თანამშრომლობა ნიშნავს ინფორმაციის მუდმივ გაცვლას. მაგალითად, თუ სპეციალური მასწავლებელი აღმოაჩენს ახალ მეთოდს, რომელიც კონკრეტულ მოსწავლესთან მუშაობს, ის ამას უზიარებს საგნის მასწავლებელს, რათა შედეგი ყველა გაკვეთილზე იყოს მიღწეული. სპეციალურ მასწავლებელთან გასაუბრებით გამოიკვეთა რომ, შეთავაზებულ სერვისებზე, მოსწავლის პროგრესსა და მიღწევებზე ინფორმირების და უკუკავშირის მიღების მიზნით, მშობლებთან ისგ ჯგუფის წევრებს აქვთ მუდმივი კომუნიკაცია.

სკოლას აქვს ბრძანებით დამტკიცებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი.(ბრძანება N28/ა 05/09/2025) რის მიხედვითაც ადგენენ ინდ გეგმებს. სსსმ მოსწავლეებისთვის (3 სსსმ მოსწავლე) შექმნილია ისგ (ინდივიდუალური სასწავლო გეგმის) ჯგუფი.

ასევე სკოლას აქვს ბრძანებით დამტკიცებული „მოსწავლეთა ადაპტაციის წესი“ (ბრძანება N26/ა 05/09/2025) (**მუხლი 5. სსსმ მოსწავლეთა ადაპტაცია)** გაწერილია სსსმ მოსწავლეთა ადაპტაციის წესი და მექანიზმები, რის მიხედვითაც ხელმძრვანელობს სკოლა. არსებული მექანიზმებით დგინდება ინდიკატორთან შესაბამისობაში სკოლის მზაობა.

აღნიშნულის გათვალისწინებით,

4.2.3.2.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *სსიპ ქალაქ ცაგერის საჯარო სკოლის სასწავლო გეგმა (2025-2026)*
2. *სპეციალური მასწავლებლის მუშაობის განრიგი.*
3. *ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი. (ბრძანება N28/ა 05/09/2025)*
4. *მოსწავლეთა ადაპტაციის წესი (ბრძანება N26/ა 05/09/2025)*
5. *სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია(ბრძანება N30/08 2024)*
6. *სპეციალური მასწავლებლის ანგარიში (პირველი სემესტრი).*
7. *ინკლუზიური განათლების პროცესის შიდა მონიტორინგის განხორციელების წესი.*
8. *ისგ გეგმები (საგნების და კლასების მიხედვით)*

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით ირკვევა, რომ სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (ტრანსპორტირების სერვისი, უფასო წრეები ინტელექტუალურ-შემოქმედებითი და სპორტული მიმართულებებით) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე; მოსწავლეთა ტრანსპორტირება ხორციელდება ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მიერ. სკოლას აქვს ტაბელის ფორმა სადაც გაწერილია მარშრუტი და მოსწავლეთა სატრანსპორტო მომსახურება დღეების მიხედვით, რასაც ხელმოწრით ადასტურებს ორივე მხარე. სკოლა გეგმავს სასკოლო საზოგადოებას შესთავაზოს ბუფეტით მომსახურება. სკოლას აქვს კეთილმოწყობილი ფართი ბუფეტისთვის. სკოლის მხრიდან მიმდინარეობს მოკვლევის პროცესი ბუფეტის საქმიანობასთან და საიჯარო ხელშეკრულების დეტალებთან დაკავშირებით.სკოლა ელოდება აუდიტის შეფასებასების დასკვნას მოკვლევის დასრულების მერე სკოლა გეგმავს შემდგომი ნაბიჯების გადადგმას ინსტანციების მიხედვით.

4.2.4.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულა.

2.სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას

სსიპ ქალაქ ცაგერის საჯარო სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას; ყოველი პროექტი და ინიციატივა განიხილება სასკოლო საზოგადოებაში. სკოლაში დამატებითი, არასავალდებულო მომსახურებების ორგანიზება

შეესაბამება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობის პრინციპებს. სკოლა მოსწავლეებს დამატებითი არასავალდებულო მომსახურეობის მიზნით სთავაზობს მხოლოდ წრეებისა და კლუბების სახით. სამომავლოდ სკოლა გეგმავს კვების მომსახურების შეთავაზებას სასკოლო საზოგადოებისთვის სკოლის სივრცეში, კონკრეტულად კი, შენობის მეორე ფლიგელში არსებულ საბუფეტე ფართში იგეგმება ბუფეტის მოწყობა, რომლის არსებობაც მშობელთა და მოსწავლეთა ერთ-ერთი უმთავრესი მოთხოვნა იყო გასაუბრევის პროცესში წამოჭრილ საკითხებს შორის.

4.2.4.2.ინდიკატორი დაკმაყოფილებულა.

2. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

სკოლის მიერ მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

სკოლის დირექციას აქვს უფლება ნებისმიერ დროს განახორციელოს ჯანსაღ კვებასთან, ჰიგიენასა და სანიტარიასთან დაკავშირებული საკითხების მუდმივი კონტროლი. ეს მიუთითებს იმაზე, რომ მაშინაც კი, თუ კანონმდებლობა არ ითხოვს სპეციალურ ლიცენზიას, სკოლა თავად ადგენს უსაფრთხოების მაღალ სტანდარტს.

ამრიგად, იმ შემთხვევებში, როდესაც კანონმდებლობა არ ითხოვს საქმიანობის განხორციელების სპეციალურ უფლებას (ლიცენზიას/ნებართვას), წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადი ნორმების (სანიტარიული, ჰიგიენური, ხანძარსაწინააღმდეგო) მკაცრი დაცვით. სკოლის მიერ დათქმული კონტროლის მექანიზმები და მომსახურების შინაარსი (ტრანსპორტირება, კულტურული განვითარება) სრულად შეესაბამება მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

4.2.4.3.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულა.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *ტრანსპორტირების ყოველთვიური ტაბელის ფორმა*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	☐ **შეესაბამება** ■ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება**

	☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებას. აღნიშნული მიდგომა ასახულია შესაბამის მეთოდოლოგიურ დოკუმენტში და სკოლის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებსა და მექანიზმებში, სადაც ნათლად ჩანს საზოგადოების წევრთა მონაწილეობა. მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით, სკოლა სთავაზობს როგორც ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ დამატებით საგანმანათლებლო პროგრამებს, ისე გეგმით გაუთვალისწინებელ საგანმანათლებლო მომსახურებებს. სასკოლო ცხოვრებაში მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა აქტიური ჩართულობა უზრუნველყოფს გადაწყვეტილებების მიღების დემოკრატიული და საჭიროებებზე ორიენტირებულ პროცესს. საგნობრივი კათედრები სისტემურად განიხილავენ სწავლების ხარისხის გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

2.1.1.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რის მიხედვითაც შექმნილია კურიკულუმის ჩარჩოები, სადაც წარმოდგენილი შინაარსობრივი ნაწილი გამოკვეთილი მოსწავლეთა საჭიროებების, ინტერსებისა და სურვილების გათვალისწინებით შეიქმნა. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სწავლა-

სწავლების პროცესის დაგეგმვისა და განხორციელებისას ისინი სისტემურად ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, შესაძლებლობებს, ინტერესებსა და წინარე გამოცდილებას. პედაგოგები აქტიურად თანამშრომლობენ მშობლებთან და ერთმანეთთან, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ინტერესების სიღრმისეულ გაგებას და კურიკულუმში მათი ასახვის უზრუნველყოფას. მასწავლებელთა თქმით, სასკოლო საზოგადოების ინტერესები გათვალისწინებულია როგორც საგნობრივი კურიკულუმების ფორმირებაში, ისე მათი შემდგომი განახლების პროცესში. წლის განმავლობაში განხორციელებული რეფლექსიები და სასწავლო პროცესის ანალიზი წარმოადგენს კურიკულუმის განვითარების ძირითად საფუძველს. პედაგოგები განსაკუთრებით უსვამენ ხაზს მოსწავლის, როგორც სწავლების მთავარი სუბიექტის როლს. მათი ცოდნა, ინტერესები და შემოქმედებითი შესაძლებლობები განაპირობებს როგორც საგნობრივი კურიკულუმის შინაარსობრივ და მეთოდურ მიმართულებებს.

2.1.1.2.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

თვითშეფასებისა და ინტერვიუების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში კათედრის ყველა წევრი თანამშრომლობდა ერთმანეთთან და სკოლის ადმინისტრაციასთან. პედაგოგების განცხადებით, კურიკულუმის ფორმირებისას გათვალისწინებულია სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები, ასევე მოსწავლეთა ინტერესები, წინარე ცოდნა და საჭიროებები. მიმდინარე და მომდევნო სასწავლო წლისთვის დაგეგმილი კურიკულუმები გაზიარებულია და შეთანხმებულია სასკოლო საზოგადოებასთან, რაც მიუთითებს საზოგადოების აქტიურ ჩართულობაზე კურიკულუმის შექმნის პროცესში.

2.1.1.3.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.**

კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ და ხელმისაწვდომია მისი თითოეული წევრისთვის. პედაგოგებთან, მოსწავლეებთან და მშობლებთან გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ დოკუმენტი განიხილება როგორც საგნობრივ ჯგუფებთან, ისე მშობელთა კრებებზე. მოსწავლეებისა და მშობლებისთვის მომზადებულია მარტივად გასაგები რეზიუმეები. სკოლას გააჩნია მოქმედი უკუკავშირის მექანიზმები, მათ შორის პირისპირ გასაუბრებით, სოციალური ქსელებით და პერიოდული გამოკითხვებით.

2.1.1.4.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *სასკოლო სასწავლო გეგმა.*
2. *კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია.*
3. *საგნობრივი კურიკულუმები.*
4. *კათედრის ოქმები.*
5. *სადამრიგებლო პროგრამა.*
6. *მშობელთა კრების ოქმები.*

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმებზე დაყრდნობით შემიძლია დავადასტურო რომ შემუშავებული კურიკულუმები არის მოსწავლეზე ორიენტირებული. კათედრა მოსწავლეებს სთავაზობს სხვადასხვა აქტივობებს და შემოქმედებით დავალებებს. **რჩევა:** კათედრას ვურჩევ, სამივე საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) კურიკულუმებში ასახონ ყველა ის შემოქმედებითი დავალება თუ აქტივობა, რომელსაც ახორციელებენ. თითოეულ თემაში წარმოადგინონ მინიმუმ ერთი შემოქმედებითი დავალება **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები - დაწყებით , (მე და საზოგადოება , ჩვენი საქართველო) საბაზო (გეოგრაფია ,ისტორია, მოქალაქეობა)და საშუალო საფეხურზე (გეოგრაფია,ისტორია,) უზრუნველყოფს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განვითარებას. სასწავლო მასალა, ფაქტობრივი ინფორმაცია, და თემა განიხილება, როგორც კონტექსტი, რომელიც ეხმარება მოწავლეს სიღმისეულად გაიაზროს იდეა **რჩევა:** სასურველია კურიკულუმებში აისახოს ყველა ის შემოქმედებითი ხასიათის დავალება თუ აქტივობა, რომელსაც ახორციელებენ. თითოეულ თემაში წარმოადგენილი იყოს მინიმუმ ერთი შემოქმედებითი ხასიათის დავალება *საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტის მიერ დასკვნის პროექტში საშუალო საფეხურის (მოქალაქეობა X,XI,XII კლ) კურიკულუმებთან დაკავშირებით გაიწერა შემდეგი <u>ხარვეზი:</u> საშუალო საფეხურის კურიკულუმები ვერ ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვას. შუალედური მიზნები არ ეფუძნება მოსწავლეთა ინტერესებს, საჭიროებებს, შესაძლებლობებს, ცოდნას და არსებულ მოცემულობას .* *სავალდებულო თემები და გრძელვადიანი მიზნები წარმოდგენილია შინაარსობრივი ხარვეზებით რაც სასწავლო მასალას, ფაქტობრივ ინფორმაციას სძენს ბუნდოვანებას, შესაბამისად , ბუნდოვანია შემოქმედებითი ხასიათის დავალება თუ აქტივობა, რომელიც უნდა ხორციელდებოდეს თითოეულ თემაში ცნებების გათვალისწინებით.* *კერძოდ ,(მოქალაქეობა X,XI,XII კლ) კურიკულუმებში მოცემული სამიზნე ცნებები ქვეცნებები , სავალდებულო თემები და შუალედური მიზნები წარმოდგენილია ხარვეზებით. შემოქმედებითი დავალებები არ არის კონკრეტულად გაწერილი და არ შეესაბამება არსებულ მიზნებს.* *აღნიშნული კონტექსტი ბოლომდე ვერ უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ იდეის სიღრმისეულად გააზრებას.* *სკოლის მხრიდან არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისა და შესაბამისობის გეგმი სკოლას მიეცა რეკომენდაცია: **საშუალო საფეხურის** (მოქალაქეობა X,XI,XII კლ) კურიკულუმებ* *:*

	გაწერეთ სავალდებულო თემები სტანდარტის შესაბამისად. *შუალედური მიზნები მოიყვანეთ შესაბამისობაში თემაში განსაზღვრულ ცნებებსა და ქვეცნებებთან.* *თითოეულ თემაში განსაზღვრეთ საკითხი ისე, რომ ნათლად ჩანდეს რას სწავლობენ მოსწავლეები.* *თემების სტრუქტურა გააერთიანეთ ერთ ფორმატში: საკითხი → სამიზნე ცნებები → ქვეცნებები → აქტივობები/დავალებები → რესურსები.* *ყველა თემაში ჩაწერეთ სამიზნე ცნებები და ქვეცნებები და ჩამოაყალიბეთ საკითხი შინაარსობრივად დააზუსტეთ შემოქმედებითი დავალებების პირობები (რა უნდ* *შექმნას* *მოსწავლემ, როგორ, რა მასალით და რა კრიტერიუმებით ფასდება).* *გაწერეთ შემოქმედებითი დავალებები (პროდუქტი, შესრულების ნაბიჯები, გამოყენებული მასალა).* *დააკავშირეთ მიზნები და დავალებები ერთმანეთთან (რას ასწავლით → რა უნდა გააკეთოს მოსწავლემ).* *განსაზღვრეთ კონკრეტული შემოქმედებითი დავალებები, სადაც მკაფიოდ ჩანს:* *რა ქმნის მოსწავლე,* *რომელი სამიზნე ცნებები/ქვეცნებები მუშავდება,* *რა შედეგია მოსალოდნელი.* ***აღნიშნული საკითხების გამოსასწორებელ ვადად განისაზღვრა სკოლის მიერ შესაბამისობ*** ***გეგმით გაწერილი პერიოდი 2026 წლის 30 სექტემბრამდე.*** **საშუალო საფეხურისთვის ინდიკატორი 2.1.2.1.მეტწილად დაკმაყოფილებულია.** **დაწყებითი და საბაზო საფეხურისთვის ინდიკატორი 2.1.2.1.დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	***რჩევა:*** *სასურველია, სავალდებულო თემებთან გაიწეროს საათების რაოდენობა; საგნობრივი კურიკულუმების შედგენის დროს, ყველა თემაში სრულად დაიფაროს სამიზნე ცნებები.*

	კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილი თემების ფარგლებში დასამუშავებელი ტექსტები, შემოქმედებითი დავალებები, ძირითადი და დამატებითი რესურსები - მოსწავლეთა ასაკის, ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით უნდა იქნას შერჩეული. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	მუსიკაში წარმოდგენილი კურიკულუმები შეესაბამება მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვის პრინციპებს და უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის თანმიმდევრულ განვითარებას. *დასკვნის პროექტში ესთეტიკური აღზრდის მიმართულების ექსპერტის მხრიდან გაიწერა ხარვეზი: სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში კურიკულუმები ნაწილობრივ ასახავს სასწავლო პროცესის დაგეგმვას, თუმცა დაწყებით საფეხურზე იკვეთება სტრუქტურული და შინაარსობრივი ხარვეზები, რაც ართულებს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის სრულფასოვან დაგეგმვას. კერძოდ, I და II კლასებში კურიკულუმებში არ არის წარმოდგენილი სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, ხოლო საკითხები ფორმულირებულია პარაგრაფების დასახელებების სახით, რაც არ ასახავს სასწავლო მიზნებს.* *III კლასში პირველ თემაში არ არის წარმოდგენილი სამიზნე ცნებები, საკითხი არ არის შინაარსობრივად ჩამოყალიბებული და არ იკვეთება, რას სწავლობენ მოსწავლეები თემის ფარგლებში. შემოქმედებითი დავალებები ნაწილობრივ არ შეესაბამება მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებსა და საგნობრივ სტანდარტს (მაგ., მოცულობითი ფორმებისა და შუქჩრდილის დამუშავება). სხვა თემებში ასევე არ არის სრულად წარმოდგენილი სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, საკითხები არ არის თემასთან შესაბამისობაში და დავალებები არ პასუხობს სტანდარტის მოთხოვნებს.* *IV კლასში კურიკულუმში არ არის წარმოდგენილი სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, ხოლო საკითხები კვლავ პარაგრაფების ჩამონათვალის სახითაა მოცემული.*

	V კლასში არ არის წარმოდგენილი ქვეცნებები, საკითხები არ არის შინაარსობრივად ჩამოყალიბებული, ხოლო შემოქმედებითი დავალებები არ არის კონკრეტულად გაწერილი და არ შეესაბამება მითითებულ მიზნებს. *VI კლასში არ არის წარმოდგენილი ქვეცნებები, საკითხები ჩამოყალიბებულია პარაგრაფების ჩამონათვალის სახით და არ ასახავს სასწავლო მიზანს, ხოლო შემოქმედებითი დავალებები არ არის კონკრეტული და არ უკავშირდება სამიზნე ცნებებსა და ქვეცნებებს.* ***სკოლის მხრიდან არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისა და შესაბამისობის გეგმის მიხედვით, სკოლა აღნიშნული საკითხების მოგვარებას უზრუნველყოფს 2026 წლის 30 სექტემბრამდე. აქედან გამომდინარე, სკოლას დაწყებით საფეხურზე მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადამდე(30.09.2026) უზრუნველყოს:*** • *I–II კლასები* • *ამოიღეთ პარაგრაფების დასახელებების ჩამონათვალი და თითოეულ თემაში ჩაწერეთ სამიზნე ცნებები და ქვეცნებები.* • *თითოეულ თემაში განსაზღვრეთ საკითხი ისე, რომ ნათლად ჩანდეს რას სწავლობენ მოსწავლეები.* • *თემების სტრუქტურა გააერთიანეთ ერთ ფორმატში: საკითხი → სამიზნე ცნებები → ქვეცნებები → აქტივობები/დავალებები → რესურსები.* • *III კლასი* • *ყველა თემაში ჩაწერეთ სამიზნე ცნებები და ქვეცნებები და ჩამოაყალიბეთ საკითხი შინაარსობრივად (არა პარაგრაფების სახელებით).* • *გადაამუშავეთ დავალებები ისე, რომ შეესაბამებოდეს ასაკობრივ შესაძლებლობებს .*

	• *უზრუნველყავით, რომ დავალებები პირდაპირ უკავშირდებოდეს თემაში განსაზღვრულ ცნებებსა და ქვეცნებებს.* • *დააზუსტეთ შემოქმედებითი დავალებების პირობები (რა უნდა შექმნას მოსწავლემ, როგორ, რა მასალით და რა კრიტერიუმებით ფასდება).* • *IV კლასი* • *თითოეულ თემაში ჩაწერეთ სამიზნე ცნებები და ქვეცნებები.* • *საკითხები ჩამოაყალიბეთ შინაარსობრივად, არა პარაგრაფების ჩამონათვალით.* • *V კლასი* • *დაამატეთ ქვეცნებები ყველა თემაში.* • *თითოეულ თემაში ჩამოაყალიბეთ საკითხი (რას სწავლობს მოსწავლე).* • *გააკონკრეტეთ შემოქმედებითი დავალებები (პროდუქტი, შესრულების ნაბიჯები, გამოყენებული მასალა).* • *დააკავშირეთ მიზნები და დავალებები ერთმანეთთან (რას ასწავლით → რა უნდა გააკეთოს მოსწავლემ).* • *VI კლასი* • *დაამატეთ ქვეცნებები და გაასწორეთ საკითხის ფორმულირება (არ იყოს პარაგრაფების ჩამონათვალი).* • *განსაზღვრეთ კონკრეტული შემოქმედებითი დავალებები, სადაც მკაფიოდ ჩანს:*

	o *რა ქმნის მოსწავლე,* *o* *რომელი სამიზნე ცნებები/ქვეცნებები მუშავდება,* *o* *რა შედეგია მოსალოდნელი.* **მუსიკა შესაბამისია** **რჩევა: საბაზო საფეხური** = VII კლასი - პირველ თემაში გაწერილი სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების შესაბამისად გაასწორეთ ეს პუნქტი სხვა თემებშიც. საკითხი უნდა იყოს ჩამოყალიბებული და პასუხობდეს რას სწავლობენ და არ უნდა იყოს პარაგრაფების ჩამონათვალი. VIII კლასი - დასამატებელია ქვეცნებები.საკითხი უნდა იყოს ჩამოყალიბებული და პასუხობდეს რას სწავლობენ და არ უნდა იყოს პარაგრაფების ჩამონათვალი. პირველი თავის შემოქმედებითი დავალება არ შეესაბამება კურიკულუმში ჩამოთვლილ საკითხვებს. მეორე თემის შემოქმედებითი დავალება ბუნდოვანია და არ შეეფერება თემას . საკითხები და ქვეცნებები ყველა თავში გასასწორებელია. IX კლასი - პირველი თავის მიხედვით ჩაასწორეთ დანარჩენი თავები (სამიზნე ცნებები და ქვეცნებები) **დაწყებით საფეხურზე იდიკატორი2.1.2.1. მეტწილად დაკმაყოფილებულია.** **საბაზო და საშუალო საფეხურისთვის ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს სამივე საფეხურზე შემუშავებული აქვთ საგნობრივი კურიკულუმები. შემუშავების პროცესში აქტიურადაა ჩართული სასკოლო საზოგადოება. გასაუბრებით ცნობილი გახდა, რომ მოსწავლის და მშობლის ბარათებს აზიარებენ სოციალური ქსელის დახურულ ჯგუფებში. პედაგოგები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ გამოცდილებას.კონკრეტულ კომპლექსურ/შემოქმედებით დავალებებზე აქვთ

	მომზადებული ბარათები, რომლებსაც წინასწარ ეცნობიან მშობლები,მოსწავლეები. წინა სასწავლო წლის რეფლექსიით ხდება ახალი კურიკულუმის შემუშავება და სასწავლო პროცესის დაგეგმვა. საგნობრივ კურიკულუმებში სავალდებულო სასწავლო თემების ფარგლებში გამოკვეთილია საკითხები, შერჩეულია საინტერესო შემოქმედებითი ტიპის დავალებები. ძირითადად ორიენტირება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებზე. დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს და ინტერესს შესასწავლი საკითხების მიმართ. **რჩევა-დაწყებითი** საფეხური. სასურველია, დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში შენარჩუნდეს კურიკულუმის ერთიანი ჩარჩო. მაგალითისათვის-მისაღებია მე-4 კლასის ჩარჩოს ფორმა და სწორედ ასეთი ტიპის ჩარჩოზე გქონდეთ ორიენტაცია. **ინდიკატორის მოთხოვნა სამივე საფეხურზე არის დაკმაყოფილებული.**
მათემატიკა	მათემატიკის ყველა საფეხურის კურუკულუმი ორიენტირებულია სასწავლო პროცესის სწორად და შემოქმედებით დაგეგმვაზე, მათი განხორციელეის შედეგად უზრუნველ-ყოფილი იქნება მოსწავლეთა გონებრივი განვითარების საკმაოდ მაღალი დონე. ***რჩევა**-უმჯობესია, თუ ყველა საფეხურის მათემატიკის კურიკულუმებში მოსწავლეების-თვის უფრო მკაფიოდ და ცხადად იქნება გაწერილი ცნებები, თემები, საკითხები/საკითხთა კლასტერი, ყველა კონტექსტ-მაგალითი, პროექტი თუ კომპლექსური დავალების იდეა/პი-რობა შუალედური მიზანი, გამოკვეთილი იქნება მათი განხორციელებისთვის საჭირო ყვე-ლა აუცილებელი დანართი, ვიდეო, აუდიო, ციფრული თუ ელექტრული მასალა, სიმუ-ლა-ციები, ნახატები, ნახაზები, განმსაზღვრელი ან/და განმავითარებელი შეფასებები და სხვ.* **ინდიკატორის მოთხოვნა სამივე საფეხურზე არის დაკმაყოფილებული.**

სპორტი	სამივე საფეხურის კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. იგი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს და ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს. სასწავლო პროცესი დაგეგმილია აქტიური და პრაქტიკული სწავლების პრინციპებზე, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობას, მოსწავლეთა ფიზიკურ და მოტორულ განვითარებას. **ინდიკატორის მოთხოვნა სამივე საფეხურზე არის დაკმაყოფილებული.**
ტექნოლოგიები	სკოლაში კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლის მიერ შემუშავებული და წარმოდგენილია II–VI კლასების საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც განსაზღვრავს სწავლა-სწავლების პროცესის დაგეგმვის ძირითად მიმართულებებს და ქმნის საფუძველს სასწავლო პროცესის თანმიმდევრული და მიზანმიმართული ორგანიზებისთვის. ყველა კლასის კურიკულუმი წარმოდგენილია ერთიან ჩარჩოში და სტრუქტურირებულია შემდეგი სახით: ცნება, სასწავლო თემა, საკითხები, კონტექსტ მაგალითი, დავალებების იდეა/პირობა (შუალედური მიზანი), რესურსები. როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან (კურიკულუმები) ჩანს, სასწავლო თემების ფარგლებში მუშავდება გრძელვადიანი სასწავლო მიზნები - სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული საგნობრივი საკითხები. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სასწავლო შინაარსის ლოგიკურ სტრუქტურირებას და ხელს უწყობს მოსწავლეთა მიერ ცოდნის ეტაპობრივ, გააზრებულ და სისტემურ დაუფლებას. კურიკულუმებში წარმოდგენილია კონტექსტ-მაგალითები, რომლებიც ეფუძნება რეალურ ან რეალობასთან ახლოს მდგომ სიტუაციებს. ასეთი კონტექსტები მოსწავლეებს ეხმარება სასწავლო მასალის უკეთ გააზრებაში და აძლევს შესაძლებლობას დაინახონ მიღებული ცოდნის პრაქტიკული გამოყენების გზები. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდას და სწავლა-სწავლების პროცესში მათი აქტიური ჩართულობის უზრუნველყოფას. შუალედური მიზნების მისაღწევად კურიკულუმებში წარმოდგენილია კომპლექსური ტიპის დავალებების იდეები და პირობები. აღნიშნული დავალებები ორიენტირებულია მოსწავლეთა აქტიურ მონაწილეობაზე და მათი შესრულების პროცესი ითვალისწინებს მოსწავლეების მიერ სხვადასხვა ტიპის შემოქმედებით პროდუქტის შექმნას, რაც ხელს

	უწყობს ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას, პრობლემის გადაჭრის უნარების განვითარებასა და შემოქმედებითი აზროვნების ფორმირებას. კურიკულუმის ფარგლებში ასევე განსაზღვრულია დავალებების შესრულების პროცესში გამოსაყენებელი სასწავლო რესურსები. წარმოდგენილი რესურსები შერჩეულია სასწავლო მიზნებისა და დავალებების სპეციფიკის შესაბამისად და ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ეფექტიან ორგანიზებას. კურიკულუმის სტრუქტურა და შინაარსი აჩვენებს, რომ სწავლა-სწავლების პროცესის დაგეგმვისას აქცენტი კეთდება მოსწავლის აქტიურ მონაწილეობაზე, ცოდნის კონსტრუირებაზე და მიღებული ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებაზე. წარმოდგენილი დოკუმენტაცია და გასაუბრების პროცესში მიღებული ინფორმაცია ადასტურებს, რომ საგნობრივი კურიკულუმი გამოიყენება როგორც სწავლა-სწავლების პროცესის დაგეგმვისა და განვითარების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. **ინდიკატორის მოთხოვნა სამივე საფეხურზე არის დაკმაყოფილებული.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლას დაწყებით საფეხურზე, ოთხივე საგანში (ბუნებისმეტყველება,ქართული,მათემატიკა,მე და საზოგადოება) შემუშავებული აქვს საგნობრივი კურიკულუმები. კურიკულუმების ჩარჩოებში ასახულია შუალედური სასწავლო მიზნები. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დაგეგმვისას ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებასა და მოსწავლეთა საჭიროებებს. შესაბამისად კურიკულუმის მიხედვით სწავლება ეფუძნება მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას და ცხოვრებისეული გამოცდილების გათვალისწინებას. შემუშავების პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოება. პედაგოგები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ გამოცდილებას. აღნიშნეს რომ ინტერვიუს დროს მიღებულ რჩევებს კურიკულუმთან დაკავშირებით შემდგომში აუცილებლად გაითვალისწინებენ.

	რჩევა- სასურველია, ყველა საგნის კურიკულუმებში მოსწავლეებისთვის უფრო მკაფიოდ და ცხადად იქნეს გაწერილი ცნებები, თემები, საკითხები/საკითხთა კლასტერი, ყველა კონტექსტ-მაგალითი, კომპლექსური დავალების იდეა, პირობა. ესურსები იყოს უფრო მრავალფეროვანი. **ინდიკატორის მოთხოვნა სამივე საფეხურზე არის დაკმაყოფილებული.**

2.1.2.1.ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებში, სამივე საფეხურზე, ჩანს კავშირი სტანდარტთან და სტანდარტით განსაზღვრულ სამიზნე ცნებებთან. **რჩევა:** დაწყებითი საფეხურის პედაგოგებს ვურჩევ, კურიკულუმების შედგენისას ითანამშრომლონ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრასთან და გაითვალისწინონ კოლეგების გამოცდილება, მათ შორის პირველი კლასის ბუნებისმეტყველების პედაგოგის გამოცდილებაც საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული ძირითადი თემებისა და სამიზნე ცნებების სვეტების შევსებისას. **ინდიკატორის მოთხოვნა სამივე საფეხურზე არის დაკმაყოფილებული.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები დაწყებით (მე და საზოგადოება , ჩვენი საქართველო) საბაზო (გეოგრაფია ,ისტორია, მოქალაქეობა)და საშუალო საფეხურზე (გეოგრაფია ,ისტორია) ზოგადად ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგნობრივ სტანდარტებსა და მიზნებს. სასწავლო -სავალდებულო თემატური ერთეულები, გრძელვადიანი მიზნები და სასწავლო

	აქტივობები მიმართულია მოსწავლეთა შემოქმედებითი, და პრაქტიკული უნარების განვითარებაზე. სამიზნე ცნებები , ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები , მიემართება გრძელვადიანი მიზნებისკენ ,რასაც უზრუნველყოფს დანერგვის ინსტრუმენტები. **რჩევა;** მიღწეული შედეგების გასაზომად სასურველია ყველა კლასში წარმოდგენილი იყოს უფრო დაზუსტებული დიაგნოსტიკური შეფასების ინსტრუმენტები და კურიკულუმებში მკაფიოდ , შინაარსობრივი სიზუსტით ჩანდეს გრძელვადიანი მიზნები და ქვეცნებები . საშუალო საფეხურზე (მოქალაქეობა X,XI,XII კლ) გრძელვადიანი მიზნები და ქვეცნებები გაიმიჯნოს ერთმანეთისგან. დაკონკრეტდეს შემოქმედებითი ხასიათის დავალება თუ აქტივობა, რომელსაც უნდა ახორციელებდნენ თითოეულ თემაში. თემები და მოკლევადიანი მიზნები შესაბამისობაში იყოს ერთმანეთთან. განსაზღვრეთ მკვიდრი წარმოდგენები და შედეგები მოცემულ კურიკულუმებში. **ინდიკატორის მოთხოვნა სამივე საფეხურზე არის დაკმაყოფილებული.**
უცხოური ენები	რჩევა: სასურველია, კურიკულუმებში წარმოდგენილი სხვადასხვა საფეხურის სამიზნე ცნებები თანმიმდევრულად იქნას წარმოდგენილი. თითოეულ თემაში შუალედური მიზნების სახით წარმოდგენილი შემოქმედებითი დავალებები უნდა უზრუნველყოფდეს მიზნის შესაბამისი საკითხების სიღრმისეულად დამუშავებას. **ინდიკატორის მოთხოვნა სამივე საფეხურზე არის დაკმაყოფილებული.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები ზოგადად ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგნობრივ სტანდარტებსა და მიზნებს. თემატური მიმართულებები და სასწავლო აქტივობები მიმართულია მოსწავლეთა შემოქმედებითი, ანალიზისა და პრაქტიკული უნარების განვითარებაზე. განსაკუთრებით მუსიკაში წარმოდგენილი

	კურიკულუმები თანმიმდევრულად ასახავს ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებს და უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მიზნობრივ დაგეგმვას. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში ასევე იკვეთება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნებისკენ მიმართული თემატური მიმართულებები, თუმცა რიგ შემთხვევებში (დაწყებითი და საბაზო საფეხური) კურიკულუმის სტრუქტურული და შინაარსობრივი ხარვეზები ართულებს ამ მიზნების სრულფასოვან რეალიზაციას სასწავლო პროცესში. კერძოდ, ცალკეულ კლასებში არ არის წარმოდგენილი ქვეცნებები, საკითხები ფორმულირებულია გაკვეთილების სათაურების ჩამონათვალით, თემების რაოდენობა ზოგ შემთხვევაში ვერ ფარავს სასწავლო წლის სრულ მოცულობას, ხოლო შემოქმედებითი და შემაჯამებელი დავალებები ყოველთვის არ არის პირდაპირ დაკავშირებული თემის შინაარსთან და სასწავლო მიზნებთან. აღნიშნული გარემოებები ამცირებს კურიკულუმის შესაძლებლობას სრულად ასახოს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების განხორციელება. **ინდიკატორის მოთხოვნა სამივე საფეხურზე არის დაკმაყოფილებული.**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურის კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. ესგ-ს მოთხოვნების შესაბამისად, განსაზღვრულია სავალდებულო თემები, თემებში საკითხების საშუალებით მუშავდება სამიზნე ცნებები. თუმცა, რიგ შემთხვევებში იკვეთება მცირე უზუსტობებიც. ამის მიუხედავად, ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ესგ -ის საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული შედეგები, ყველა სამიზნე ცნება და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები, რომლებსაც გაითვალისწინებენ მომდევნო სასწავლო წელს კურიკულუმების შემუშავებისას. მასწავლებლებმა ისაუბრეს განხორციელებულ კომპლექსურ დავალებებზე, სადაც გათვალისწინებულია ისეთი კომპლექსური დავალების პირობები და განსახორციელებელი აქტივობები (მაგ: პრეზენტაცია, პოსტერების შექმნა, ბუკლეტის შექმნა, ინტერვიუ პერსონაჟთან, ანალიტიკური ესე, პირადი მოსაზრების გამომხატველი ესე),რომლებიც გათვლილია

	გრძელვადიან მიზნებზე და მოსწავლეებში ავითარებს იდეების გენერირების, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების, პრობლემის გადაჭრის უნარებს. ინდიკატორი **ინდიკატორის მოთხოვნა სამივე საფეხურზე არის დაკმაყოფილებული.**
მათემატიკა	მათემატიკის ყველა საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი მიმართულია და პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. **რჩევა**-მიზანშეწონილია ყველა საფეხურის მათემატიკის კურიკულუმებში გაწერილი ძირითადი კონტექსტ-მაგალითები, დავალების იდეა/პირობა შუალედური მიზანი, კომპლექსური დავალებები მათი შინაარსიდან გამომდინარე რაც შეიძლება თანაბრად იყოს განაწილებული დროში, ანუ დავალებათა შორის დროითი შუალედები იყოს დაახლოებით ერთნაირი. მეთოდური თვალსაზრისით გაუმართლებელია, რომ დავალებათა უმრავლესობა, რომლის განხილვასაც მასწავლებელი აპირებს ერთი სასწავლო წლის განმავლობაში დაგეგმილი იყოს ერთ სემესტრში. კურიკულუმები თითქმის არ შეიცავს კვლევითი პროექტების განხორციელებას სასწავლო პროცესში. საჭიროა კვლევითი პროექტების ჩართვა არა მარტო მათემატიკის, არამედ სხვა სასწავლო საგნების სწავლა/სწავლების პროცესში. მიზანშეწონილია ინტერდისციპლინური (მათემატიკის და ბუნებისმეტყველების, მათემატიკის და მუსიკის, მათემატიკის და ხელოვნების, მათემატიკის და პოეზიის, მათემატიკის და მხატვრობის და სხვ.) საგნობრივი პროექტების ჩართვა რაც მოსწავლეებში ამაღლებს სასწავლო საგნების შესწავლის მოტივაციას, აყალიბებს სწავლისადმი სწორ დამოკიდებულებას, რომ ცოდნის მისაღებად საჭიროა არა მხოლოდ ერთი რომელიმე საგნის განხოლოებულად შესწავლა, არამედ ცოდნის კომპლექსურად მიღება, განამტკიცებს საკუთარი თავის რწმენას და ეხმარება რეალური ცხოვრებაში წამოჭრილი პრობლემების გადაწყვეტაში, მოსწავლეებში აყალიბებს მკვლევარის თვისებებს, უყალიბებს კვლევით უნარებს. **ინდიკატორის მოთხოვნა სამივე საფეხურზე არის დაკმაყოფილებული.**

სპორტი	სამივე საფეხურის კურიკულუმები აკმაყოფილებს ეროვნულ სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, მათში წარმოდგენილია ყველა ძირითადი კომპონენტი: თემები, საკითხები, შუალედური მიზნები, საგნის სწავლებისას მისაღწევი გრძელვადიანი მიზნები, საფეხურის შედეგები, ძირითადი და დამხმარე რესურსები. სავალდებულო თემების ფარგლებში ხდება სამიზნე ცნებების დამუშავება, კურიკულუმები იძლევა საშუალებას სამიზნე ცნებების გააზრებისათვის. **ინდიკატორის მოთხოვნა სამივე საფეხურზე არის დაკმაყოფილებული.**
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივ კურიკულუმებში სასწავლო თემების ფარგლებში მუშავდება ის სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული საგნობრივი საკითხები, რომლებიც განსაზღვრულია ეროვნული სასწავლო გეგმის კომპიუტერული ტექნოლოგიების ამჟამად მოქმედ საგნობრივ სტანდარტში. აღნიშნული სამიზნე ცნებები წარმოადგენს საგნის სწავლების მნიშვნელოვან კონცეპტუალურ საფუძველს და მათი დამუშავება უზრუნველყოფს იმ გრძელვადიან შედეგებზე გასვლას, რომლის მიღწევაც უზრუნველყოფილი უნდა იყოს დაწყებითი საფეხურის ბოლოს. კურიკულუმებში განსაზღვრული სასწავლო რესურსები და შუალედური მიზნის მისაღწევად დაგეგმილი აქტივობები ასევე შეესაბამება საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ გრძელვადიან სასწავლო მიზნებს/ სამიზნე ცნებებს და ხელს უწყობს მათ ეფექტიანად მიღწევას სასწავლო პროცესში. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრების პროცესში მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში კომპიუტერული ტექნოლოგიების საგანში შემუშავებული II–VI კლასების საგნობრივი კურიკულუმები აგებულია იმ მიზნებისა და სასწავლო შედეგების გათვალისწინებით, რომლებიც განსაზღვრულია ეროვნული სასწავლო გეგმის კომპიუტერული ტექნოლოგიების ამჟამად მოქმედ სტანდარტით. შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. **ინდიკატორის მოთხოვნა სამივე საფეხურზე არის დაკმაყოფილებული.**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	ოთხივე საგნის კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს და ხელს უწყობს ისეთი უნარების განვითარებას, როგორიც არის კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, თანამშრომლობა და სხვა. სამიზნე ცნებების გააზრებას ხელს უწყობს შემოქმედებითი ხასიათის დავალებები. კურიკულუმებში ძირითადად სტანდარტით გათვალისწინებული ყველა სამიზნე ცნება/ცნებები მუშავდება, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში სამიზნე ცნება ან არასწორად არის მითითებული, ან გამორჩენილია. ზოგიერთი კლასის კურიკულუმში თითქმის ყველა თემის გასწვრივ წარმოდგენილია შემოქმედებითი ტიპის დავალება, ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ, მიღებული გამოცდილების საფუძველზე, მომავალში გეგმავენ მხოლოდ შერჩეული შემოქმედებითი დავალებები წარმოადგინონ. **რჩევა**: სასურველია, კურიკულუმებში, უფრო მკაფიოდ გამოიკვეთოს, თუ რომელი სამიზნე ცნება, კონკრეტულად რომელი საკითხით მუშავდება. ასევე, გადამოწმდეს ის მიდგომა, რომ ყველა სავალდებულო თემაში, ყველა სამიზნე ცნება მუშავდებოდეს. **ინდიკატორის მოთხოვნა სამივე საფეხურზე არის დაკმაყოფილებული.**

2.1.2.2.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	ვადასტურებ რომ სამივე საფეხურზე საგნობრივი კურიკულუმებით გათვალისწინებული მატერიალური და ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსები უზრუნველყოფს სასწავლო შედეგების მიღწევას. რესურსები წარმოდგენილია სამივე საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) **ინდიკატორის მოთხოვნა სამივე საფეხურზე არის დაკმაყოფილებული.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილ სამივე საფეხურის კურიკულუმებში მითითებული ძირითადი სასწავლო რესურსები - გრიფირებული სახელმძღვანელოები , ელექტრონული რესურსი ბმულებით, შეესაბამისობაში მოდის დაგეგმილ აქტივობებსა და მიმდინარე დავალებებთან, რომლებიც საშუალებას იძლევა სწავლის შედეგების მიღწევას. **რჩევა:** სასურველია ელექტრონული რესუსების ხელახლა გადახედვა **ინდიკატორის მოთხოვნა სამივე საფეხურზე არის დაკმაყოფილებული.**
უცხოური ენები	კურიკულუმით გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსები, გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, დამატებითი ელექტრონული რესურსები, მოსწავლეთა ასაკის, ინტერესების გათვალისწინებითაა შერჩეული, მაგრამ არის მწირი და სასურველია გამრავალფეროვნდეს, რათა უზრუნველყოს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა. **ინდიკატორის მოთხოვნა სამივე საფეხურზე არის დაკმაყოფილებული.**
ესთეტიკური აღზრდა	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებისა და მუსიკის კურიკულუმში წარმოდგენილია ძირითადი და დამატებითი სასწავლო რესურსები, რომლებიც მიმართულია მოსწავლეთა მიერ კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისკენ. **ინდიკატორის მოთხოვნა სამივე საფეხურზე არის დაკმაყოფილებული.**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმში წარმოდგენილი რესურსები მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებს შეესაბამება. ძირითადი აქცენტი გაკეთებულია შერჩეულ გრიფირებულ სახელმძღვანელოზე. შერჩეული რესურსები სასწავლო პროცესში მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობასა და ცოდნის კონსტრუირებას უწყობს ხელს. კათედრის სხდომაზე განხილულია რესურსების მიზნობრივად შერჩევისა და გამრავალფეროვნების საკითხი, რაც, პრაქტიკულად, ნაწილობრივ აისახება წარმოდგენილ კურიკულუმებში.

	რჩევა-(საბაზო და საშუალო საფეხური)სასურველია, მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებისა და სასწავლო პროცესის საინტერესოდ წარმართვის მიზნით, განსაკუთრებით საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმში, გაწეროთ მრავალფეროვანი რესურსები, რათა უზრუნველყოთ კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევა. **ინდიკატორის მოთხოვნა სამივე საფეხურზე არის დაკმაყოფილებული.**
მათემატიკა	მათემატიკის ყველა საფეხურის კურიკულუმები შეიცავს საკმარისი რაოდენობის რესურსებს, როგორც ნაბეჭდ, ისე ელექტრული სახით. საგანმანათლებლო რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნა სამივე საფეხურზე არის დაკმაყოფილებული.**
სპორტი	სამივე საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილი რესურსები მრავალფეროვანია, რაც იძლევა საშუალებას სწავლის შედეგების მიღწევას. კურიკულუმებით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები, სახელმძღვანელოები, თვალსაჩინოებები გამოიყენება სასწავლო პროცესში. ასევე, კურიკულუმებში წარმოდგენილია ონლაინ რესურსები და ვიდეობმულები. **ინდიკატორის მოთხოვნა სამივე საფეხურზე არის დაკმაყოფილებული.**
ტექნოლოგიები	დოკუმენტაციის შესწავლის და მასწავლებელთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ საგან კომპიუტერული ტექნოლოგიების სწავლების პროცესში გამოიყენება სხვადასხვა ტიპის სასწავლო რესურსი, კერძოდ: • ტექნიკური და მატერიალური რესურსები: ინტერნეტი, კომპიუტერები, პროექტორი, სახატავი საშუალებები, ვიზუალური მასალა; • კომპიუტერული პროგრამები და ვებ-ინსტრუმენტები: Microsoft Office (Word, Excel, PowerPoint,), Paint, Paint 3D, Microsoft Office 365 scratch.mit.edu, code.org, „ვსწავლობთ თამაშით“, google-search. • ელექტრონული სასწავლო რესურსები: School.emis.ge, el.ge, khanacademy.org, youtube.

	კურიკულუმში წარმოდგენილი სასწავლო რესურსები ემსახურება კონკრეტული თემის ფარგლებში განსაზღვრული სამიზნე ცნებების და საკითხების დამუშავებას. რესურსები თემების მიხედვით არის შერჩეული და ორგანიზებულია ისე, რომ თითოეული მათგანი მიმართულია შესაბამისი სასწავლო მიზნებისა და შედეგების მიღწევისკენ. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსები, უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიერ კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნა სამივე საფეხურზე არის დაკმაყოფილებული.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დოკუმენტაციის შესწავლისას დასტურდება რომ, კურიკულუმით გათვალისწინებული სასწავლო და საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. როგორც გამოიკვეთა დაწყებითი კათედრის წევრებთან ინტერვიუს დროს ნაწილ კურიკულუმების კონცეპტუალურ ჩარჩოებში არ არის ასახული მრავალფეროვანი საგანმანათლებლო და სასწავლო რესურსები, რასაც კათედრის მასწავლებლების უმრავლესობა იყენებს სასწავლო პროცესში. **რჩევა:** სასურველია ყველა რესურსი,რასაც იყენებენ თემის დამუშავების პროცესში ასახონ კურიკულუმში არსებულ სვეტში „სასწავლო რესურსები“. სასურველია დამატებითი რესურსების უფრო დეტალური და კონკრეტული ჩამონათვალის შეტანა. **ინდიკატორის მოთხოვნა სამივე საფეხურზე არის დაკმაყოფილებული.**

2.1.2.3ინდიკატორის მოთხოვნა სამივე საფეხურზე არის დაკმაყოფილებული.

4. **სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კათედრა სასწავლო პროცესში ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერსებსა და შესაძლებლობებს სხვადასხვა ტიპის აქტივობებისა დაგეგმვისას. გათვალიწინებული

	დიფერენცირებული მიდგომები. ამას ადასტურებს კათედრის მიერ წარმოდგენილი შემაჯამებელი დავალების ანალიზის ნიმუშები, ადაპტირებული დავალებები და წარმოდგენილი ისგ. **ინდიკატორის მოთხოვნა სამივე საფეხურზე არის დაკმაყოფილებული.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში ასახულია დიფერენცირებული და ინკლუზიური სწავლების პრინციპები. სკოლა აცნობიერებს მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინების მნიშვნელობას და აღნიშნული ჰოლისტური მიდგომები აღწერილია უფრო მკაფიოდ ზოგად მეთოდოლოგიურ დოკუმენტებში, ვიდრე წარმოდგენილ კურიკულუმებში. ჰოლისტური მიდგომების რეალიზების გზები ნაკლებადაა ასახული შუალედური მიზნების განხორციელების პროცესში. **რჩევა :** სასურველია, სწავლების დიფერენცირებული მიდგომა უფრო მკაფიოდ აისახოს წარმოდგენილ კურიკულუმებში, სადაც გამოიკვეთება მოსწავლის შესაძლებლობა გამოხატოს საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება მისთვის ეფექტური საშუალებით. **ინდიკატორის მოთხოვნა სამივე საფეხურზე არის დაკმაყოფილებული.**
უცხოური ენები	როგორც პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა პედაგოგებს აქვთ მზაობა ინკლუზიური მიდგომების დანერგვისა და გამოყენებისა სასწავლო პროცესში. **ინდიკატორის მოთხოვნა სამივე საფეხურზე არის დაკმაყოფილებული.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ასახულია დიფერენცირებული და ინკლუზიური სწავლების პრინციპები. სკოლა აცნობიერებს მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინების მნიშვნელობას და აღნიშნული მიდგომები აღწერილია ზოგად მეთოდოლოგიურ დოკუმენტებში. თუმცა წარმოდგენილ კურიკულუმებში აღნიშნული მიდგომების გამოყენება მკაფიოდ არ არის ასახული და ნაკლებად ჩანს, როგორ აისახება ისინი თემების, აქტივობებისა და დავალებების დაგეგმვაში.

	ინდიკატორის მოთხოვნა სამივე საფეხურზე არის დაკმაყოფილებული.
სახელმწიფო ენა	მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ მათ გააჩნიათ დიფერენცირებული სწავლების გამოცდილება. მასწავლებლები ,მოსწავლის საჭიროებიდან გამომდინარე, ახდენენ დავალების პირობისა და სასწავლო აქტივობის მოდიფიცირებას სწავლის სტილის, მოსწავლის მზაობის გათვალისწინებით. კათედრას წარმოდგენილი აქვს სსმ მოსწავლესთან მუშაობის ინდივიდუალური გეგმა, სადაც მკაფიოდ იკითხება გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნები, დაგეგმილი აქტივობები მორგებულია მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს. **ინდიკატორის მოთხოვნა სამივე საფეხურზე არის დაკმაყოფილებული.**
მათემატიკა	სკოლის მათემატიკის მასწავლებელთა მაღალი კვალიფიკაცია გამოსჭვივის არა მარტო წარმოდგენილ მასალებში, დამათებით გამოგზავნილ მასალებში, არამედ დაადასტურეს ინტერვიუს დროსაც, რაც ასახულია მათემატიკის ყველა საფეხურის კურიკულუმში , სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. უკეთეს შედეგებზე გავლენ თუ მათემატიკის სწავლა/სწავლების პროცესში მეტად გამოიყენებენ სხვა საგნებთან საგანთაშორისი კავშირების რეალიზებას. **ინდიკატორის მოთხოვნა სამივე საფეხურზე არის დაკმაყოფილებული.**
სპორტი	პედაგოგეგმა გასაუბრიბაზე აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს. მასწავლებლები არეგულირებენ დარვირთის მოცულობას და ინტენსივობას მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების მათი ფიზიკური განვითარების) გათვალისწინებით. მაგ., აძლევენ მოსწავლეებს ვარჯიშის გამოერების სხვადასხვა რაოდენობას, ცვლიან ვარჯიშის შსრულების ტემპს, სიჩქარეს და სხვ. ამ ეტაპზე სკოლას არ ჰყავთ სსსმ მოსწავლე, რომელიც საჭიროებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში.

	ინდიკატორის მოთხოვნა სამივე საფეხურზე არის დაკმაყოფილებული.
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესი ორგანიზებულია ინკლუზიური განათლების პრინციპების შესაბამისად და ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, ინტერესებსა და შესაძლებლობებს. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და მასწავლებელთან გასაუბრების შედეგად ირკვევა, რომ მასწავლებელი იყენებს დიფერენცირებული სწავლების სტრატეგიებს, რაც უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში და ხელს უწყობს მათი აკადემიური პროგრესის მხარდაჭერას. სწავლების პროცესში მასწავლებელი მოსწავლეთა მზაობის დონის გათვალისწინებით იყენებს შესაბამის აქტივობებს. დაბალი მზაობის მქონე მოსწავლეებისათვის გათვალისწინებულია მხარდამჭერი რესურსები , დამატებითი ინსტრუქციები და ინდივიდუალური კონსულტაციები. მაღალი მზაობის მქონე მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა ძირითად დავალების განსაზღვრულ დროზე ადრე შესრულების შემთხვევაში შეასრულონ დამატებითი სავარჯიშოები ან ძირითადი დავალების ფარგლებში უფრო სიღრმისეულად იმუშაონ და განახორციელონ დამატებითი აქტივობები. სასწავლო პროცესში ასევე გათვალისწინებულია მოსწავლეთა დავალების წარდგენის ფორმატის არჩევანის შესაძლებლობა, რაც ხელს უწყობს მათ მოტივაციასა და შემოქმედებითი უნარების განვითარებას. მოსწავლეებს დავალების შესრულების დროს შეუძლიათ დამოუკიდებლად აირჩიონ დავალება რა ფორმატში შეასრულონ და წარმოადგინონ, .მაგალითად, ერთი და იგივე დავალება შეუძიათ წარმოადგინონ Word, Power Point ან სულაც თაბახის ფურცლებზე. მასწავლებელს წარმოდგენილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მე-5 კლასის სსსმ მოსწავლისთვის. ისგ-ში ნათლად ჩანს, რომ მასწავლებელი სწავლების პროცესში ეფექტურად იყენებს ინკლუზიურ და დიფერენცირებულ მიდგომებს. იგი ითვალისწინებს მოსწავლის შესაძლებლობებს, საჭიროებებსა და სწავლის ტემპს, გეგმავს ადაპტირებულ აქტივობებს და იყენებს მრავალფეროვან სტრატეგიებს. ამგვარი მიდგომა ხელს უწყობს

	სსსმ მოსწავლის აქტიურ ჩართულობას, მოტივაციის ზრდას და უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას მოსწავლისთვის ხელმისაწვდომი და ეფექტური გზით. ზემოთ აღნიშნული მიდგომები უზრუნველყოფს სწავლების პროცესის ინკლუზიურობას, მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენებას და კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას **ინდიკატორის მოთხოვნა სამივე საფეხურზე არის დაკმაყოფილებული.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მათ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვთ დაგეგმილ აქტივობებში, სთავაზობენ დიფერენცირებულ მიდგომებსა და მათთვის საინტერესო, მოდიფიცირებულ და მრავალფეროვან რესურსებს. ასევე, ინტერვიუდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ნათელი გახდა, რომ პედაგოგები ითვალისწინებენ მოსწავლეთა საჭიროებებს და მოსწავლეებს სთავაზობენ ალტერნატიულ გზებს შემოქმედებითი ბუნების დავალების პროდუქტის შესაქმნელად. **ინდიკატორის მოთხოვნა სამივე საფეხურზე არის დაკმაყოფილებული.**

2.1.2.4ინდიკატორის მოთხოვნა სამივე საფეხურზე არის დაკმაყოფილებული.

5. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრამ წარმოადგინა შეფასების რუბრიკები (განმსაზღვრელი და განმავითარებელი), რაც ადასტურებს რომ სამივე საფეხურზე მოსწავლეთა შეფასება ეფუძნება საგნობრივ სტანდარტებს.

	რჩევა: სასურველია V-VI კლასების ბუნებისმეტყველების პედაგოგებმა ითანამშრომლონ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრასთან და გაითვალისწინონ მათი გამოცდილება შეფასების რუბრიკების შედგენისას. **ინდიკატორის მოთხოვნა სამივე საფეხურზე არის დაკმაყოფილებული.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში შეფასების ინსტრუმენტის შერჩევა ხორციელდება გარკვეულ მიზანზე ორიენტირებით. მიზანი განსაზღვრავს როგორც შეფასების შინაარსს , ასევე პროცესს, რომლითაც ეს შედეგი მიიღწევა. შეფასების ინსტრუმენტები, ითვალისწინებს ერთ მხირვ საგანმანათლებლო მიზნებს, სტანდარტის შედეგებს, სამიზნე ცნებებს და მეორე მხრივ მოსწავლეების ინტერესებს, გამოცდილებასა დროში პროგრესის განსაზღვრას. **რჩევა:** სასურველია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები გადაიხედოს და უფრო დაიხვეწოს . შეფასების რუბრიკებში უფრო კონკრეტულად და ნათლად იყოს ასახული, შეფასების აღმწერი კრიტერიუმები **ინდიკატორის მოთხოვნა სამივე საფეხურზე არის დაკმაყოფილებული.**
უცხოური ენები	შეფასების კრიტერიუმები ეყრდნობა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმას, თუმცა საჭიროებს უშუალოდ დავალებებზე მორგებას. **ინდიკატორის მოთხოვნა სამივე საფეხურზე არის დაკმაყოფილებული.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლას წარმოდგენილი აქვს მოსწავლის შეფასების სისტემა, რომელიც ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს. დოკუმენტაციაში გაწერილია შეფასების სხვადასხვა ფორმა, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. ასევე წარმოდგენილია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის სანდოობასა და გამჭვირვალობას. აღნიშნული მიდგომები ქმნის პირობებს მოსწავლის აკადემიური პროგრესის დაკვირვებისა და სწავლის შედეგების შეფასებისთვის.

	ინდიკატორის მოთხოვნა სამივე საფეხურზე არის დაკმაყოფილებული.
სახელმწიფო ენა	დაწყებით საფეხურზე შემუშავებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, პრინციპებს და მეთოდიკურ ორიენტირებს. საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ განმსაზღვრელ შეფასებასთან ერთად აქტიურად იყენებენ განმავითარებელ შეფასებას, უმეტესწილად- ზეპირ უკუკავშირებს განმავითარებელი შეფასების რუბრიკაზე დაყრდნობით. მოსწავლეებისათვის შექმნილი აქვთ თვითშეფასების რუბრიკა, რომელსაც, ძირითადად თემის შეჯამებისას იყენებენ. განმსაზღვრელი შეფასებები წარმოდგენილია რუბრიკის სახით, იკითხება კრიტერიუმები და მიღწევის დონეები. რიგ შემთხვევებში არასწორადაა გაწერილი სამიზნე ცნება/ქვეცნებები. საბაზო და საშუალო საფეხურზე კათედრამ წარმოადგინა შემაჯამებელი დავალების ნიმუშები და შემაჯამებელი წერის ანალიზი. **რჩევა-(საბაზო და საშუალო საფეხური)**შეფასების რუბრიკები, სასურველია, მორგებული იყოს კონკრეტულ დავალებებზე, რათა უფრო ნათლად გამოჩნდეს რას აფასებთ, მოლოდინები მოსწავლის შეფასებასთან დაკავშირებით ჩამოაყალიბეთ სამიზნე ცნებასთან მიმართებით მოსწავლის შედეგების მიღწევის ინდიკატორების მიხედვით. საორიენტაციოდ შეგიძლიათ ისარგებლოთ დაწყებითი საფეხურის შეფასების რუბრიკებით, რომლებიც დანართის სახითაა წარმოდგენილი კურიკულუმებში. **ინდიკატორის მოთხოვნა სამივე საფეხურზე არის დაკმაყოფილებული.**
მათემატიკა	თავდაპირველად წარმოდგენილ მასალებში, ყველა საფეხურის კურიკულუმებში ნაკლებად იყო ასახული შეფასების სისტემები, მაგრამ დამატებით წარმოდგენილ დოკუმენტება ეს ხარვეზი გამოასწორა. მოსწავლეთა შეფასების სისტემა მათემატიკის ყველა საფეხურზე სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.

	რჩევა - მიზანშეწონილად მიმაჩნია, რომ მასწავლებლებმა მეტი ყურადღება გამოიჩინონ დავალებების შერჩევისას და მათი შეფასების შესაბამისი კრიტერიუმების შემუშავებაში. გადაამოწმონ მითითებულ ელექტრო პორტალზე განთავსებული მასალები არის თუ არა სრულ შესაბამისობაში მათი მოსწავლეების გონებრივ და ფსიქო-ფიზიოლოგიურ შესაძლებლობებთან, რამდენად მორგებულია პორტალზე განთავსებული დავალების შეფასების კრიტერიუმები სკოლის შესაბამისი კლასის მოსწავლეების შესაძლებლობებთან. თუ შესაბამისობაში არ არის ელექტრულ პორტალებზე განთავსებული დავალებები კონკრეტული კლასის მოსწავლეების ფსიქო-ფიზიოლოგიურ და გონებრივ შესაბამისობასთან, მოახდინონ ამ დავალებების კორექტირება და შეუფარდონ კლასის მოსწავლეთა შესაძლებლობებს. **ინდიკატორის მოთხოვნა სამივე საფეხურზე არის დაკმაყოფილებული.**
სპორტი	შეფასებისას მასწავლებლები იყენებენ ზეპირსიტყვიერ და წერილობით განმავითარებელ შეფასებას. სკოლამ წარმოადგინა განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. ფასდება მოსწავლეების ჩართულობა, ტექნიკური ელემენტების დაუფლების ხარისხი. შეფასება ორიენტირებულია მოსწავლის განვითარების ხელშეწყობაზე. **ინდიკატორის მოთხოვნა სამივე საფეხურზე არის დაკმაყოფილებული.**
ტექნოლოგიები	მასწავლებლის მიერ წარმოდგენილ მასალაში მოცემულია როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა სწავლის პროცესისა და შედეგების კომპლექსურ შეფასებას. წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასება მიმართულია მოსწავლეთა პროგრესის, განვითარების დინამიკისა და საჭიროებების გამოვლენაზე, ხოლო წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასება ადგენს მოსწავლეთა მიღწევის დონეს საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებთან მიმართებით. აღსანიშნავია, რომ მასწავლებლის მიერ გამოყენებული შეფასების რუბრიკები აგებულია ოთხდონიანი შეფასების სისტემის მიხედვით, რაც შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შეფასების დონეებთან (მაღალი, საშუალოზე მაღალი, საშუალო,

	დაბალი). შეფასების კრიტერიუმები მკაფიოდ და ნათლადაა ჩამოყალიბებული და უზრუნველყოფს შეფასების ობიექტურობას, ხოლო მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას ზუსტად იცოდნენ რა მოეთხოვებათ დავალების შესრულების დროს და როგორ მოხდება მათი ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასება. შესაბამისად, წარმოდგენილი შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შეფასების პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს და ხელს უწყობს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევებისა და პიროვნული განვითარების მხარდაჭერას. **ინდიკატორის მოთხოვნა სამივე საფეხურზე არის დაკმაყოფილებული.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ასევე შემოქმედებითი ბუნების დავალებების მიხედვით გაწერილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების ნაწილი ზოგადი ხასიათისაა. მიზანშეწონილია ამ რუბრიკების კონკრეტულ საკითხებთან, თემებთან ან დავალებებთან შესაბამისობაში მოყვანა. რათა შეფასების კრიტერიუმები უფრო მკაფიოდ ასახავდეს კონკრეტული სასწავლო თემის ან დავალების ფარგლებში მისაღწევ შედეგებს. **რჩევა-** *სასურველია ყველა საგანში, შეფასების რუბრიკებში რაიმე საკითხის/ კომპლექსური ტიპის დავალების/თემის/სასწავლო პროექტის/შემაჯამებელი დავალების შეფასებისას გაიწეროს კონკრეტული მოლოდინები/მიღწევის შედეგები თითოეულ სამიზნე ცნებასთან მიმართებით, სამიზნე ცნებაზე ორიენტირებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რათა მკაფიოდ გამოიკვეთოს კავშირი შუალედურ მიზანსა და გრძელვადიან მიზანს შორის.* **ინდიკატორის მოთხოვნა სამივე საფეხურზე არის დაკმაყოფილებული.**

2.1.2.5. ინდიკატორის მოთხოვნა სამივე საფეხურზე არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კომპიუტერული ტექნოლოგიები:

1. *II-VI კლასის კურიკულუმები;*
2. *შუალედური მიზნის მისაღწევი დავალებების გეგმები;*
3. *განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა;*
4. *განმავითარებელი შეფასების რუბრიკა;*
5. *შუალედური მიზნის მისაღწევი დავალებებზე თანდართული მოსწავლეთა ნამუშევრები;*
6. *ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;*
7. *შემაჯამებელი დავალება თავის პირობით და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკით;*
8. *შემაჯამებელ დავალებაზე თანდართული მოსწავლეთა ნამუშევრები;*
9. *დანართი: მათემატიკისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების კათედრის 2025-2026 სასწავლო წლის ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსების ჩამონათვალი;*
10. *კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია.*

.სახელმწიფო ენა

1. *I-VI და VII...კლასის კურიკულუმები;*
2. *შეფასების რუბრიკები;*
3. *დავალების ბარათები;*
4. *ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;*
5. *შემაჯამებელი დავალებები (პირობა, პრობლემის ანალიზი, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა*
6. *კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;*
7. *პროექტის განხორციელების ამსახველი დოკუმენტაცია.*

მათემატიკა

1. *სკოლის თვითშეფასება*
2. *მასწავლებლებთან ინტერვიუები*
3. *მათემატიკის ყველა საფეხურის კურიკულუმების ანალიზი*

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

1. *შემოქმედებითი დავალების ამსახველი ფოტო/ვიდეო მასალა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში*

2. *ადაპტირებული დავალებების ნიმუშები საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში*
3. *შემაჯამებელი დავალებების ნიმუშები საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში*
4. *ისგ*
5. *განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში*

სპორტი

1. *I – XII კლასების კურიკულუმების ჩარჩოები*
2. *კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლიგია*
3. *განმავითარებელი შეფასების რუბრიკები*
4. *შემოქმედებითი პროდუქტი*

ესთეტიკური განვითარება

1. *მუსიკა კურიკულუმები*
2. *სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება კურიკულუმები*
3. *შეფასების რუბრიკები (მუსიკა/ხელოვნება)*
4. *შემაჯამებელი დავალებები*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*

☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამბა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები, შემოქმედებითი დავალებები და მოსწავლეთა ნამუშევრები ადასტურებს რომ სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესი იგეგმება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში - დაწყებით , (მე და საზოგადოება , ჩვენი საქართველო) საბაზო (გეოგრაფია ,ისტორია, მოქალაქეობა)და საშუალო საფეხურზე (გეოგრაფია,ისტორია,) სასწავლო პროცესი ეფუძნება სასკოლო კურიკულუმს და მისი დაგეგმვა ემსახურება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების შესრულებას. კურიკულუმებში გაწერილი აქტივობები ფორმალური და არაფორმალური განათლების პროცესში შემოქმედებითი ბუნებისაა და ხელს უწყობს საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და

	ურთიერთდაკავშირებულად სწავლებას . ისინი საშუალებას აძლევს მოსწავლეს შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილი საშუალო საფეხურის (მოქალაქეობა X,XI,XII კლ) კურიკულუმების მიხედვით , სასწავლო პროცესში შეინიშნება კურიკულუმთან შეუსაბამობები. თუმცა პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა შემოქმედებითი მუშაობის მაგალითები. პედაგოგებმა ისაუბრეს განხორციელებულ სასწავლო და სათემო პროექტების მდგრადობაზე, სწავლა-სწავლების პრინციპების განხორციელებაზე, საგნობრივი სტანდარტის გათვალისწინებით.
უცხოური ენები	სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, თუმცა კურიკულუმები საჭიროებს შემოქმედებითი დავალებების მოდიფიცირებას, გამრავალფეროვნებასა და ადაპტირებას. პედაგოგები ახორციელებენ შიდა სასკოლო საგანმანათლებლო პროექტებს, როგორც ინდივიდუალურად, ასევე სხვა კათედრებთან ინტეგრირებულად.
ესთეტიკური აღზრდა	მუსიკაში სასწავლო პროცესი კურიკულუმის შესაბამისად არის დაგეგმილი — თემები, აქტივობები და შეფასების ფორმები ერთმანეთს შეესაბამება და უზრუნველყოფს პროცესის თანმიმდევრულ განვითარებას. სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში შეინიშნება კურიკულუმთან შეუსაბამობები. უმცა პედაგოგებთან გასაუბრების დროს, გამოიკვეთა , რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სწავლა-სწავლების პრონციპით, მიდის შემოქმედებითი მუშაობა საგნობრივ სტანდარტთან შესაბამისად.
სახელმწიფო ენა	დაწყებით, საბაზო და საშუალო სასწავლო პროცესი დაგეგმილია და ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. მასწავლებლები საუბრისას აღნიშნავდნენ, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებენ სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტულ

	პრინციპებს. კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების მიხედვით მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა აქტიურად იყვნენ ჩართული საკუთარი ცოდნის კონსტრუირებაში ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითი უნარის, მიზნის მისაღწევი ქმედებების დაგეგმვის და განხორციელების გზით. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას მოსწავლეები ქმნიან შემოქმედებით პროდუქტს და მიღებულ ცოდნას უკავშირებენ რეალურ ცხოვრებისეულ კონტექსტებს. კათედრის მიერ განხორციელებულია რამდენიმე სასწავლო-შემეცნებითი პროექტი.
მათემატიკა	მათემატიკის სწავლა/სწავლების პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, რომელიც დაგეგმილია სკოლის მიერ ყველა საფეხურის კურიკულუმების შესაბამისად.
სპორტი	თავდაპირველად გადმოგზავნილ დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში მითითებული იყო ისეთი აქტივობები, რომლის ჩატარება არ ხორციელდებოდა საჭირო სპორტული ინვენტარის უქონლობის გამო (მაგ., კოტრიალი, გორება, გვერდყირამალა, ხიდი, ტანვარჯიშულ სკამზე ცოცვა). მაგრამ, ვიზიტის დროს სკოლამ შეიტანა შესწორებები და წარადგინა კურიკულუმები, რომლის მიხედვით სკოლაში მიმდინარეობს სასწავლო პროცესი. სამივე საფეხურის კურიკულუმებში გაწერილი პრაქტიკული და თეორიული შინაარსის თემები საშუალებას იძლევა, რომ მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართულები სასწავლო პროცესში.
ტექნოლოგიები	მასწავლებელს წარმოდგენილი აქვს შუალედური მიზნების მიღწევაზე ორიენტირებული კომპლექსური ტიპის დავალებების გეგმები, რომლებიც სრულ შესაბამისობაშია საგნობრივ კურიკულუმით განსაზღვრულ დავალებების ჩამონათვალთან და სასკოლო კურიკულუმის მოთხოვნებთან. წარმოდგენილია IV კლასში დაგეგმილი შუალედური მიზნის მისაღწევი დავალება შესაბამისი მოსწავლეთა ნამუშევრებით, რომელიც არის კომპლექსური ტიპის,

	ითვალისწინებს შემოქმედებითი პროდუქტის შექმნას და ფასდება განმავითარებელ შეფასებით, რაც შესაბამისობაშია სასკოლო კურიკულუმის მოთხოვნებთან. ასევე წარმოდგენილია V კლასისთვის დაგეგმილი შუალედური მიზნის მისაღწევი დავალება შესაბამისი მოსწავლეთა ნამუშევრებით, რომელიც არის კომპლექსური ტიპის, ითვალისწინებს შემოქმედებითი პროდუქტის შექმნას და მოიცავს განმსაზღვრელ შეფასებას. აღნიშნული პრაქტიკა შეესაბამება სასკოლო კურიკულუმის მოთხოვნას. სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრულია შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობა და შესრულების ფორმატი. კერძოდ, ითვალისწინებს შემოქმედებითი პროდუქტის შექმნას. მასწავლებელს წარმოდგენილი აქვს შემაჯამებელი დავალება თავის პირობით, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკით და . მოსწავლეთა ნამუშევრებით რომლებიც შემოქმედებითი პროდუქტია. წარმოდგენილი შეფასების კრიტერიუმები უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიღწევების ობიექტურ და გამჭვირვალე შეფასებას. აღნიშნული პრაქტიკა შეესაბამება სასკოლო კურიკულუმის მოთხოვნას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებელი სასწავლო პროცესს გეგმავს სასკოლო კურიკულუმისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, იყენებს შესაბამის შეფასების ფორმებს და უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევაზე ორიენტირებულ დაგეგმვას.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან დგინდება,რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის მიხედვით: საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილი თემატური ერთეულები და საკითხები შეესაბამება საგნობრივ სტანდარტებსა და მისაღწევ შედეგებს; აქტივობები და რესურსები შერჩეულია მოსწავლეთა ასაკის შესაბამისად;

2.2.1.1ინდიკატორის მოთხოვნა სამივე საფეხურზე არის დაკმაყოფილებული.

2. **სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

ქალაქ ცაგერის საჯარო სკოლის მოწოდებულ დოკუმენტაციისა და ინტერვიუების ანალიზი მიუთითებს, რომ სკოლა ეფექტიანად რეაგირებს წამოჭრილ საჭიროებებზე. სასწავლო პროცესი მოქნილად ადაპტირდება მოსწავლეთა ინტერესების, საჭიროებებისა და შესაძლებლობების მიხედვით. პედაგოგები საჭიროების შემთხვევაში ცვლიან დაგეგმილ აქტივობებს და უზრუნველყოფენ დიფერენცირებულ მიდგომებსა და მოდიფიცირებულ რესურსებს. მოსწავლეებს ეძლევათ საკუთარი ცოდნისა და აზრის გამოხატვის მრავალფეროვანი ფორმა, რაც ზრდის მათ ჩართულობას. სკოლა ასევე ითვალისწინებს მასწავლებელთა პროფესიულ გამოცდილებასა და სასკოლო საზოგადოების მოსაზრებებს, რაც განაპირობებს გამოწვევებზე დროულ და შედეგზე ორიენტირებულ რეაგირებას, რაც ხელს უწყობს სწავლა-სწავლების უწყვეტ გაუმჯობესება. სკოლის სასწავლო გეგმაში გაწერილია სხვადასხვა საჭირო შემთხვევაში როგორ რეაგირებას ახდენს სკლოა, რათა არ დაირღვეს სასწავლო პროცესისი უწყვეტობა. აგრეთვე, სკოლაში მატერიალურად არსებობს ჩამნაცვლებელი მასწავლებლის ჟურნალი.

2.2.1.2ინდიკატორის მოთხოვნა სამივე საფეხურზე არის დაკმაყოფილებული.

3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები სამივე საფეხურზე, ადასტურებს რომ სკოლაში წარმოებს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში განსაზღვრული შეფასების მიზანი და შეფასების კრიტერიუმები მიემართება გრძელვადიან მიზნებისკენ. წარმოდგენელი შეფასების რუბრიკები და შემაჯამებელი დავალების ანალიზის ნიმუშები ადასტურებს რომ სამივე საფეხურზე შეფასება არის ვალიდური, გამჭირვალე, ობიექტური და სანდო.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში ,სჩანს ,რომ შეფასების სისტემა დაფუძნებულია ეროვნული სასწავლო გეგმის ძირითად პრინციპებზე. გამოყენებულია შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტები, ასევე განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

	გასაუბრების დროს შედეგების ანალიზზე საუბრისას გამოიკვეთა ,რომ შეფასების პროცესი გამჭვირვალეა ,მოქმედი შეფასების სისტემა არის: ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და უზრუნველყოფს მოსწავლეთა შედეგების მიღწევის გზებს
უცხოური ენები	როგორც წარმოდგენილი მასალით ასევე ინტერვიუს დროს გამოიკვეთა რომ შეფასების რუბრიკები ერთობლივად შემუშავებულია კათედრებზე, თუმცა მომავალში აპირებენ მოდიფიცირებას.
ესთეტიკური აღზრდა	შეფასების სისტემა დაფუძნებულია ეროვნული სასწავლო გეგმის ძირითად პრინციპებზე. გამოყენებულია როგორც ტესტური, ასევე განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. შეფასების პროცესი გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს მოსწავლეთა შედეგების რეგულარულ ფიქსირებას.
სახელმწიფო ენა	სკოლაში შემუშავებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები, ანალიტიკური და ჰოლისტური შეფასების ინსტრუმენტები უზრუნველყოფს ვალიდურ, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტურ და სამართლიან შეფასებას. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ცდილობენ ყოველთვის ობიექტური უკუკავშირი მიაწოდონ მოსწავლეებს. სასწავლო პროცესში ხშირად მიმართავენ მოსწავლეთა თვითშეფასებასაც. წარმოდგენილი შეფასებების რუბრიკები ასახავს აქტივობის შინაარსს, მიზნებს, კრიტერიუმებს ქულებთან ერთად, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ნამუშევრების ობიექტურ შეფასებას. მასწავლებლებმა საუბრისას გამოთქვეს მზაობა, რომ საკუთარი გამოცდილების გაანალიზების შედეგად კიდევ უფრო გააუმჯობესებენ შეფასების სისტემას, შემუშავებული ექნებათ შეფასების კრიტერიუმების შესაბამისი შეფასების რუბრიკები.
მათემატიკა	წარმოდგენილ დოკუმენტებში, განსაკუთრებით დამატებით წარმოდგენილ დოკუმენტებში ჩანს, რომ მათემატიკაში შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი.

სპორტი	შეფასების სისტემა ემყარება ვალიდურ, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტურ და სამართლიან პრინციპებს. განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმები ეფუძნება სამიზნე ცნებებს და კონკრეტულ თემებს. მასწავლებლები წინასწარ აცნობენ მოსწავლეებს შეფასების კრიტერიუმებს.
ტექნოლოგიები	დოკუმენტაციის შესწავლისას და მასწავლებელთან ინტერვიურების შემდეგ ირკვევა, რომ შეფასების სანდოობა და სამართლიანობა უზრუნველყოფილია მკაფიოდ ჩამოყალიბებული რუბრიკებით, სადაც კრიტერიუმები წინასწარ არის განსაზღვრული და ყველასთვის ერთნაირად გამოიყენება. შესრულების დონეები ნათლად არის აღწერილი, რაც ამცირებს სუბიექტურ შეფასებას და ხელს უწყობს ერთგვაროვან მიდგომას. რუბრიკები წინასწარ არის გაზიარებული მოსწავლეებთან, რაც ზრდის პროცესის გამჭვირვალობას და უზრუნველყოფს, რომ შეფასება ეფუძნებოდეს მხოლოდ შესრულების ხარისხს და ყველა მოსწავლე ფასდებდეს თანაბარ პირობებში/სამართლიანად. შეფასების კრიტერიუმები გამომდინარეობს საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული მისაღწევი შედეგებიდან და შესაბამისობაშია თემის ფარგლებში განსაზღვრულ სამიზნე ცნებებთან. ამასთან, შეფასების კრიტერიუმები ადაპტირებულია კონკრეტული სასწავლო დავალების პირობებსა და მოთხოვნებზე. აღნიშნული უზრუნველყოფს შეფასების სისტემის ვალიდურობას, რადგან შეფასების ინსტრუმენტები პირდაპირ არის დაკავშირებული სასწავლო მიზნებთან, საგნობრივი სტანდარტის შედეგებთან და მოსწავლეთა მიერ შესასრულებელი დავალების შინაარსთან. ამასთან, დოკუმენტაციის შეწვლისას ირკვევა, რომ სკოლაში მოქმედებს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის მონიტორინგსა და ხარისხის უზრუნველყოფას. აღნიშნული მექანიზმი ხელს შეუწყობს შეფასების შედეგების სიზუსტის გადამოწმებას და უზრუნველყოფს შეფასების სამართლიანობასა და თანმიმდევრულობას. შესაბამისად, კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლის მიერ გამოყენებული შეფასების სისტემა უზრუნველყოფს შეფასების პროცესის ვალიდურობას, გამჭვირვალობას,

	სანდოობას, ობიექტურობასა და სამართლიანობას და შეესაბამება სკოლისა და ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მოთხოვნებს
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	მასწავლებლებთან ინტერვიუსას გამოიკვეთა, რომ გაკვეთილზე განხორციელებული ცალკეული აქტივობები შესაბამისი კრიტერიუმით ფასდება, რომელებზეც მოსწავლეები წინასწარ არიან ინფორმირებულნი. აქედან გამომდინარე დგინდება ,რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური,გამჭვირვალე,სანდო და ობიექტური.

2.2.1.3ინდიკატორის მოთხოვნა სამივე საფეხურზე არის დაკმაყოფილებული.

4. **სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი**

სსიპ ქალაქ ცაგერის საჯარო სკოლის მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს შემუშავებული შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესი. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს წარმოადგინეს როგორ აფასებენ მოსწავლეებს და აღწერეს პროცესი თუ როგორ აანალიზებენ მოსწავლეთა შეფასებებს, აღწერეს რამდენად თანმიმდევრულია მოსწავლეთა შეფასება, მათი სწავლის დინამიკა. მათ ესმით, რომ ეს ანალიზი სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია და ილუსტრაციაა იმისა, თუ რამდენად ასრულებს შეფასების სისტემა მოსწავლის მხარდაჭერის ფუნქციას, რამდენად წარმოადგენს ის სწავლა-სწავლების პროცესის საყრდენს. არსებული შეფასების სისტემის ეფექტიანობის განსასაზღვრად იყენებენ შემაჯამებელი დავალების ანალიზებს და სხვა.

2.2.1.4ინდიკატორის მოთხოვნა სამივე საფეხურზე არის დაკმაყოფილებული.

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

ქალაქ ცაგერის საჯარო სკოლაში კანონის შესაბამისად უზრუნველყოფილია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების აღრიცხვა და შენახვა, რაც მტკიცდება წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე.

2.2.1.5. ინდიკატორის მოთხოვნა სამივე საფეხურზე არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *კურიკულუმი;*
2. *შეფასების რუბრიკები;*
3. *თვითშეფასების კითხვარი;*
4. *შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესი;*
5. *მოსწავლეთა პირადი საქმეები.*

კომპიუტერული ტექნოლოგიები

1. *II-VI კლასის კურიკულუმები;*
2. *შუალედური მიზნის მისაღწევი დავალებების გეგმები;*
3. *განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა;*
4. *განმავითარებელი შეფასების რუბრიკა;*
5. *შუალედური მიზნის მისაღწევი დავალებებზე თანდართული მოსწავლეთა ნამუშევრები;*
6. *ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;*
7. *შემაჯამებელი დავალება თავის პირობით და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკით;*
8. *შემაჯამებელ დავალებაზე თანდართული მოსწავლეთა ნამუშევრები;*
9. *დანართი: მათემატიკისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების კათედრის 2025-2026 სასწავლო წლის ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსების ჩამონათვალი;*
10. *შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი.*

სახელმწიფო ენა

1. *I-VI და VII.-XII ..კლასის კურიკულუმები;*
2. *შეფასების რუბრიკები;*
3. *დავალების ბარათები;*
4. *ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;*
5. *შემაჯამებელი დავალებები (პირობა, პრობლემის ანალიზი, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა*
6. *სახელმწიფო ენისა და დაწყებითი კათედრის 2025-2026 სასწავლო წლის ოქმები.*

მათემატიკა

1. *სკოლის თვითშეფასება*
2. *მასწავლებლებთან ინტერვიუები*

3. *მათემატიკის ყველა საფეხურის კურიკულუმების ანალიზი*

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

1. *შემაჯამებელი დავალების ანალიზების ნიმუშები საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში*

სპორტი

1. *სამივე საფეხურის კურიკულუმების ჩარჩოები*
2. *განმავითარებელი შეფასების რუბრიკების მაგალითები*

ესთეტიკური განვითარება

1. *სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმები*
2. *მუსიკის კურიკულუმები*
3. *შეფასების რუბრიკები*

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესში გამოყენებულია როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოები ასევე დამატებითი რესურსები თემების/საკითხების შესაბამისად, რაც ასახულია კურიკულუმშიც. დახმარე რესურსების გამოყენება ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდასა და სიღრმისეული ცოდნის მიღებას.

საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში მითითებული ძირითადი რესურსი/ გრიფირებული სახელმძღვანელოები, დამხმარე სახელძღვანელოები, შესაბამისი ელექტრონული რესურსები გამოყენებულია სასწავლო პროცესში გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად და ორიენტირებულია მოსწავლის ინტერესებსა და შესაძლებლობებზე, ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას.
უცხოური ენები	სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული გრიფმინიჭებული ძირითადი სასკოლო სახელმძღვანელოები,კურიკულუმით გათვალისწინებული ყველა რესურსი ემსახურება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას, თუმცა არის მწირი.
ესთეტიკური აღზრდა	მუსიკასა და სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში სასწავლო პროცესში გამოიყენება როგორც ძირითადი, ისე დამხმარე რესურსები და ისინი შეესაბამება კურიკულუმში მითითებულ მასალებს.
სახელმწიფო ენა	დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე სასკოლო კურიკულუმებში წარმოდგენილია ძირითადი და დამხმარე რესურსები საკითხების შესაბამისად, რიგ შემთხვევაში არ არის მითითებული სახელმძღვანელოების ავტორები, გვერდები და ელექტრონული რესურსების ბმულები. რესურსის შერჩევა ხდება კათედრის სხდომასა და პედაგოგიურ საბჭოზე განხილვის გზით. **რჩევა: (საბაზო და საშუალო საფეხური)**სასურველია, ყველა კლასში, კურიკულუმებში წარმოდგენილი საკითხის შესაბამისად უზრუნველყოთ ელექტრონული თუ მატერიალური რესურსების მრავალფეროვნება
მათემატიკა	ყველა საფეხურის მათემატიკის კურიკულუმებით დასტურდება, რომ კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში, რაც დაადასტურეს მასწავლებლებმა პირადი ინტერვიუს დროს.

	რჩევა-მიზანშეწონილია მეტი ყურადღება მიექცეს იმ გრიფირებული სახელმძღვანელოებიდან დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში მათემატიკური ტერმინების გამოყენებას, რომლებიც თარგმნილია ქართულად და ზოგიერთი ტერმინის დასახელება მთარგმნელის მიერ რამდენადმე განსხვავდება ქართულ ენაში მიღებული და დამკვიდრებული ტერმინებისგან. ვთვლი, რომ როგორც სილაბუსებში, ისე მათემატიკის გაკვეთილებზე გამოყენებული უნდა იქნეს ქართულ ენაში დამკვიდრებული და საყოველთაოდ აღიარებული მათემატიკური ტერმინები, ადგილი არ უნდა ქონდეს სწავლების სხვადასხვა საფეხურზე ერთი და იგივე შინაარსის მქონე ცნების სხვადასხვა, ერთმანეთისაგან განსხვავებული ტერმინების გამოყენებას.
სპორტი	სასწავლო პროცესში გამოიყენება როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოები, ასევე დამატებითი რესურსები, რომლებიც ასახულია კურიკულუმებში. ამხამარე რესურსების გამოყენება უწყობს ხელს მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდას, მრავალფეროვანი აქტივობების ჩატარებას და სიღრმისეული ცოდნის მიღებას.
ტექნოლოგიები	მასწავლებელთან ჩატარებული ინტერვიუსა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნის სწავლების პროცესში გამოყენებულია კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო რესურსები. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის მასშტაბით სკოლებში არ არის წარმოდგენილი აღნიშნული საგნის გრიფირებული სახელმძღვანელო, სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსები, რომლებიც უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას და შეესაბამება საგნობრივი კურიკულუმის მოთხოვნებს. ძირითად სასწავლო რესურსად გამოიყენება ელექტრონული პლატფორმა school.emis.ge, სადაც წარმოდგენილია სასწავლო მასალა, თემები და აქტივობები. დამატებით, მასწავლებელი იყენებს დამხმარე საგანმანათლებლო რესურსებს, როგორიცაა el.ge, khanacademy.org, youtube, ინტერნეტის საძიებო სისტემები და ხელოვნური ინტელექტის

	ინსტრუმენტები, რომლებიც ეხმარება მოსწავლეებს ინფორმაციის მოძიებაში, თემების უკეთ გააზრებასა და პრაქტიკული უნარების განვითარებაში. ამასთანავე, მასწავლებელი ქმნის საკუთარ ციფრულ სასწავლო რესურსებს (პრეზენტაციები, ინსტრუქციები, სავარჯიშოები), რაც ხელს უწყობს სასწავლო მასალის ადაპტირებას მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებებისა და საჭიროებების მიხედვით. სასწავლო პროცესში მოსწავლეები პრაქტიკულად მუშაობენ სხვადასხვა კომპიუტერულ პროგრამასა და ვებ-ინსტრუმენტთან, მათ შორის: Microsoft Office პროგრამებზე (Word, Excel, PowerPoint, Publisher), Paint Paint 3D, ასევე Microsoft Office 365 გარემოში, პროგრამირების საბაზისო უნარების განვითარების მიზნით გამოიყენება ისეთი საგანმანათლებლო პლატფორმები, როგორიცაა Scratch (scratch.mit.edu) და Code.org. აღნიშნული რესურსების გამოყენება ხელს უწყობს მოსწავლეთა ციფრული კომპეტენციების განვითარებას, პრაქტიკული უნარების ჩამოყალიბებას და აქტიური, ინტერაქტიული სასწავლო პროცესის განხორციელებას. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებელი სასწავლო პროცესში სისტემურად იყენებს კურიკულუმით განსაზღვრულ როგორც ძირითად, ისე დამხმარე სასწავლო რესურსებს, რაც უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების ეფექტიან განხორციელებას და თანამედროვე ციფრული გარემოს ინტეგრირებას სწავლა-სწავლების პროცესში.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლას ძირითად სასწავლო რესურსად განსაზღვრული აქვს გრიფირებული სახელმძღვანელოები. ინტერვიუსას გამოიკვეთა რომ იყენებენ სხვადასხვა რესურსებს. ***რჩევა*** *- სასურველია დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში სრულად შეიტანონ ის სასწავლო რესურსები, რასაც იყენებენ, მაგალითად საჭირო მატერიალური რესურსები; ელ.ბმულები.*

2.2.2.1. ინდიკატორის მოთხოვნა სამივე საფეხურზე არის დაკმაყოფილებული.

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	რესურსების ვალიდაცია ხორციელდება ვალიდაციის წესის შესაბამისად. სკოლა იყენებს როგორც სკოლაში არსებულ მატერიალურ რესურსებს ასევე დამხმარე ელექტრონულ რესურსებსაც.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან სჩანს,რომ სკოლაში მოქმედებს დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევისა და ვალიდაციის მექანიზმი. რესურსების შერჩევა და შეფასება ხდება კათედრაზე რამდენიმე კრიტერიუმით: შესაბამისობა სტანდარტთან, აკადემიური სანდოობა, ეთიკურობა და მეთოდოლოგიური გამართულობა სკოლა იღებს პასუხისმგებლობას იმ მასალების ხარისხზე, რომლებსაც მოსწავლეები ძირითადი სახელმძღვანელოების გარდა იყენებენ. **რჩევა:** სასურველია კათედრის მიერ გადასინჯული და განახლებული იყოს ციფრული /მულტიმედიური რესურსები , როგორც ენობრივად ისე ხანდაზმულობის თვალსაზრისით
უცხოური ენები	როგორც ინტერვიუს დროს გამოიკვეთა სასწავლო რესურსის ვალიდაციას უზრუნველყოფს საგნობრივი კათედრა კათედრის წევრებს ერთობლივი ჩართულობით. დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევა ხდება მოსწავლეთა საჭიროებების, ინტერესების და შესაძლებლობების გაათვალისწინებით
ესთეტიკური აღზრდა	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევას შინაარსობრივი შესაბამისობისა და მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. რესურსების შერჩევა ხორციელდება მასწავლებლების მონაწილეობით და გამოიყენება სასწავლო პროცესში მიზნობრივად.

სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე ხდება სასწავლო პროცესში კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი რესურსების (სახელმძღვანელო, სამუშაო რვეულები) და დამხმარე რესურსების გამოყენება. მასწავლებლებმა საუბრისას აღნიშნეს, სამომავლოდ, სწავლა-სწავლების პროცესში აქტივობებ ისე დაგეგმავენ, რომ შესაძლებელი იყოს მრავალფეროვანი რესურსების გამოყენება რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლებას, თემის უკეთ შესწავლას, გააზრებას და კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას.
მათემატიკა	ყველა საფეხურის მათემატიკის კურიკულუმებით დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას სასწავლო პროცესში, რაც ჩანს სკოლის თვითშეფასების დოკუმენტში და დაადასტურეს მასწავლებლებმა პირადი ინტერვიუს დროს.
სპორტი	კურიკულუმებით გათვალისწინებული დამატებითი რესურსები განსაზღვრულია საგნოვრივ კათედრაზე განხილვის შედეგას.
ტექნოლოგიები	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციის და მასწავლებელთან გასაუბრებიდან ჩანს, რომ სკოლის მიერ კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი კურიკულუმებით განსაზღვრული ძირითადი საგანმანათლებლო რესურსი (გრიფირებული სახელმძღვანელო ამ საგანში არ არსებობს) არის სამინისტროს მიერ რეკომენდირებული და მოწოდებული ელექტრონული რესურსი. კერძოდ; **school.emis.ge**. შესაბამისად, შეიძლება მივიჩნიოთ რომ კომპიუტერულ ტექნოლოგიებში გამოყენებული ძირითადი რესურსი არის კომპეტენტური ორგანოს მიერ ვალიდირებული (ასაკობრივად, თემატურად შესაბამისი, უსაფრთხო გამოყენების თვალსაზრისით). ასევე ავტომატურად ვალიდურად შეგვიძლია მივიჩნიოთ **school.emis.ge**-ზე ლინკების სახით განთავსებული დამხმარე სასწავლო რესურსები. რაც შეეხება სხვა დამხმარე სასწავლო რესურსებს, სკოლის მიერ წარმოდგენილია მათემატიკისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების კათედრის ოქმის დანართი სადაც კათედრას გაწერილი აქვს ვალიდირებული სასწავლო ელექტრონული რესურსების ჩამონათვალი

	მათემატიკასა და კომპიუტერულ ტექნოლოგიებში. დამხმარე სასწავლო რესურსები მასწავლებელს ასევე გაწერილი აქვს საგნობრივ კურიკულუმებში. შესაბამისად შეგვიძლია ვთქვათ, რომ საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში უზრუნველყოფილია დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაცია.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	მასწავლებლებთან ინტერვიუსას გამოიკვეთა, რომ დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევის საკითხის განხილვა ხორციელდება კათედრის შეხვედრებზე. გამოიყენება ის მასალები, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს, ასაკობრივ თავისებურებებსა და სწავლების მიზნებს.

2.2.2.2ინდიკატორის მოთხოვნა სამივე საფეხურზე არის დაკმაყოფილებული.

3. **კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	მიუხედავად იმისა, რომ სკოლას ორივე ფლიგელისთვის აქვს განსაზღვრული ოთახები საბუნებისმეტყველო ლაბორატორიისათვის, არცერთში არ აქვს ლაბორატორია. ინფრასტრუქტურა სრულად მოწესრიგებულია და შეესაბამება საჭირო მოთხოვნებს, მაგრამ რადგან სკოლა არის მოლოდინის რეჟიმში და ელოდება სამინისტროსგან ლაბორატორიის აღჭურვილობის გადმოცემას ექსპერტების მხრიდან დაფიქსირდა **ხარვეზი** საბაზო და საშუალო საფეხურების კურიკულუმების მიმართულებით: *სკოლა ვერ უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს, სკოლას არ აქვს საბუნებუსმეტყველო ლაბორატორია.*

	არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისა და შესაბამისობის გეგმით აღებული პასუხისმგებლობის შესაბამისად სკოლას მიეცა ***რეკომენდაცია,*** *შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, 2026 წლის 30 სექტემბრამდე, უზრუნველყოს სკოლაში საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა.* სკოლა ზრუნავს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობაზე და მომავალი სასწავლო წლისთვის ლაბორატორია აღჭურვილი იქნება ყველა საჭირო რესურსით, რაც უზრუნველყოფს სხვადასხვა აქტივობების განხორციელებას და ლაბორატორიის გამოყენებას სასწავლო პროცესში. ***რჩევა:*** *კათედრას ვურჩევ, ყურადღება მიექცეს ლაბორატორიაში უსაფრთხოების წესების დაცვას, ნივთიერებები, რომლებიც მოითხოვენ შენახვის განსაკუთრებულ პირობებს მოათავსონ შესაბამის პირობებში (მოარიდონ მზის სხივებს; მოთავსდეს დახურულ კარადებში)* ***საბაზო და საშუალო საფეხურებზე ინდიკატორი მეტწილად არის დაკმაყოფილებული.***
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ დადასტურებულია, რომ სკოლის ფიზიკური გარემო და აღჭურვილობა პასუხობს მოსწავლეთა რაოდენობას და ხელს უწყობს იმ უნარების განვითარებას , რასაც ეროვნული სასწავლო გეგმა მოითხოვს. მაგ,სკოლაში არის სკოლაში არის გრიფირებული სახელმძღვანელოები ,საკმარისი რაოდენობის მაგიდები, სკამები, დაფები, კომპიუტერები, თვალსაჩინოებები და კარტოგრაფიული მასალა, ტექნოლოგიური აღჭურვილობა, სივრცე აქტიური სწავლებისთვის და ა.შ **ინდიკატორის მოთხოვნა სამივე საფეხურზე არის დაკმაყოფილებული.**
უცხოური ენები	სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებს მათთვის საჭირო სასწავლო მასალებითა და ტექნოლოგიებით. **ინდიკატორის მოთხოვნა სამივე საფეხურზე არის დაკმაყოფილებული.**

ესთეტიკური აღზრდა	სასწავლო პროცესის ორგანიზება და რესურსების გამოყენება გათვალისწინებულია მოსწავლეთა რაოდენობისა და კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების შესაბამისად. არსებული მატერიალური რესურსი საკმარისია სწავლის შედეგების მისაღწევად. **ინდიკატორის მოთხოვნა სამივე საფეხურზე არის დაკმაყოფილებული.**
სახელმწიფო ენა	მასწავლებლებთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით. მოსწავლეებს შეუძლიათ საკუთარი ინტერესების შესაბამისად გამოიყენონ რესურსები. **ინდიკატორის მოთხოვნა სამივე საფეხურზე არის დაკმაყოფილებული.**
მათემატიკა	სკოლას აქვს ყველა შესაძლებლობა როგორც ადამიანური, ისე მატერიალური რესურსის სახით უზრუნველყოს ყველა საფეხურის მათემატიკის კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით **ინდიკატორის მოთხოვნა სამივე საფეხურზე არის დაკმაყოფილებული.**
სპორტი	სკოლას გააჩნია სპორტული დარბაზი. სკოლა უზრუნველყოდილია შესაბამისი მატერიალური რესურსით (სპორტული ინვენტარით), რომელიც მითითებულია საგნოვრივ კურიკულუმებში. სკოლას გააჩნია, ფეხბურთის, ფრენბურთი, კალათბურთის, რაგბის ბურთები, კალათბურთის ფარები, ფრენბურთის ბადე, ნიშნულები, მცირე ბურთები და სხვ. სასურველია სკოლამ შეისყიდოს ტანვარჯიშული ინვენტარი (მაგ., ტანვარჯიშული სკამი, ტანვარჯიშული ლეიბები, შვედური კედელი, ბაგირი), რომ მასწავლებლებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, დაამატონ სასწავლო პროცესში ტანვარჯიშული ელემენტების სწავლება, რაც

	ხელს შეუწყობს მოზარდებში რაციონალური ტანადობის ჩამოყალიბებას და მოტორული უნარების განვითარებას. **ინდიკატორის მოთხოვნა სამივე საფეხურზე არის დაკმაყოფილებული.**
ტექნოლოგიები	მასწავლებელთან ჩატარებული ინტერვიუსა და სასწავლო გარემოს სურათების დათვალიერების შედეგად გამოიკვეთა, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნის სწავლებისთვის სკოლაში შექმნილია შესაბამისი პირობები. სკოლას აქვს შესაბამისი ავეჯით აღჭურვილი კეთილმოწყობილი და გარემონტებული კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც უზრუნველყოფს პრაქტიკულ სასწავლო საქმიანობას და ხელს უწყობს კურიკულუმით განსაზღვრული შედეგების მიღწევას. სასწავლო პროცესში ხელმისაწვდომია მატერიალურ-ტექნიკური რესურსები: ინტერნეტში ჩართული 12 პერსონალური კომპიუტერი და პროექტორი, რაც საშუალებას აძლევს მასწავლებელს გამოიყენოს როგორც ციფრული სასწავლო რესურსები, ვიზუალური და საპრეზენტაციო მასალა. ლაბორატორიაში არსებული ტექნიკა გამოიყენება პრაქტიკული დავალებების შესრულებისას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კომპიუტერული ტექნოლოგიების საგანში, რადგან მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა უშუალოდ იმუშაონ პროგრამებსა და ვებ-ინსტრუმენტებთან. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსები ხელს უწყობს კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო შედეგების მიღწევას და უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტიან ორგანიზებას. **ინდიკატორის მოთხოვნა სამივე საფეხურზე არის დაკმაყოფილებული.**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სწავლის შედეგების მიღწევისთვის მნიშვნელოვანია მატერიალური რესურსები. პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვა და კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებითა და მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისი კლასის ინფრასტრუქტურით. **რჩევა:** სასურველია სკოლამ კიდევ უფრო მეტად ასახოს იმ მრავალფეროვან რესურსთა ჩამონათვალი, რომლებსაც იყენებენ სასწავლო პროცესში (რაც დაადასტურეს ინტერვიუს დრო) **ინდიკატორის მოთხოვნა სამივე საფეხურზე არის დაკმაყოფილებული.**

2.2.2.3 *საბაზო და საშუალო საფეხურებზე ინდიკატორი მეტწილად არის დაკმაყოფილებული.*

4. **სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი**

დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო, კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამის ადამიანურ რესურსს. ქალაქ ცაგერის საჯარო სკოლის ყველა პედაგოგი აკმაყოფილებს დადგენილ სტანდარტს. სკოლის ყველა პედაგოგი სერთიფიცირებულია, აქედან 9 პედაგოგი წამყვანია. პედაგოგები ფლობენ შესაბამის განათლებასა და პროფესიულ კვალიფიკაციას, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტიან დაგეგმვასა და განხორციელებას, ასევე კურიკულუმების შემუშავებასა და სასწავლო პროცესის სათანადო ხარისხით წარმართვას, ინდიკატორის მოთხოვნებთან სრულ შესაბამისობაში.

დასკვნის პროექტში ექსპერტთა მხრიდან სკოლის მიმართ გაიწერა ხარვრზი: ***<u>სკოლას ორ საგანში ჰყავს არასერთიფიცირებული პედაგოგი. სკოლას არ აქვს გამოცხადებული კონკურსი აღნიშნული პედაგოგების შესაბამის ვაკანტურ თანამდებობებზე.</u> (I,III და IV კლასებში სპორტს, I კლასში მუსიკას ასწავლიან არასერთიფიცირებული პედაგოგები.)***

შესაბამისობის გეგმით, სკოლამ აღნიშნული საკითხის მოგვარების პერიოდად განსაზღვრა 2026 წლის 30 სექტემბრამდე პერიოდი.
სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით გაწერილ ვადაში 2026 წლის 30 სექტემბრამდე, კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურების დაცვით გამოაცხადოს კონკურსი შესაბამის ვაკანტურ თანამდებობებზე.

2.2.2.4.ინდიკატორის მოთხოვნა დაწყებით საფეხურზე მეტწილად არის დაკმაყოფილებული, ხოლო საბაზო და საშუალო საფეხურებისთვის სრულად დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *სასკოლო სასწავლო გეგმა;*
2. *საგნობრივი კურიკულუმები;*
3. *განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;*
4. *მოსწავლეთა ნამუშევრები;*
5. *განხორციელებული პროექტები და მათი შეფასების სქემები;*
6. *შემოქმედებითი დავალებების რეფლექსიები;*
7. *სკოლის ინფრასტრუქტურის დამადასტურებელი ფოტომასალა.*
8. *კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია*
9. *კათედრის ოქმები*
10. *სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026*
11. *პერსონალის ხელშეკრულებები და კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერთიფიკატები.*

კომპიუტერული ტექნოლოგიები

1. *II-VI კლასის კურიკულუმები;*
2. *შუალედური მიზნის მისაღწევი დავალებების გეგმები;*
3. *შუალედური მიზნის მისაღწევი დავალებებზე თანდართული მოსწავლეთა ნამუშევრები;*
4. *ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;*
5. *შემაჯამებელი დავალება ;*
6. *შემაჯამებელ დავალებაზე თანდართული მოსწავლეთა ნამუშევრები;*

7. *დანართი: მათემატიკისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების კათედრის 2025-2026 სასწავლო წლის ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსების ჩამონათვალი;*
8. *კომპიუტერული ლაბორატორიის სურათები;*

მათემატიკა

1. *სკოლის თვითშეფასება*
2. *მასწავლებლებთან ინტერვიუები*
3. *მათემატიკის ყველა საფეხურის კურიკულუმების ანალიზი*

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

საბუნებისმეტყველო მეცნიერების ლაბორატორიის ფოტოები

სპორტი:

1. *დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების კურიკულუმები;*
2. *განმავითარებელი შეფასების მაგალითები*
3. *კათედრის ოქმები;*
4. *სპორტული ინვენტარის ფოტომასალა*
5. *ესთეტიკური განვითარება*
6. *სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმები*
7. *შეფასების რუბრიკები*
8. *მოსწავლეთა ნამუშევრები*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*

☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

ქალაქ ცაგერის საჯარო სკოლის წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ინტერვიუებით ჩანს რომ მონიტორინგი ხორციელდება მთელი წლის მანძილზე. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში, და სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ სკოლაში ფუნქციონირებს მონიტორინგის და შეფასების რგოლი. კურიკულუმით განსაზღვრულ მონიტორინგს ახორციელებენ საგნობრივი კათედრები, დირექცია.

2.3.1.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულა.

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

სკოლაში მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად. პროცესები მიზნად ისახავს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას და პრობლემის დროულ იდენტიფიცირებას, რაც საშუალებას იძლევა განისაზღვროს მათი გადაჭრის შესაბამისი გზები და საშუალებები. მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერას და ხელს უწყობს სწავლა-სწავლების პროცესის უწყვეტ განვითარებას. მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ პრობლემების იდენტიფიცირებასა და გადაჭრას კათედრა ახორციელებს გაკვეთილებზე დასწრებებით, მოსწავლეთა მიღწევების ანალიზით, განმსაზღვრელი და განმავითარებელი

შეფასებების წარმოებით, რის ფარგლებში გამოკვეთილი საჭიროებების მიხედვით ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის მოდიფიცირება სამივე საფეხურზე.

2.3.1.2.ინდიკატორი დაკმაყოფილებულა.

3. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას

მასწავლებლებთან ინტერვიუებმა აჩვენა, რომ მონიტორინგისა და შეფასების პროცესები აუცილებელია როგორც მიღწევების, ისე არსებული სირთულეების გამოვლენისთვის. აღნიშნული ინფორმაცია საშუალებას იძლევა სწავლების შემდგომი ეტაპები ისე დაიგეგმოს, რომ გათვალისწინებულ იქნეს წარმატებული პრაქტიკა და აღმოჩნდეს პრობლემების გადაჭრის ოპტიმალური გზები. ამ პროცესებში უმნიშვნელოვანესად მიიჩნევა სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის აქტიური მონაწილეობა, რისი უზრუნველყოფაც სკოლას ეკისრება. ასევე ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ კათედრებზე არის მაღალი თანამშრომლობითი კულტურა. მასწავლებელები კურიკულუმის შექმნისა და სასწავლო პროცესში განხორციელების დროს აქტიურად თანამშრომლობენ. საგაკვეთილო პროცესში მხარდაჭრას ახორციელებენ ურთიერთდასწრებებით, რის შემდეგაც ერთობლივად ახდენენ ანალიზს, შესაბამისად მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას.

2.3.1.3.ინდიკატორი დაკმაყოფილებულა.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;*
- *სკოლის თვითშეფასება;*
- *კათედრის ოქმები;*
- *შეფასების რუბრუკები.*

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

ქალაქ ცაგერის საჯარო სკოლის დოკუმენტაციისა და სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუების მიხედვით, სკოლაში მოქმედებს საჭიროებებზე მორგებული შეფასების მოდელი. სასკოლო კურიკულუმი თითოეული საგნის სპეციფიკას ითვალისწინებს და პედაგოგებს საშუალებას აძლევს პროცესს ინტეგრირებულად დააკვირდნენ და გამოიყენონ მრავალმხრივი მონაცემები. მასწავლებელთა განმარტებით, შეფასება დაფუძნებულია სხვადასხვა წყაროზე: პედაგოგის დაკვირვებაზე, ყოველდღიური პროცესის დინამიკაზე, შემაჯამებელი დავალებების ანალიზზე, კათედრის ხელმძღვანელისა და დირექციის უკუკავშირზე. დამატებით ითვალისწინებენ მოსწავლის წინარე გამოცდილებას, ფსიქო-ემოციურ მდგომარეობას, რესურსებზე ხელმისაწვდომობასა და მშობელთა/დამრიგებელთა მოსაზრებებს. შეფასების შედეგები პედაგოგებს აძლევს საშუალებას განსაზღვრონ დაგეგმილი აქტივობების ეფექტიანობა. სწავლების შეფასება ხორციელდება როგორც საკლასო, ისე შემაჯამებელი დავალებების საფუძველზე, ხოლო მოსწავლეთა სირთულეები იკვეთება სხვადასხვა წყაროსთან კომუნიკაციის შედეგად.

1.3.2.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე ირკვევა, რომ სკოლაში შეფასების პროცესში გათვალისწინებულია მრავალი კონტექსტი, როგორიცაა კლასის კლიმატი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, თემის სირთულე, სწავლების პერიოდი და მოსწავლეთა ინტერესები. სკოლას აქვს მზაობა, შეფასება წარამართოს კონსტრუქტივისტულ პრინციპებზე დაყრდნობით, ცოდნის სხვადასხვა კატეგორიის ინტეგრაციით. საგნობრივ კურიკულუმებში განსაზღვრულია შემოქმედებითი ტიპის დავალების მიდგომა, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეთა უნარებსა და შესაძლებლობებს.

2.3.2.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

ქალაქ ცაგერის საჯარო სკოლის მასწავლებელები შეფასებისას იყენებენ სხვადასხვა ტიპის რუბრიკებს. გეგმავენ შეფასების რუბრიკების განვითარებას, გაუმჯობესებას ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების გათვალისწინებით მომავალი სასწავლო წლისთვის სკოლას დაგეგმილი აქვს შეფასების პროცედურების გაფართოება სხვადასხვა მეთოდით (დაკვირვება, ტესტირება, პროექტები, პორტფოლიო), რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა პროგრესის ობიექტურ და მრავალმხრივ შეფასებას.

2.3.2.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით

მასწავლებლები შეფასებისას ეყრდნობიან, როგორც მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, ასევე მათ პიროვნულ მახასიათებლებსა, ინდივიდუალურ საჭიროებებსა და სოციალურ ფაქტორებს. კათედრებს შექმნილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელიც ეფუძნება ესგ- ის პრინციპებს და ითვალისწინებს მოსწავლეთა მიღწევების დიაგნოსტირებას, სუსტი და ძლიერი მხარეებს გამოკვეთას და შემდგომი უკუკავშირის გაცნობას.

2.3.2.4. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;*
- *კათედრის ოქმები;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026;*
- *ვერიფიკაციის დოკუმენტი.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*

- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის განვითარების ციკლური პროცესი. წარმოდგენილი აქვს შესაბამისი დოკუმენტები, რომელთა მიხედვითაც გაცნობიერებული აქვთ კურიკულუმის განვითარების საჭიროება, გააზრებული და გადანაწილებული აქვთ პასუხისმგებლობა, თუ როგორ დაგეგმონ და განახორციელონ კურიკულუმის განვითარების ეტაპები, სასწავლო წლის ბოლოს მოახდინონ პროცესების რეფლექსია, აღწერონ მიღწეულ შედეგები, გადასინჯონ და რევიზიის შემდეგად შეიმუშაონ რეკომენდაციები, რაც მნიშვნელოვნად დახვეწს და განავითარებს სამომავლოდ კურიკულუმს.

2.4.1.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

მასწავლებლები ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას შემაჯამებელი დავალებების, შემოქმედებითი ბუნებისა და პროექტული დავალებების მიხედვით გამოკვეთილი შედეგების მიხედვით და ამის საფუძველზე გეგმავენ მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმს. მასწავლებლებთან და დირექციასთან ინტერვიუებმა, ასევე წარმოდგენილმა დოკუმენტაციამ აჩვენა, რომ მონიტორინგისა და შეფასების შედეგები გაანალიზებული და გამოყენებულია კურიკულუმის რევიზიის პროცესში. ახალი კურიკულუმი შედგება იმ საჭიროებების გათვალისწინებით რაც გამოავლინა შეფასებამ.

2.4.1.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *კურიკულუმის გადასინჯვის რევიზია;*
- *კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;*
- *წლიური ანგარიშები;*
- *კათედრის ოქმები.*

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....
.....
.....
.....

თარიღი :18.06.2026 წელი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თამარ ბლიაძე

მზია შევარდნაძე

გბიორგი ბერძულიშვილი

ქეთევან ქობალია

მერი ბეჟუაშვილი

მარიკა ბოცვაძე

ეკატერინე კვირკველია:

ნინო აბესაძე





გიორგი ხომასურიძე



გვანცა მოლაშვილი